

აღმოაჩინე არაგვის ხეობა

EXPLORE ARAGVI VALLEY



ფშავი
ხევსურეთი
გუდამაყარი

PHAVI
KHEVSURETI
GUDAMAKARI

ეს გზამკვლევი შედგენილია ფშავის, პირაქეთა ხევსურეთის და გუდამაყრის თემების წარმომადგენელთა მონაწილეობით

This guide has been developed with the participation of representatives of Pshavi, Piraketa Khevsureti and Gudamakari communities

ეს გზამკვლევი შექმნილია ჩეხეთის განვითარების სააგენტოს და ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი "არაგვის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს შეხედულებებს.

This Guide has been produced with the assistance of the Czech Development Agency and Austrian Development Agency. Its contents are the sole responsibility of Local Action Group Aragvi and do not necessarily reflect the views of the Czech Development Agency and Austrian Development Agency.

სარჩევნ CONTENTS

03 ფშავი
Phshavi

35 ხევსურეთი
Khevsureti

81 გუდამაყარი
Gudamakari



ფშავი | PSHAVI

გეოგრაფია	Geography	4
კლიმატი	Climate	6
მდინარეები	Rivers	7
ბიომრავალფეროვნება	Biodiversity	8
ისტორია	History	10
ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულები	Pshavi Customs and Folk Holidays	12
ძმად გაფიცვა	Brotherhood Oath	15
ტრადიციული ყოფა და არქიტექტურა	Traditional Life and Architecture	16
მეურნეობა	Agriculture	18
კულინარია	Cuisine	21
როგორ მოვხვდეთ ფშავში	How to Get to Pshavi	28
ტურისტული მარშრუტები ფშავში	Tourist routes in Pshavi	29
სალაშქრო მარშრუტები	Hiking routes	32

გეოგრაფია

Geography

ფშავი ისტორიული ფხოვის ნაწილია, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ხევსურეთსა და გუდამაყრის ხეობასთან ერთად მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში შედის. თუმცა, გეოგრაფიულად ფშავი ქართლისა და კახეთის საზღვარზე მდებარეობს და ისტორიული წყაროების მიხედვით კახეთის პროვინციაში შედიოდა.

ფშავი პატარა, მაგრამ მდიდარი ეთნოგრაფიული და ისტორიული წარსულის მქონე პროვინციაა, რომელსაც დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია სათავგადასავლო თუ საოჯახო ტურიზმის განვითარებისთვის.

ფშავი მდინარე ფშავის არაგვის ხეობაში მდებარეობს და მისი ფართობი დაახლოებით 550 კმ²-ია.

ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კავკასიონის მთავარი ქედი ფშავს თუშეთისა და პირაქეთა ხევსურეთისგან გამოჰყოფს, დასავლეთით მდებარე გუდამაყრის ქედი პირაქეთა ხევსურეთს გუდამაყრისგან. სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ერწო-თიანეთი ესაზღვრება.

ფშავი ორ თემს მოიცავს: უკანაფშავს და მალაროსკარს. უკანაფშავის თემი ფშავის არაგვის სათავიდან ორწყლამდე ტერიტორიას მოიცავს. მალაროსკარის თემი კი ორწყალს ქვემოთ, ფშავის არაგვის ქვემო წელში მოქცეულ ტერიტორიას.

უკანაფშავის სოფლებია: თხილიანა, უძილაურთა, შუაფხო, გოგოლაურთა, მუქო, ჭიჩო, ახადი, ხოშარა, მათურა, უკანაფშავი (ვაკე სოფელი), ელიაგზა

მალაროსკარის თემის სოფლებია: მალაროსკარი, გომეწარი, ჩარგალი, ქალილო, კუჭეჭა, კანატია, ხილიანა, წიფრანი, საშევარდნო, შარახევი, მიგრიაულთა, გუდარახი, აფშო, ინო, ხომი, კანალხევი, არბახი-ხანი

Pshavi is a part of the historical Pkhovi. Following modern administrative division, it is included in Dusheti municipality of Mtskheta-Mtianeti region, along with Khevsureti and Gudamakari gorge. However, geographically Pshavi is located on the border of Kartli and Kakheti. Pshavi used to be part of Kakheti province, according to historical sources.

It is a small province, rich with ethnographic and historical past, which has a great potential for adventure and family tourism development.

Pshavi is located in the Aragvi gorge of the river Pshavi and its area is about 550 km².

The main ridge of the Caucasus, located in the northeast, separates Pshavi from Tusheti and Piraketa Khevsureti, and the Gudamakari ridge from the west separates it from Gudamakari and Piraketa Khevsureti. It is bordered by Ertso-Tianeti to the southeast.

Pshavi includes two communities: Ukanapshavi (rear Pshavi) and Magaroskari.

Ukanapshavi community includes the area from the head of Pshavi Aragvi to Ortskali and the community of Magharoskari includes the area below Ortskali, in the lower part of Pshavi Aragvi.

Ukanapshavi villages are: Tkhiliana, Udzilaurta, Shuapkho, Gogolauri, Muko, Chicho, Akhadi, Koshara, Matura, Ukanapshavi (ravine village), and Eliagza.

The villages of Magharoskari community are: Magharoskari, Gometari, Chargali, Kalilo, Kuchecha, Kanatia, Khiliana, Tsiprani, Sashevardno, Sharakhevi, Migriaulta, Gudarakshi, Apsho, Ino, Khomi, Katsalkhevi, and Arbachkhani.



ფშავი, ბილიკი უკანტბის უღელტეხილზე.

კლიმატი

Climate

მიუხედავად იმისა, რომ ფშავი კავკასიონის მთავარ ქედს ეკვრის, მისი ჰიპსომეტრული სიმაღლე 1000-3000მ-ია, რაც კლიმატსა და ბუნებრივ პირობებზეც აისახება. მეზობელ თუშეთ-ხევსურეთთან შედარებით, ფშავი უფრო დაბლა მდებარეობს. ამიტომ, ფშავის სამხრეთის ნაწილში უფრო ზომიერი და თბილი ჰავაა, ვიდრე კავკასიონის ძირში მდებარე უკანა ფშავში.

ბართან შედარებით, ფშავში ზომიერად ცივა, თუმცა მკაცრი კლიმატია. წლის საშუალო ტემპერატურა 5-დან 11 გრადუსამდე მერყეობს. აქაც, როგორც ყველა მთიან რეგიონში, გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა კი ადრე. ზაფხული თბილი და ზომიერად ცხელია, შემოდგომა შედარებით მზიანი. გაზაფხულზე ხშირად იცის ნისლი და წვიმა. ზამთარი იშვიათად არის უხვთოვლიანი. თოვლის საფარი 1 მ-ს არ აღემატება, იშვიათად 1,5-2 მ. ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 1000-1200 მმ-ს შორის მერყეობს.

Although Pshavi is located on the main ridge of the Caucasus, its hypsometric height is 1000-3000 m, which affects its climate and natural conditions. Unlike neighboring Tusheti-Khevsureti, Pshavi is located lower. Consequently, the southern part of Pshavi has a milder and warmer climate than the back Pshavi, which is located at the foot of the Caucasus.

Compared to the valley, Pshavi has a moderately cold, though harsh climate. The average annual temperature ranges from 5 to 11 degrees. Here, as in all mountainous regions, spring comes late and fall comes early. Summers are warm and moderately hot, autumns are relatively sunny. Spring often brings fog and rain. Winters hardly get heavy snow. Snow cover does not exceed 1m, rarely - 1.5-2 m. The annual amount of atmospheric precipitation varies between 1000-1200 mm.



მდინარეები Rivers

ბოთანა-ბორბალოშის მთაზე იღებს სათავეს ბოთანას წყალი, ასის ხევი და ბოგოჩარის ხევი, რომლებიც ქვემო დინებაში ერთდება და ფშავის არაგვს წარმოქმნიან. აღმოსავლეთით მომდინარე ფშავის არაგვი შუაფხოდან 7კმ-ის დაშორებით უხვევს სამხრეთით, სადაც ხევსურეთის არაგვს, იგივე ხევსურულას უერთდება. სწორედ ესაა „ორწყალი“ - ხევსურეთისა და ფშავის ბუნებრივი საზღვარი.

აქედან არაგვი სამხრეთის მიმართულებით, ქვემოთ, ჟინვალის წყალსაცავში ეშვება, საბოლოოდ კი მცხეთასთან მტკვარს ერთვის და აზერბაიჯანის გავლით, კასპიის ზღვაში ჩაედინება.

მინერალური წყლებიდან ყველაზე ცნობილი ჩარგლის ვეძა, იგივე მჟავე წყალია, რომელიც სოფლის მოპირდაპირე მხარეს, მდინარის გაღმა, კლდიდან გამოდის. რკინითა და სხვა სასარგებლო მინერალებით მდიდარ წყალს ოდნავ მომლაშო გემო დაჰკრავს და სასიამოვნო დასალევია, განსაკუთრებით ზაფხულში. ადგილობრივები ამ წყალს კუჭნაწლავის პრობლემების დროს იყენებენ. კანის სხვადასხვა ბაქტერიული ანთების და წითელი ქარის დროს კი ვეძას აცხელებენ და მის აბაზანას იღებენ.

Botana water, Asi gorge and Bogochari gorge start at Botana-Borbalo mountain, they confluence downstream and form Pshavi Aragvi. Pshavi Aragvi runs eastward and turns south 7 km from Shuapkho, where it joins Khevsureti Aragvi, aka Khevsurula. This is Ortskali (two waters) - the natural border of Khevsureti and Pshavi.

From here Aragvi runs south, down to the Zhinvali Reservoir, and finally joins the Mtkvari by Mtskheta and flows into the Caspian Sea via Azerbaijan.

Chargali veja is the most well-known mineral water here. It is a mineral water that springs from a rock on the opposite side of the village, across the river. This water, rich in iron and other useful minerals carries a slightly salty taste and is very pleasant, especially in summer. Locals use this water as a cure for gastrointestinal problems. In case of various bacterial inflammations of the skin, Veja is heated for bathing procedures.

ბიომრავალფეროვნება Biodiversity

ფშავ-ხევსურეთში ხალხურ მედიცინას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კი ყოველთვის იყო სამკურნალო მცენარეების შეგროვება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე მისდევს.

ფშავის სოფლებსა და მთის ფერდობებზე ბევრია სვია (*humulus lupulus*) და ქაცვი (*hippophae rhamnoides*).

სუბალპურ და ალპურ სარტყელში გავრცელებულია კავკასიური დეკა, ასკილი, ჟოლო, კენერა და მოცვი. ამ ბალახეულსა და კენერას ახმობენ და ზამთარში ჩაის სახით მიირთმევენ. ზოგჯერ კი, კერძებში საკმაზის სახითაც გამოიყენებენ.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ფაუნის სხვადასხვა წარმომადგენლების კომფორტულად ცხოვრებისთვის შესაბამის პირობებს ქმნის.

კავკასიის ენდემური სახეობებიდან გვხვდება: აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი, კავკასიური როჭო, დინიკის გველგესლა, რადის ბიგა, კავკასიური შურთხი და სხვა.

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შესულია: ჯიხვი, არჩვი, ფოცხვერი, მურა დათვი, კავკასიური ციყვი, ევროპული მაჩქათელი. კავკასიური როჭო, კრავიჭამია, სვავი, ორბი, დიდი კოჭობა, დინიკის გველგესლა.

Folk medicine in Pshav-Khevsureti has a long and interesting history. Medicinal herb gathering has always been an essential part of folk medicine, which is still followed by the local population.

Hops (*humulus lupulus*) and sea buckthorn (*hippophae rhamnoides*) are located in the villages and mountain slopes of Pshavi.

Caucasian evergreen azalea, sweetbrier, crowberry, and blueberry are widespread in the subalpine and alpine belts. These herbs and berries are dried out and brewed for tea in winter. They are used in cooking as well.

Pshav-Khevsureti National Park is notable for its biodiversity that creates appropriate habitat for different animals.

Among the endemic species of the Caucasus we can find: East Caucasian tur, Caucasian grouse, viper, shrew, Caucasian snowcock, etc.

The “Red List” (list of endangered species) of Georgia includes: tur, chamois, lynx, brown bear, Caucasian squirrel, European bat, bearded vulture, black vulture, eagle, great rosefinch, and viper.



ფშავი, სოფელი კანალხევი.

ისტორია

History

ფხოვი, იგივე „ფხოეთი“, ისტორიული წყაროების მიხედვით, მოიცავს დღევანდელი ფშავისა და ხევსურეთის ტერიტორიებს. ი. ჯავახიშვილი ფხოვის ისტორიულ ტერიტორიას ასე ფარგლავს: „გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით ფხოელთა მთებზე არის ფხოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავს“.

ფხოვი პირველად მოხსენიებულია „მოქცევაი ქართლისაჲში“, საიდანაც ირკვევა, რომ მეოთხე საუკუნეში, აქ ქრისტიანობა უქადაგიათ. თუმცა, მოსახლეობას ახალი რელიგია ნებით არ მიუღია, რასაც დევნა მოჰყოლია ხელისუფლების მხრიდან. ამ მიზეზით, ფხოველთა ნაწილი მეზობელ თუშეთში გახიზნულა.

XIII საუკუნის დასაწყისში, როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, ფხოველები და დიდოები სამეფო ხელისუფლებას განუდგნენ. ასწლეულებით გეოგრაფიულად იზოლირებულ მთიელებს უჭირდათ ბარის სოციალურ-რელიგიურ ინსტიტუტებთან შეგუება.

აჯანყება ისეთი დიდი მასშტაბის ყოფილა, რომ წესრიგის დასამყარებლად სამეფო ხელისუფლებას სამი თვე დასჭირდა. ივანე მხარგრძელმა აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაახშო.

სწორედ ამ პერიოდიდან უნდა მომხდარიყო ფხოვის დაშლა, ფშავისა და ხევსურეთის ორ რეგიონად განცალკევება.

იგივე პერიოდს უკავშირდება ფშავში ცენტრალური სალოცავების, „ლაშარის ჯვრისა“ და „თამარის ხატების“ გაწყობა. ეს ფაქტი იძლევა საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამბოხის ჩახშობის შემდეგ, სამეფო ხელისუფლებამ, ბართან შედარებით ახლოს მდებარე ფშავის ნაწილის დამორჩილება შეძლო.

წარსულში, ერთიანი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ორად გაყოფაში, მნიშვნელოვანი როლი სოციალურ განვითარებასაც უნდა ეთამაშა, რაც ბართან სიახლოვეთ იყო გამოწვეული.

Pkhovi, aka “Pkhoeti”, includes the territories of present-day Pshavi and Khevsureti, as described in historical sources. I. Javakhishvili defines the historical territory of Pkhovi as follows: “Pkhoeti is located east of Gudamakari gorge, on the Pkhoeli Mountains. It is bordered by Didoeti in the east and Tusheti in the southeast.”

Pkhovi is first mentioned in Conversion of Kartli. This document states that Christianity was preached here in the fourth century. However, the population did not accept the new religion voluntarily, which led to persecution by the authorities. For this reason, part of the pkhoveliens moved to the neighboring Tusheti.

It is clear from historical sources that Pkhovelians and Didoians rebelled against the royal government at the beginning of the XII century. Geographically isolated mountaineers had struggled to adapt to the socio-religious institutions of the valley for centuries.

The revolt was so large that it took the royal government three months to establish the order. Ivane Mkhargrdzeli suppressed the uprising with fire and sword.

Pkhovi was disbanded since then, separated into two regions - Pshavi and Khevsureti.

The same period was associated with the arrangement of the central shrines “Lashari Jvari” and “Tamar Icon” in Pshavi. It seems that after the suppression at Kmbokhi, the royal government was able to subdue the part of Pshavi relatively close to the valley.

Social development was imperative issue involved in the split of the once united historical-ethnographic entity into two regions. Social development was affected by the proximity to the valley.

Following these events, the area changed its name and, instead of the usual Pkhovi, was referred to as Pshavi since

ამ მოვლენების შემდეგ, მხარეს სახელი შეეცვალა და ჩვეული ფხოვის ნაცვლად, მომდევნო საუკუნეებში ფშავად იხსენიება. ძველი ისტორიული სახელი დღეს მხოლოდ ერთ სოფელს, შუაფხოს შერჩენია, რომელიც ფხოვის არსებობის უტყუარი მოწმეა.

შუაფხო, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ფხოვის ცენტრი უნდა ყოფილიყო. აქ დღემდეა დაცული ხეობის ყველაზე ძლიერი და პატივსაცემი სალოცავი - იახსრის ხატი.

„ფშავი“, ადგილობრივების განმარტებით, ფშანიდან (ფშა) უნდა მომდინარეობდეს, რაც მდინარეს, ან მისგან გამომდინარე წყაროს ნიშნავს. ფშავის ხეობა მდიდარია მდინარეებითა და სასმელი წყლით, რაც არსებულ ვერსიას ფაქტებით ამყარებს. ხეობის მთავარი მდინარე, ფშავის არაგვი, ვიდრე ჟინვალის წყალსაცავს შეუერთდება, გზადაგზა 15-ზე მეტ მცირე და დიდი ზომის ხევსა და მდინარეს შეერთავს.

ფშავიდან მოსახლეობის მიგრაცია ბარში XIX საუკუნიდან დაიწყო, რაც მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობებით იყო გამოწვეული.

XIX საუკუნის დასაწყისში, პროვინციაში 20მდე სოფელი იყო, 5000მდე მოსახლით. დღეისათვის სოფლების უმეტესობა დაცარიელებულია და 1000 სულზე მეტს არ აღემატება. მეცხვარეობის უფრო ფართოდ განვითარებამ მეტი საძოვარი მოითხოვა, ფშავის ვიწრო ხეობა კი ამას ვერ აკმაყოფილებდა.

ამ და სხვა მიზეზებით, ფშაველებმა დროთა განმავლობაში საცხოვრებელი ადგილი იცვალეს და დღეს ძირითადად გარე კახეთში, გომბორში, ერწო-თიანეთსა და პანკისის ხეობაში არიან გაფანტული.

ვახუშტი ბატონიშვილი ფშაველებს ასე ახასიათებს: ფიზიკურად ფშაველი ჯანსაღია, მოქმედებაში ის მარჯვეა და შრომის ამტანი. სიმაღლით შუა ტანისაა, თხელი და სწორი აგებულების, სახით კი შავგვრემანია და ლამაზი მოყვანილობისა. საზოგადოებაში ფშაველი ქალი თუ კაცი თამამია და უადგილო მორცხვობა და პირის არიდება ფშაველის სიმაღლის ნიშანია. მას უყვარს მხიარულება, შაირობა და დროსტარება, სტუმრის დახვედრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია. ქურდობა-ავაზაკობას ფშაველი არ ჩაიდენს და ეს სამარცხვინოდ მიაჩნია, ამასთანავე ფშაველი შერიანი და მოჩხუბარი არ არის და ამგვარ შემთხვევას შეგნებულად გაურბის. ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მელექსე. ფშაველებს მოსწონთ კარგი ენინაობა და თავაზიანობა, ასეთ პირსაც პატივს სცემენ.

then. Shuapkho (middle pkho) is the only historical village that has retained the historical name, as an unambiguous witness to the existence of Pkhovi.

Apparently, Shuapkho used to be center of Pkhovi, in political and economic terms. The strongest and most revered shrine of the gorge is still preserved here - the icon of Iakhsari.

According to the locals, “Pshavi” must have originated from the term Pshani (Psha), which means river or its source. Pshavi gorge is rich in rivers and drinking water, making this a plausible explanation. More than 15 large and small rivers join Pshavi Aragvi, the main river of the valley. It finally flows into the Zhinvali Reservoir.

The migration of the population from Pshavi to the valley began in the XIX century. It was caused by severe social and economic conditions.

About 20 villages were located in this province, with a population of approximately 5,000, at the beginning of the XIX century. Currently, most of the villages are empty and the populations does not exceed 1000 people. While the wider development of sheep breeding required more pastures, the narrow gorge of Pshavi could not meet this requirement.

For these and other reasons, Pshavs had changed their place of residence over time. Nowadays, most of Pshavs are mainly scattered in outer Kakheti, Gombori, Erzo-Tianeti and Pankisi gorge.

Vakhushti Batonishvili characterizes Pshavs as follows: “Pshavs are physically healthy, righteous in action and enduring in labor. They have mid-length bodies, thin and straight; they are dark-haired and have a handsome face. Pshavi women and men are brave and inappropriate embarrassment and shyness is a sign of weakness among Pshavs. They love fun, poetry and pastime. They are great hosts, they respect and entertain guests. Pshavs won't commit theft or robbery, as they consider it shameful. At the same time, Pshavs are not quarrelsome and they deliberately avoid fights. Pshavs are keen, sweet-spoken, eloquent and poetic. Pshavs appreciate fluency and courtesy, such a person is highly esteemed”.

ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულები Local Customs and Folk Holidays

მთიანი რეგიონისთვის დამახასიათებელი არქაული ტრადიციები ფშავში დღემდეა შემონახული. მათი უმეტესობა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მთაში მყარად ფესვგადგმული იყო, კომუნისტური წყობის დროს, რელიგიის აკრძალვითა და შეზღუდვით თანდათან გაქრა ან სახე იცვალა. მაგრამ ძველ ყოფა-ცხოვრებასა და რწმენა-წარმოდგენებზე გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია ხატობაა, რომელსაც ადგილობრივი და ბარიდან ამოსული მორწმუნეები ერთად აღნიშნავენ.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ფშავი თერთმეტი ტერიტორიული თემისგან შედგებოდა. მათი სტრუქტურა გვაროვნული თემის წყობილებაზე იყო დაფუძნებული. ტერიტორიული თემები ხომ სწორედ გავლენიანი და ყველაზე დიდი გვარების გარშემო იყო შემოშენებული. ყველა ამ თემს თავისი სალოცავი ჰქონდა. ისევე, როგორც ამ თემებში შემავალ თითოეულ სოფელს.

ამავდროულად კი, თერთმეტივე ტერიტორიული თემის ცენტრალურ სალოცავს ლაშარის ჯვარი წარმოადგენდა, რომელიც დღემდე ყველაზე ძლიერ ხატად და ხეობის მფარველად ითვლება.

გადმოცემების მიხედვით, ფშავში მეფე ლაშა-გიორგის აუგია ეკლესია და თავადაც ფშაველების ხშირი სტუმარი ყოფილა. ამას ქართული საისტორიო წყაროებიც მოწმობს. „აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომლისა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშას ჯუარს და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად“.

Archaic traditions, characteristic of the mountainous regions are preserved in Pshavi to this day. While most of them had been firmly rooted in the mountains for centuries, they had gradually disappeared or changed during the communist era, following the ban and restriction of religion. However, even in their altered form, they still provide impression of the old way of life and beliefs.

One of the most important traditions is the icon days, celebrated together by mountain and valley locals.

According to historical sources, Pshavi consisted of eleven territorial communities. Their structure was based on familial community set-up.

Territorial communities were built around the most influential and largest families. All these communities had their own shrines, as well as the villages that were included in these communities.

The Cross of Lashari was the central shrine of all eleven territorial communities. It is still considered to be the most powerful icon and protector of the valley.

According to the legends, King Lasha-George erected a Church in Pshavi. He was a frequent guest of Pshavs. This is also confirmed by Georgian historical sources. “Inside Pshavi there is a church built by King Lasha, which contains many icons and crosses of gold and silver, vessels and books, and it is called Lasha’s cross, and it carries a great faith.”

The icon of Tamar-Ghele is one of the central shrines of Pshavi. According to legend, this place was resting residence of Queen Tamar.

ფშავის ერთ-ერთი ცენტრალური სალოცავია თამარ-ლელის ხატიც. გადმოცემის მიხედვით, ამ ადგილას თამარ მეფის ხოდაბუნები ყოფილა.

ასევე, ფშავის ცენტრალურ სალოცავადაა მიჩნეული დამასტური, რომელსაც დარ-ავდრის მოწესრიგების ფუნქცია მიენერება.

ფშაურ ხატებს განსაზღვრული ღვთაებრივი ფუნქცია აკისრიათ. თითოეულ ფშაველს კი, თავი ამა თუ იმ ხატის ყმად მიაჩნია. იახსარი, დედისძმათა მფარველი ხატია. კვირიას ხატს ფშაველები საქონლისა და ადამიანის გამრავლებას შესთხოვენ.

სასოფლო ხატი ფშავში ყველა სოფელს გააჩნია და მას „ადგილის დედას“ უწოდებენ. ადგილის დედის ნიში მცირე ზომის ქვითკირით ნაგები სალოცავია და ხშირად ირმის რქებით, ფერადი დროშებითა და ზანზალაკებითაა შემკული.

სათემო ხატის საბრძანის თითოეულ თემშია და ხატობას ყველა ფშაველი აქ იყრის თავს. სათემო ხატს, ტრადიციულად ორი საბრძანისი აქვს - ერთი სოფლის განაპირას, მეორე კი სოფლის ახლოს მაღალ მთისწვერზე. დღესასწაულზე, მხვეწარი სწორედ ამ წვერზე მიდის სალოცავად და შესაბამისი ძღვენიც მიაქვს. ეს შეიძლება იყოს ქადა-პურები, ან ცოცხალი შესაწირი: დეკელი, ან ხარი. ნიშანდობლივია, რომ ხატში, სანთელთან არც არაყს და არც სხვა ალკოჰოლს არ ხმარობენ, მხოლოდ ღვინოს.

სათემო დღეობები პეტრე-პავლობის დღესასწაულის შაბათიდან იწყება და 3-4 კვირამდე გრძელდება. ეს რიცხვები ცვალებადია, თუმცა, ერთი უცვლელია - პირველად ხატობა გოგოლაურთას თემსა და ხოშარაში იწყება და ხეობის ყველა სოფელს მოიცავს რიგის მიხედვით.

ხატობის შემდეგ, ერთ-ერთი დიდი დღესასწაული ახალი წელია.

აქ ახალ წელს 14 იანვარს აღნიშნავენ. დღესასწაულისთვის სამზადისს წინასწარ იწყებენ. წინაღობითვე ემზადებიან და ამ დღეს „ლიტანიადღეს“ უწოდებენ.

ადრე, ახალი წლის დღესასწაულს წინ „სათეო“ უსწრებდა, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა და თემს თავის ხატში ხუთი საკლავი უნდა მიეყვანა. ამ სათეოს თემში შემავალი მეკომურები რიგითობით



ფშავის ლაშარის ნიში.

Damadasturi is also considered to be the central shrine of Pshavi. It serves the function of managing weather conditions.

Pshavi icons carry a specific divine function. Each Pshav considers himself a devotee of a special icon. Iakhsari is the patron saint icon of the brothers. Pshavs worship Kviria's icon for reproduction of cattle and people.

Every village in Pshavi has a rural icon and it is called the "mother of the place". The icon's niche is a shrine built of small stone mortar and is often decorated with deer antlers, colorful flags and bells.

Every community has its own icon. All Pshavs gather around icon celebrations. The community icon traditionally has two places of worship - one on the outskirts of the village and the other on a high mountain near the village. Worshippers have to climb the mountain shrine during celebrations. They go to pray and bear appropriate sacrificial gifts, which may be kada or livestock, like a heifer or a bull. Only wine is allowed for icon worship, vodka or other alcohol is not permitted.

Community celebrations begin on Saturday of St. Peter and St. Paul's holiday and last for 3-4 weeks; these dates are variable. However, one thing remains the same - the icon celebration always begins in the community of Gogolaurta and Khoshara and covers all the villages of the valley in order.

New Year celebrations are the biggest after the icon celebrations.

იხდიდნენ და ამის და ამის მიხედვით ხუთ-ხუთ კომლს ყოველ წელს სათემო ხატში თითო ცხვარი, ორი ქადა, შვიდი ხმიადი, შვიდი კვერი, ერთი კელაპტარი და შეშა უნდა მიეტანა.

ფშავში ამბობენ, რომ ლიტანია ღამეს ციდან ანგელოზები ჩამოდიან და თითოეული ადამიანის ბედს წერენ. ვახშმის შემდეგ კი ოჯახში ბედისკვერების ცხობა იწყება. ადგილობრივთა რწმენით, ვისი ბედის კვერიც გაფუვდება, ის სამზეოში, ანუ სიცოცხლეში ბედნიერი და ჯანმრთელი იქნება.

New Year is celebrated here on January 14th. Preparations for the holiday begin in advance. This day is called “Litanioba” (Litany Day).

New Year celebrations used to be called “Sateo”, which lasted five days and the community had to bring five sacrificial animals to their icons. Village householders of the community took turns, and thus five households provided one sheep, two kadas, seven khmiadis, seven keris, one kelaptari and firewood for the community icon. They say in Pshavi that angels come down from the sky at night during Litanioba and write the fate of each person. After dinner, each family starts baking fortune kveris. According to the locals, kveri that rises the most brings happiness and health.



ფშავლები

ძმად გაფიცვა Brotherhood Oath

ეს ძველი ტრადიცია ამჟამად დავიწყებასაა მიცემული. ძველად კი, ხშირი იყო ძმად გაფიცვა და ამ გზით დანათესავება, რომელიც ყველაზე ძლიერ კავშირად ითვლებოდა. გაფიცვა ორნაირად ხდებოდა, სისხლით და ფიცვერცხლით.

სისხლით გაფიცვის შემთხვევაში, მარჯვენა საჩვენებელ თითს გაიჭრიდნენ და ერთმანეთს შეახებდნენ, ანუ მოძმეები ერთმანეთის სისხლს გაიზიარებდნენ.

მეორე წესით, არყიან ჭურჭელში, ხანჯლით ვერცხლის სამკაულს ჩაფხეკდნენ. ამ სასმელს ორი მეგობარი ფიცის წარმოთქმის შემდეგ ეზიარებოდა. ასე ხდებოდნენ ძმად გაფიცულები.

This old tradition is now forgotten. In ancient times, it was common to give a brotherhood oath and become related in this way; this was considered to be the strongest connection. The oath took place in two customs, with blood and silver.

Blood oath involved cutting and the touching right index fingers, so that the brothers would share each other's blood.

In the second rite, silver jewelry was scrapped with a dagger in a vessel with vodka. This drink was shared by two friends after taking the oath. This is how they became brothers.



მიხა ხელაშვილის პაპა, ახადელი ხევისბერი.

ტრადიციული ყოფა და არქიტექტურა

Traditional Life and Architecture

სხვა მთიანი რეგიონებისგან განსხვავებით, ფშავში თავდაცვითი ნაგებობები ნაკლებად გვხვდება და ძირითადად ნანგრევების სახითაა შემორჩენილი. ისინი ძირითადად XII საუკუნეში განადგურდა, როდესაც ფხოვი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა. ამ ამბოხების ჩახშობის შემდეგ, ფშაველებს კოშკების აღდგენა და ახლის აშენება აკრძალათ. გარდა ამისა, ფშავი ყველაზე მშვიდობიან რეგიონად რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე, შეტაკებები აქ იშვიათად ხდებოდა. რელიეფი და სოფლების განლაგება კი უცხოოდ ბრძოლის საშუალებას იძლეოდა.

ფშავში, უდაოდ, ყველაზე ცნობილი საბრძოლო ნაგებობა „ციხე-გორი“, სოფელ შუაფხოვსა და გოგლაურთას მიჯნაზე, მაღალ გორაზე. გადმოცემის მიხედვით, სწორედ აქ ყოფილა დევების სადგომი და საბინადრო. აქედან ესხმოდნენ თავს მშვიდობიან მოსახლეობას და მოსვენებას არ აძლევდნენ. ციხე გორზე მომხდარა შეტაკება გმირ კოპალასა და დევებს შორის, რა დროსაც კოპალას დევები გაუწყვეტია და ციხე კი თავად დაუჭერია. დღეს ამ ადგილას მხოლოდ მშრალი წყობით ნაშენი გალავნის და კოშკების ნაშთებიაა შემორჩენილი. ციხე ძნელად მისადგომია. სამხრეთით ბუნებრივი კედელი აქვს კლდის სახით, ჩრდილოეთ მხარეს კი 70 სმ სისქის კედელი იცავდა.

მსგავსი თავდაცვითი ნაგებობა გვხვდება სოფელ მუქოში, ოღონდ შედარებით ნაკლები სიდიდის. გალავანი აქაც მაღალია და სათოფურები აქვს დატანებული. გალავანს მიშენებული კოშკები ნახევრად დანგრეულია და მთიულური, ანუ ზურგიანი კოშკების ტიპს განეკუთვნება.

ფშავში ორი ტიპის კოშკი გვხვდება: ჰორიზონტალურსახურავიანი ოთხნახნაგოვანი და მრგვლოვან-ნახნაგოვანი. კოშკის ეს ტიპი მასობრივად მთიულეთში იყო წარმოდგენილი, ამიტომაც ეძახიან მათ

Unlike the other mountainous regions, defensive structures are less common in Pshavi and are mostly preserved in the form of ruins. They were mostly destroyed in the XII century, when Pkhovi rebelled against the royal government. After the suppression of these uprisings, the Pshavs were forbidden to rebuild towers and erect new ones. In addition, Pshavi remained the most peaceful region for a while; battles were rare. It was also possible to fight without towers due to the terrain and the layout of the villages.

Tsikhe-Gori is undoubtedly the most famous military building in Pshavi. It is located on the border of Shuapkho and Goglaurt villages, on a high hill. According to legend, devis resided here. They attacked and persecuted locals. This is where the battle between devis and the hero Kopala took place. Kopala killed devis and conquered Tsikhe-Gori. Remains of fortifications and towers built of dry piles are all that is left of this place. The castle is difficult to access. Natural wall in the form of a rock protects it from the south, while the north side was protected by a 70 cm thick wall.

A similar defensive structure is found in the village of Muko, though of a relatively small size. Enclosure is high here as well and has gun-ports. The towers built on the enclosure are half-ruined and belong to the type of Mtiuluri, backed towers.

There are two types of towers in Pshavi: four-faceted with a horizontal roof and round-faceted. This type of tower was massively represented in Mtiuleti; hence they are called Mtiuluri. Pshavi towers are built of both masonry and mortar, and you will also encounter dry formations as well.

Many Pshavi legends involve Kopala and Iakhsari. you can still see a huge boulder on the embankment of Aragvi, which people call "Kopala Shrine".

მთიულურებს. ფშაური კოშკები ნაშენებია როგორც ქვითა და დულაბით, ასევე შეხვდებით მშრალ წყობასაც.

კოპალასა და იახსართან, ფშავში უამრავი გადმოცემაა დაკავშირებული. არაგვის პირას დღემდე ნახავთ უზარმაზარ ლოდს, რომელსაც ხალხი „კოპალას სალოცავს“ ეძახის.

მის პირდაპირ, ღრმა ხევს კი - „ავთანდილის საქანი“ ჰქვია. ფშაური ანდრეუბების მიხედვით, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც კოპალამ დევ ავთანდილს ესროლა ისარი. დევი დაგორდა მთის კალთაზე და მისი ტანის სიმძიმისგან გაკეთდა ეს ღრმა ხევი.

ყოველ სოფელს თავისი საზღვარი ჰქონდა და ამ საზღვარზე ჩასმული იყო მიჯნის სამანი. ასეთი მიჯნის სამანი დღემდეა დაცული სოფ. შუაფხოსა და გოგოლაურთას მიჯნაზე.

ფშავში სოფლებს ძნელგასასვლელი საცალფეხო ბილიკები უვლის. მეკომურებს ეზო-კარმიდამო შემოღობილი არ აქვთ. სახლები და სადგომები ერთგვარი არ არის, სჭარბობს ქალაქის ტიპის სახლები, განსაკუთრებით მაღაროს თემში. ფშაური ტიპის სახლები მეტწილად უკანაფშავის სოფლებში მოიპოვება. ეს ფშაური სახლი ორსართულიანია, ნაგებია ქვითკირისაგან, უტალახოდ, მშრალად. სახლის ქვემო სართულში ბოსელია გამართული, ზემოთ კი სადგომია.

ფშაველები უმეტესად მიწურბანიან სახლებში ცხოვრობდნენ. უფრო შეძლებულთ ბანიანი, მაგრამ მოქცეული სახლები ჰქონდათ. მოქცეულს ეძახდნენ სახლს, რომელსაც დიდი კერა და მაღალი ჭერი ჰქონდა.

კერა შუა ადგილია, სადაც ტრადიციულად ცეცხლი ენთო და ოჯახი იკრიბებოდა. კერის თავზე, წვრილი წვანელებისგან დანული სათავსი ეკიდა, ძობანი, რომელიც ხაჭოს გასაშრობად, შესაბოლად იხმარებოდა. აქვე ბოლავდნენ ზამთრისთვის ხორცეულს.

ძობანისა და ხორცის შებოლვის ტრადიციას დღემდე მისდევენ ფშავში.

Deep ravine on the opposite side is called “Avtandil’s Sakani”. According to the Pshavi fables, this is exactly the place where Kopala shot devi Avtandil with an arrow. Devi rolled down the mountain slope and this deep ravine was formed under the weight of his body.

Each village had its own border with special delimitation. For example, such delimitation exists at the border of Shuapkho and Gogolaurta.

In Pshavi, the villages are crossed by narrow, difficult trails. The houses and the yard are not fenced. Houses and stalls vary, city-type houses predominate, especially in the Magaro community, though Pshauri-type houses are mostly found in the villages of Ukanapshavi. The Pshauri house is a two-story, built of stone mortar, mud-free, dry. Cowshed is located on the lower floor of the house, and the upper floor is a dwelling place.

Pshavs mostly lived in mudhouses, the more affluent occupied flat-roofed houses. Those were called converted houses - with a large hearth and high ceilings.

The hearth is the middle place where the fire was traditionally lit and the family gathered. On top of the hearth hung a vessel made of thin twigs, called dzobani. It was used to dry the cottage cheese and meat to store for the winter.

The dzobani and meat drying tradition is still followed in Pshavi.



ვაჟა ფშაველას სახლ მუზეუმი.

მეურნეობა Agriculture

ფშავში მეფუტკრეობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფუტკრის ყოლას ფშაველთა ადათები მოითხოვდა. სანთლის გარეშე არც მკვდარი დაიმარხებოდა, არც ხატობა ჩატარდებოდა. ფუტკრის მოსაშენებლად ცაცხვისა და თელის ქერქისაგან დამზადებულ როფებს იყენებდნენ.

წყალუხვი მთის მდინარეები თევზაობისთვის შესაბამის პირობებს ქმნიდა. აქაურ მდინარეებში დღესაც შეხვდებით კალმახსა და მურწას. თუმცა დღეს თევზაობის ყველანაირი სახეობა აკრძალულია, გარდა სპორტული თევზაობისა. ამ შემთხვევაში კი, წინასწარ უნდა მიმართოთ ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას.

ფშავში ნადირობას არამხოლოდ საყოფაცხოვრებო, არამედ რიტუალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მონადირე მოკლული ხარიშკის და ჯიხვის რქებს ხატს სწირავდა, იშვიათ შემთხვევაში კი სახლშიც იტოვებდა.

ცხვრის ბეწვისგან წარმოებული მატყლისაგან საყოფაცხოვრებო პროდუქტების დამზადების საშუალებას იძლეოდა.

ადგილობრივების თქმით, წინათ ფშაველ ქალს მოცლა არა ჰქონდა და იმდენად დაკავებული იყო, რომ სიარულის დროსაც კი ქსოვდა. ეს ჩვეულება დღემდე შემორჩათ უფროსი ასაკის ქალებს და სადაც არ უნდა წავიდნენ, საქსოვი პარკი მუდამ თან დააქვთ.

ფშაველ გოგონას, ხუთი წლის ასაკში უკვე უნდა სცოდნოდა წინდისა და ხელთათმანის, ანუ საფუხარის ქსოვა.

წინდასაც და ხელთათმანსაც ჩხირებით ქსოვენ და ფერად „საწინდე ბანრით“ აჭრელებენ.

მატყლისგან დართული შალით ქსოვდნენ არამართო თბილ წინდასა და ხელთათმანს, არამედ ტრადიციულ ფშაურ ფარდაებს, რომლებიც ყველა ოჯახში დღესაც არაერთია. ფარდაგი ქალის მზითვის

Pshavi Beekeeping counts a long history. Beekeeping was required by Pshavi customs. Burial or icon ceremonies were impossible without wax candles. Pshavs used lime-tree and elm wooden tub for bees.

Overflowing mountain rivers offer perfect conditions for fishing. They provide home for trout and barbel. However, all kinds of fishing are prohibited today, except sport fishing. For the latter, you should apply to the Pshav-Khevsureti Protected Areas Administration in advance.

Hunting in Pshavi carried a ritual significance. The hunter sacrificed antlers of a slaughtered deer and a tur to an icon; in rare cases, antlers were even kept at home.

Wool, obtained from sheep, provided material for household items. According to the locals, in the past, the Pshavi woman had no free time; they were so busy that they knitted while walking. This custom has been retained by elderly women to this day, and no matter where they go, they bring knitting with them.

By the age of five, a Pshavi girl was expected to know how to knit socks and gloves, aka sapukhari.

Socks and the gloves are made with wooden knitting needles and decorated with colorful “sock thread”.

In addition to socks and gloves, traditional Pshavi rugs are woven from wool as well. Every family owns several of those. The rug was an essential component of a woman's dowry, which she had to weave herself. Natural dyes are still used today for threads, hence, Pshavi weaving stands out due to its durability and vivid colors.

The predominant colors are brown, lilac (purple), black, scarlet, blue, light green and white. Pshavi call colored rug Tatrula (Tartar) carpet, while striped rug - Pshauri. Striped weaving is easy and inexpensive, while weaving a Tatrula rug is technically difficult and therefore expensive.





აუცილებელი კომპონენტი იყო, რომელიც თავად უნდა მოექსოვა. ძაფის შესაღებად, დღესაც ბუნებრივ საღებავებს იყენებენ, რომლებიც მდგრადობითა და ხასხასა ფერებით გამოარჩევენ ფშაურ ნაქსოვას.

ფერებში ჭარბობს ყავისფერი, ლილისფერი, ანუ სოსანისფერი, შავი, ალისფერი, ცისფერი, ღია მწვანე და თეთრი. ფერადობით ნაჭრელ ფარდაგს ფშავლები „თათრულა“ ხალიჩას უწოდებენ, ფერადბოლიანს კი ფშაურს. ბოლიანი ფარდაგის ქსოვა იოლია და იაფადაც ფასობს, თათრულას ქსოვა კი ტექნიკურად რთულია და შესაბამისად, ძვირიც ღირს.

ფშაური ფარდაგები რთული გეომეტრიული ფიგურებით გამოირჩევა. ნაჭრელაში ხშირად შეხვდებით ჯვრებსა და კავიანი არშიებს. ასევე სხვადასხვა ცხოველებსა და მცენარეულ ორნამენტებს.

ფშავში ტრანსპორტის ერთადერთ სახეობად, ავტომობილების გამოჩენამდე, ცხენი რჩებოდა. რელიეფიდან გამომდინარე, ცხენს დღესაც აქტიურად იყენებენ. შესაბამისად, ასე ხდებოდა არამართო მოსახლეობის, არამედ ბარგის ტრანსპორტირებაც. ამისთვის კი ყველაზე მოსახერხებელი, ნაჭრის ჩანთა- ხურჯინია.

ფშაური ხურჯინი სიმტკიცითა და ნაქსოვის ხარისხით გამოირჩევა. ამის გამოა, რომ მოთხოვნა საკმაოდ დიდია და კარგ ფასშიც იყიდება.

Pshauri rugs are known for intricate geometric figures. You will often find cross and hook edging, as well as various animals and plant ornaments.

Horseback used to be the only form of transportation before the advent of cars. Due to the terrain, horse-riding is still actively used today. Consequently, not only the population but luggage was transported on horseback. Khurjin (cloth sack) is most convenient in such cases.

Pshavi khurjin is notable for its strength and quality of weaving. Consequently, the demand is quite high and it is also sold at a good price.

კულინარია Cuisine

ფშავში ამბობენ, ერბო ქონი კი არა, ერბო ჯანიაო და ამას ერბოს ხშირი გამოყენებით ნამდვილად ამტკიცებენ.

ფშაური სამზარეულო, ისევე როგორც საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისა, სადაა, პომპეზურობასა და გაპრანჭვას მოკლებული და გარემო პირობებს მაქსიმალურად მორგებული. კერძები აუცილებლად ნოყიერი უნდა ყოფილიყო, ფიზიკური შრომისას დახარჯულ ენერგიას, მთიელი ადამიანი სხვანაირად ვერ აინაზღაურებდა. სწორედ ამიტომ, რომ ფშავის სამზარეულო ძირითადად ცომეულის, რძის პროდუქტებისა და ხორცისაგან შედგება. სეზონურად კი ამას ტყეში სოკო და სხვადასხვა მხალეული ემატება.

ფშაურ ყოფაში დღემდე დასტურდება უძველესი ტრადიციული ფორმები, რიტუალური პურობა, რიტუალური საჭმელი. სამსხვერპლო ხორცეულისა და რძის პროდუქტების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასმელს, ღვინოსა და ლუდს.

ლუდი მთის ყოფაში და რიტუალები

ფშავის გეოგრაფია და კლიმატიდან გამომდინარე, აქ ყურძენი არ ხარობს. ამიტომ ფშავლებს ღვინო ყოველთვის კახეთიდან ამოჰქონდათ და ძალიან უფრთხილდებოდნენ. გარდა საკრალური დანიშნულებისა, ღვინოს წამლადაც იყენებდნენ.

ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ფშავში უამრავი ქვევრი და თიხის საღვინე ჭურჭელია აღმოჩენილი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ასწლეულების მანძილზე აჰქონდათ მთიელებს კახური ღვინო ბარიდან მთაში. სხვათაშორის, ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებაც იმ ტერიტორიას, სადაც ვაზი ხარობს, ბარად მიიჩნევენ, ხოლო სადაც არა - მთად.



They say in Pshavi that erbo - boiled butter- is not a fat, it is a strength. Pshavs prove it by using erbo in many of the dishes.

Like in other mountainous regions of Georgia, Pshavi cuisine is plain, devoid of spectacle and finery, and adapted to environmental conditions as much as possible. The dishes had to be nutritious, otherwise mountaineers would not be able to get the energy needed for taxing physical labor. This is why Pshavi cuisine consists mainly of baked goods, dairy products and meat. Seasonally, mushrooms and various herbs are added to the menu.

Ritual feast and ceremonial foods that follow ancient traditional forms are still part of Pshavi life. Beverages like wine and beer are especially important along with sacrificial meat and dairy products.

Beer and Rituals in Mountain Life

Grapes don't grow in Pshavi due to its geography and climate. That is why Pshavi people used to bring precious wine from Kakheti. They treated it with reverence, used it for sacral purposes and as a medicine.

This might be the reason why numerous kvevri and clay wine vessels were found in Pshavi. This indicates that for centuries the mountaineers brought Kakhetian wine from the valley to the mountains.

By the way, Georgian ethnographic science considers the area where the vine grows as a valley, and where it does not - as a mountain.

ფშავში ცნობილია ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება ღვინისადმი. როგორც მისი თანამედროვენი იხსენებენ, ვაჟას ღვინო, ქეიფი და დროსტარება ძლიერ უყვარდა. თუმცა, ზომაც იცოდა და როცა შეზარხოშდებოდა, წვეთსაც აღარ დალეოდა.

ერთი ჩვეულება ჰქონია ვაჟას: ღვინის სმისას, ჭიქას ჭიქაზე არასოდეს მიაჭახუნებდა. ამბობდა, ეს ჩვენებური წესი არ არისო.

მცენიერული შეხედულებით, მთა და ბარი ვაზის გავრცელების არეალითაა ერთმანეთისგან გაყოფილი: იქ სადაც ვაზი ხარობს, ბარად მიიჩნევა, ხოლო სადაც არ ხარობს, მთად.

სწორედ ამ გეოგრაფიულმა და ყოფითმა პირობებმა გამოიწვია ის, რომ ლუდის წარმოებამ მთაში ფეხი მყარად მოიკიდა და ბარის ღვინო ჩაანაცვლა.

ფშავლებს საკმაოდ ხშირად, ხატის მამულები გააჩნდათ კახეთში, საიდანაც დიდ დღეობებსა და ხატობებზე მთაში აჰქონდათ. მაგრამ ამას ფრამენტული ხასიათი ჰქონდა. მთიელები: ხევსურები, თუშები, მოხევეები და ფშავლები უმეტესად თავიანთი გამოხდელი ლუდით დღესასწაულობდნენ. აღსანიშნავია და სადღესასწაულო კი საკმარისზე მეტიც იყო ლუდისათვის სვია არის საუკეთესო საკაზმავ-შესანელებელი მცენარე, რომელიც სრულყოფილ თვისებას აძლევს ლუდს. სვია უძველესიდან ხარობდა საქართველოში, მაგრამ ძალიან ცოტაა და ისიც უხარისხო, მის მთიან ნაწილში. ამიტომ, ფშავლები სვიას ან ყიდულობდნენ (ძირითადად ცვლიდნენ ნატურალურ საქონელზე – ყველი, მატყლი, საკლავი) ან თავად მიჰქონდათ წინასწარ შეგულებული ადგილებიდან. ლუდი საუკეთესო მაშინ გამოვა, თუკი სვია ფორის რაოდენობისა დაეყრება. ასეთი პროპორციით მიცემული სვია ლუდს „სიმწარესა და თრობას“ აძლევს. სვიის ფუებას ხევისბერი წარმართავს, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი ამ საქმეს შეაღია და გამოცდილებაც ყველაზე მეტი აქვს. ამავე დროს, ამ პროცესში, უკვე შემოდის რაღაც მისტერიული სულისკვეთება, იმის აშკარა გამოხატულებით, რომ ფუება შეუძლია მხოლოდ იმ კაცს, ვინც ღმერთსა და ხალხს შორის შუამავალია. აქედან ლუდის, როგორც სარიტუალო სასმელის ხასიათი იკვეთება და ის უკვე გამოდის ჩვეულებრივი ყოფითი პრაქტიკის ფარგლებიდან. ამ პროცესში კიდევ ერთხელ და მერამდენედ გამოიცდება ხე-

Vazha-Pshavela's attitude towards wine is known in Pshavi. As his contemporaries recall, Vazha loved wine, merriment and pastime. However, he also knew his limit and would not drink a drop over it.

Vazha had one ritual: when drinking wine, he would never click glass to another glass. He claimed that this was not our custom.

From a scientific point of view, the mountain and the valley are divided by the area of distribution of the vine: valley is considered the area where the vine grows, and mountain is considered an area where it does not. Consequently, beer production took a firm foothold in the mountains and replaced valley wine, due to these geographical and living conditions. Pshavs and Khevsurs often owned icon lands in Kakheti. They used to bring icons from Kakheti to the mountains for big celebrations, though this ritual was fragmentary. Mountaineers: Khevsurs, Tushs, Mokheves and Pshavs mostly celebrated with their own distilled beer. There was much to celebrate. Hops is the best flavor provider that gives beer its perfect properties. Hops has been growing in Georgia since ancient times, but in the mountains, it grows in small quantities and is of a poor quality. Therefore, the Khevsurs and Pshavs either bought hops (mainly exchanged it for natural goods - cheese, wool, livestock) or gathered it in pre-determined places. When used in the right proportion, hops give beer "bitterness and drunkenness". Khevisberi, the community leader, is responsible for the fermentation process. He spends much of his life supervising this process and thus has the most experience. Hence, fermentation carries a mysterious spirit, with the obvious expression that only the man who is the mediator between God and people can control it. This forms the character of beer as a ritual drink, which surpasses the scope of an ordinary everyday practice. In this process, with the whole arsenal of sacralization, Khevisberi's authority is tested again and again. Thus, he proves why he was chosen as a link between people and deities.

Recent history and modern life have changed mountain traditions and seemingly shifted to them towards the valley. However, as soon as the Easter holiday is over and the Atengenoba-Atnigenoba cycle starts approaching, mountaineers who have been hiding in the valley, head to the ancestral shrines. Probably one of the most important moments of these days that everyone is looking forward to is the beer presentation ceremony.

ვისბერის ავტორიტეტი საკრალიზაციის მთელი არსენალით, რის გამოც ის შერჩეული იქნა თავის დროზე ხალხსა და ღვთაებათა შორის მეკავშირედ.

უახლესმა ისტორიამ და თანამედროვე ყოფა-ცხოვრებამ შეცვალა მთის ტრადიციები და თითქოს ბარის ტემპზე გადააწყო. თუმცა, როგორც კი აღდგომის დღესასწაული ჩაივლის და შუა ზაფხული მოახლოვდება, ბარში ჩახიზნული მთიელები წინაპართა სალოცავებში გასწევენ. ამ დღეობების აღბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელსაც ყველა ელოდება, ლუდის გამოტანის ცერემონიალია. ხევისბერი, ნაკურთხი ლუდით ხელში, ხატსა და ჯვარს თავს დაუდრეკს, დაამწყალობებს, სახუცო ჭურჭლის მაღლა აწევით ჯვარიონს ხატობას მიულოცავს და დაიწყება ტრადიციული მოლხენა. თითქოს ერთი დღით ყველა იმ წარსულში ბრუნდება, სადაც მათი წინაპრები მსხდარან ამ ადგილებში.

ფშავური ხინკალი

ფშაველები სიამაყით ამბობენ, რომ სწორედ მათ აჩუქეს ქართულ სუფრას ყველასათვის საყვარელი და ყველა სუფრის მშვენება ხინკალი.

Khevisberi, with a blessed beer in his hand, bows down to the icon and the cross, blesses it, congratulates people by raising elder vessel, and begins the traditional festivities. It is as if for one day they all return to the past, to the places where their ancestors used to sit.

Pshavi Khinkali

Pshavs proudly declare that they presented Khinkali, everyone's favorite and the star of all feasts, to the Georgian table.

While khinkali is cooked everywhere, Pshavi is considered to be its place of origin.

Making khinkali is an art form here, and its preparation is a whole ritual, with its set of rules.

Much larger khinkalis were made in Pshavi in the past. Those 3-4 khinkalis would satiate even a person with a very boisterous appetite. Relatively small, bitesize khinkalis are made today. According to the local tradition, khinkali should have at least 18 wrinkles, with a maximum of 25 wrinkles.





მართლაც, ხინკალს ყველგან ამზადებენ, თუმცა მისი ადგილწარმოშობის ადგილად ფშავი ითვლება.

ხინკლის მოხვევა აქ ხელოვნების დონეზეა აყვანილი და მისი მომზადება მთელი რიტუალია, თავისი წესების დაცვით.

ადრე, ფშავში ბევრად დიდი ზომის ხინკლებს ამზადებდნენ. როგორც ამბობენ, 3-4 ხინკალი, ყველაზე მჭამელ კაცსაც კი ანაყრებდაო. დღეს შედარებით პატარა, „ორლუკმა“ ხინკლებს ახვევენ. ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ხინკალს სულ მცირე, 19 ნაოჭი უნდა ჰქონდეს, ყველაზე მეტად კი 25 ნაოჭიანი ხინკალი ითვლება.

ხინკლის მომზადების პროცესში ყველა ეტაპი თანაბრად მნიშვნელოვანია. ცომის მოხელიდან, ხინკლის მაგიდასთან მიტანამდე.

თუშებისგან განსხვავებით, სადაც ხინკლის ცომს ცხელი წყლით ზეულენ და უფრო რბილია, ფშავში ცივი წყლით იზილება. ცომი მაგარი უნდა იყოს, რომ ცხელ წყალში არ დაიშალოს, ცომი პრიალებდეს და ნაოჭებიც ლამაზი და თანაბარი გამოვიდეს. ტრადიციულ ფშაურ ხინკალს, მისი ქალაქელი თანამოძმეებისგან განსხვავებით, პანანინა კუჭები აქვს. ამ მცირე ზომის კუჭებს პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს: გარდა იმისა, რომ ნარჩენი მცირდება, მეორე დღეს, ცივი ხინკლის ერბოში გაფიცებისას, ორივე მხარეს თანაბრად იბრანება.

ფშავში ხინკალს ძროხის, ან ცხვრის ხორცისგან ამზადებენ, ზოგჯერ ურევვენ კიდეც. ამ შემთხვევაში, საქონლის ხორცი ორჯერ მეტი უნდა იყოს ცხვარზე. ჩვეულებისამებრ, ხორცს ბასრი ხანჭლით, ან პატარა ცულით კეპავენ. გულსართს სურვილის მიხედ-

All stages of the khinkali preparation process are equally important: from the dough rolling to placing it on the table.

Unlike Tusheti, where khinkali dough is kneaded with hot water, which makes it softer, Pshavi Khinkali is mixed with cold water. The dough should be firm, so that it does not dissolve in hot water, it should shine and the wrinkles have to be beautiful and even. Unlike its urban counterparts, traditional Pshavi khinkali, has tiny “dough tails”. These small tails also carry a practical purpose: in addition to reducing the waste of food, the next day, when a cold khinkali is sautéed in erbo, both sides are evenly cooked.

In Pshavi, khinkali is made from beef or mutton, those two are sometimes even mixed. In this case, the beef should be twice as much as the lamb. The meat is usually minced with a sharp dagger or a small ax. Onions and peppers are added, as desired. The secret of an ideal khinkali is in the mixture of its contents in the right proportions and in the cumin, which is also called tkiura, or zira. This plant is collected in the forest in the fall and dried. Cumin is the best spice for all meat dishes, including khinkali. In addition to meat khinkali, potato and cheese khinkalis are also prepared in Pshavi, enjoyed with melted erbo.

Mountain fern is a plant that grows almost everywhere in Georgia, but cooked only in Pshavi. In Kakheti, fern leaves were spread on a winepress before the grapes were crushed to filter the sweet juice from grape pips and skins. Occasionally, if too much fern was added, it gave the wine a peculiar, specific taste. That's why sometimes they say that wine tastes like a fern.

There are many variations of fern dishes in Pshavi and the choice is only a matter of taste.

ვით უკეთებენ ხახვსა და წინაკას. იდეალური ხინკლის საიდუმლო მისი შიგთავსის შეზავებაში, სწორ პროპორციებსა და კვლიავშია, რომელსაც ტყუირასაც, ან ძირას ეძახიან. ამ მცენარეს შემოდგომას აგროვებენ ტყეში და ახმობენ. კვლიავი საუკეთესო საკმაზია ყველა ხორციანი კერძისთვის, მათ შორის ხინკლისთვისაც.

ხორციანი ხინკლის გარდა, ფშავში კარტოფილიან და ყველიან ხინკალსაც ამზადებენ, რომელსაც გამდნარ ერბოსთან ერთად მიირთმევენ.

ჩადი/ ჩადუნა/ გვიმრა - მცენარეა, რომელიც საქართველოში თითქმის ყველგან ხარობს, თუმცა, კერძს მისგან მხოლოდ ფშავში ამზადებენ. კახეთში ჩადუნას ფოთლებს ყურძნის დანურვამდე საწნახელში ჩადებულ მოწნულ ლასტებზე დააფენდნენ, რათა ტკბილი წვენი წიპწისგანა და ჩენჩოსგან გაეფილტრათ. ზოგჯერ თუ მომეტებული იყო ჩადის ფოთლები, ღვინოს თავისებურ, სპეციფიკურ გემოს აძლევდა. სწორედ ამიტომ ამბობენ ხოლმე ღვინოზე, ჩადის გემო აქვსო.

ფშავში კი, ჩადუნას კერძების მრავალგვარი ვარიაცია არსებობს და არჩევანი მხოლოდ გემოვნების საკითხია.

აპრილში, როცა ჩადუნა ეს-ესაა შემოდის, ჯერ კიდევ ნორჩ და გაუშლელ ჩახვეულ სპირალებს კარგად გაარჩევენ, გარეცხავენ, დაკეპავენ და ერბოსა და ხახვთან ერთად მოდალავენ. წვრილად დაჭრილ ქინძს დაუმატებდნენ და ხაჭოს გადაურევდნენ.

ასევე შესაძლებელია მისგან წვნიანის მომზადება, ნიგვზითა და ნივრით შენელება, დამწნილება, ანდაც საზამთროდ ქილებში მოხუფვა.

გაზაფხულიდან მოყოლებული, ფშავის მინდვრებზე ერთი ბალახი მეორეს ცვლის. აქ საკვებად ვარგისიც ბევრია. არჯაკელი, ბალბა, ნაცარქათამა, შიბუ, თითმავალა. ეს მხალეული როგორც ქადის გულსართად, ან ცალკე კერძადაც გამოიყენება, მოდალულ ხახვთან და ნედლ მწვანილთან, ან ნიგოზთან ერთად.

დამბალხაჭო სრულიად განსაკუთრებული პროდუქტია, რომელსაც ფშავსა და თიანეთში ამზადებდნენ და ხაჭოს დამწნილებით მიიღებენ.

In April, when the fern arrives, the still young and unripe spirals are well sorted, washed, chopped, and roasted with onions in boiled butter. Finely chopped coriander is added and mixed with cottage cheese.

Mountain fern is also used to prepare soup seasoned with nuts and garlic. This soup may be pickled or stored for winter in jars.

From spring onwards, one herb in the Pshavi fields replaces another. Many of these herbs are good to eat. Sweet pea, mallow, goosefoot, Alpine leek, and amaranth are used as kada filling or as a separate dish, with roasted onions and raw herbs, or walnuts.

Dambalkhacho is a completely special dish, which was prepared in Pshavi and Tianeti and consists of fermented cottage cheese.

In 2014, UNESCO granted Dambalkhacho the status of an intangible cultural monument.

The process of preparing Dambalkhacho is quite long and time consuming. Initially, the milk is skimmed in varia. Varia is a wooden skimmer that is attached to the ceiling via ropes or chains. The skimmer is operated by feet. The main purpose of varia is that a person who skims the cream is able to perform other tasks as well, for example, attend handicrafts.

The second type of skimmer is called "chkhuti" and is made of a whole piece of wood. Chkhuti is mostly a tall and deep vessel designed to store as much milk, as possible. Separated butter is placed in another container. After that, the remaining buttermilk is poured in varia and heated. At this point, milk curdles, forming cottage cheese. Cottage cheese is separated from whey and placed into a clean piece of cloth, which is hang to dry. The next day, the already dried cottage cheese is mixed with salt, rolled into medium-sized balls and placed on a dzobani. Dznobani is woven from twigs. It is placed above the fire. Dambalkhacho is smoked and matured for almost 7-10 days, when cottage cheese rolls form a noticeable shell. The main thing is not to dry them out too much and keep them soft. Afterwards, the little pieces of dambalkhacho from dzobani are thoroughly washed and dried in the sun. Then they are stored in a deep wooden container or in a clay pot for maturation - as they say in



2014 წელს, იუნესკომ დამბალხაჭოს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიანიჭა დამბალხაჭოს მომზადების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადია. თავდაპირველად, რძეს ვარიაში დღვებენ. ვარია - ხის სადღვებია, რომელიც ჭერიდან ჩამოშვებულ თოკებსა ან ჯაჭვზეა დამაგრებული და ფეხით დღვებისთვის გამოიყენება. ვარიას მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ადამიანი, რომელიც ნაღებს დღვებს, არ მოსცდეს და პარალელურად სხვა საქმი-თაც დაკავდეს, მაგალითად ხელსაქმით.

მეორე ტიპის სადღვებელს „ჩხუტი“ ჰქვია და ის ხის მთლიანი მორისგან გამოთლილ პირიან ჭურჭელს წარმოადგენს. ჩხუტი უმეტესად მაღალი და ღრმა ჭურჭელია, რაც შეიძლება მეტი რძე რომ ჩატეულიყო. როდესაც კარაქი შეიდღვებება, მას ამოარჩევენ და ცალკე ჭურჭელში ჩადებენ. ამის შემდეგ, ვარიაში დარჩენილ დოს გააცხელებენ. ამ დროს დო ახა-

ჭოვდება. შრატისგან გამოცალკევებულ ხაჭოს სუფ-თა თოფრაში, ნაჭრის ტოპრაკაში მოათავსებენ და დასაწრეტად ჩამოკიდებენ. მეორე დღეს, უკვე მშრალ ხაჭოს მარილს გადაურევენ, ამოაგუნდავენ საშუალო ზომის გუნდებად და ძობანზე მოათავსებენ. ძობანი წნელისგან დაწნულ სათავსს ჰქვია, რომელიც შუაცეცხლთან ახლოს ჰკიდია. სწორედ აქ იბოლებიან და მწიფდებიან დამბალხაჭოს კვერები თითქმის 7-10 დღე, რა დროსაც უკვე შესამჩნევ გარსს იკეთებენ. მთავარია, რომ ძალიან არ გამოშრეს და სირბილე შეინარჩუნოს. ძობანიდან ჩამოღებულ კვერებს ფაქიზად გარეცხავენ და მზეზე გააშრობენ. ამის შემდეგ კი დასამწიფებლად ხის ღრმა ჭურ-ჭელში, ან თიხის ქოთანში შეინახავენ, როგორც ფშაპში იტყვიან, „დასალობად“. ამ პროცესს ერთი-ორი თვე სჭირდება დაახლოებით. ამის შემდეგ, ფშაური დამბალხაჭო მოხმარებისთვის მზადაა. დამბალხაჭოს მომზადება ადრე გაზაფხულიდან შე-

მოდგომამდეა შესაძლებელი, ყველაზე გემრიელად კი მაინც შემოდგომისა ითვლება. თანაც მისი შენახვა უფრო ხანგრძლივი დროითაა შესაძლებელი. იგი, როგორც ყველი, პურთან და ღვინოსთან ერთად შეიძლება მიირთვათ, ან სანაქებო და უგემრიელესი ფშაური კერძი - ხაჭოერბო მოამზადოთ. მისი მომზადება საკმაოდ სწრაფად და მარტივად შეიძლება, ამიტომაც ამბობენ ფშავში, ხაჭო-ერბო სახელდახელოა.

ხაჭო-ერბოს მოსამზადებლად, თავდაპირველად დამბალხაქოს კვერებს კანს გადააფხევენ, დათლიან და ცოტა ხანს წყალში დააყოვნებენ. ამასობაში, ცეცხლზე შემომდგარ ქურქელში ბლომად ერბოს ჩააგდებენ, დამბალხაქოს დაუმატებენ და ხის კოვზით გამუდმებით ურევნენ მასის სრულ გაღვობამდე. ფშავში, ამ კერძს ძალიან მარტივად, პურის ამოწებით, ხელით ჭამენ.

ტრადიციულად, ხაჭო-ერბოთი და ხინკლით, ძვირფას და საპატიო სტუმარს უმასპინძლებოდნენ. დღემდე ძალიან პოპულარულია კეცულები და ქადები, როგორც ხორცისა, ისე ხაჭოსი, ყველისა და სხვადასხვა გულსართით, რომელიც სეზონისა და დღესასწაულების მიხედვით იცვლება. ხორცი და მისგან წარმოებული პროდუქტები - მწვადი, ხინკალი და ხორციანი წვნიანი, ფშაური სამზარეულოს აუცილებელი ელემენტია.

ფშავლები არ ჭამენ ღორის ხორცს, არც იყოლიებენ ღორს და არც ხინკალში ხმარობენ. რძისგან აწარმოებენ მანონს, ნაღებს, კარაქსა და ერბოს, ხაჭოს. ხორცისა და რძის პროდუქტებით სავსე სამზარეულოს მიუხედავად, ფშავლები მარხვას დღემდე მტკიცედ ინახავენ, რა დროსაც უცხიმო და უხორცო კერძებს ამზადებენ. განსაკუთრებით ცერცვიანსა და ლობიოს, რასაც ლებიოს შაჭამანდს ეძახიან.

ხმიადები რიტუალურ პურად ითვლება, თუმცა მას ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხშირად აცხობენ. ეს უსაფუარო თხელი პური, ძირითადად მრგვალი ფორმისაა, რომელსაც ერბო-ყველთან, ან დანაყილ ნიგოზთან ერთად მიირთმევენ. ზოგჯერ კი ვეძათი, ანუ მჟავე წყლით მოზეღენ ცომს, რაც ბუნებრივად ფუფულას ხდის და ბევრად ნაზ სტრუქტურას აძლევს.

ასეთ ხმიადებს განსაკუთრებით უხდება ბალახების ჩაი, როგორიცაა პიტნა და ველური ქონდარი.

Pshavi, “to soak” (dambalkhacho means soaked cottage cheese). This process takes about a month and afterwards dambalkhacho is ready for consumption. Dambalkhacho can be prepared from early spring to fall, though it is considered to be the most delicious in fall. Moreover, it can be stored for a longer period of time. It can be served as a cheese with bread and wine. Dambalkhacho is also used to prepare praiseworthy and delicious Pshavi dish - khachoerbo. It can be prepared quite quickly and easily, that's why they in Pshavi they call khachoerbo a makeshift dish.

To prepare khachoerbo, first the dambalkhacho is peeled and soaked in water for a short while. Meanwhile, the erbo (boiled butter) is thrown into a pot on the fire, the dambalkhacho is added and stirred constantly with a wooden spoon until the mass is completely thawed. In Pshavi, this dish is easily eaten by hand, dipping bread in it.

Traditionally, only dear and honored guests are offered khachoerbo and khinkali.

Ketseuli and kades are still very popular in Pshavi. They can be prepared with meat and cottage cheese, cheese and various fillings, which change according to the seasons and holidays.

Meat and meat dishes - barbecue, khinkali and meat soup - are an essential element of Pshavi cuisine.

Pshavs do not eat pork, nor do they keep pigs. They do not use pork in khinkali.

Sour cream, cream, butter, boiled butter and cottage cheese are pshavi dairy products.

Despite the cuisine full of meat and dairy, Pshavs still observe strict fasting. During the fasting period, they prepare meatless and fatless dishes, like lentils and beans, which are called lobio food.

Khmiadi is considered a ritual bread, although it is often baked everyday as well. This unleavened thin bread is mostly round in shape, served with erbo-cheese, or crushed walnuts. Sometimes dough is kneaded with mineral water, which makes it naturally fluffy and gives a much softer structure.

Khmiadis go especially well with herbal teas such as mint and wild savory.

როგორ მოვხვდეთ ფშავში

How to Get to Pshavi

ფშავის ხეობა საკმაოდ ვიწროა. ამის გამოა, რომ სოფლები უმეტესად მდინარე არაგვის გაყოლებზეა ჩამწკრივებული და შესაბამისად, გზაც მდინარეს მიუყვება.

გზა ნაწილობრივ კეთილმოწყობილია, ნაწილი გრუნტისაა. ნაწილიც კი ეტაპობრივად კეთდება. ყოველი ზამთრის შემდეგ, გზა ფუჭდება და რეაბილიტაციას ითხოვს. უკანა ფშავის სოფლები საკმაოდ მიუდგომელია, ბევრგან სამანქანე გზა დღემდე არ შესულა (რელიეფიდან გამომდინარე) და ადგილობრივ ტრანსპორტად ცხენი გამოიყენება. უკანა ფშავში სამოგზაუროდ, წლის ნებისმიერ დროს, მაღალი გამავლობის მანქანაა რეკომენდებული.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი თბილისიდან ჩარგალში ყოველდღე დადის, შუაფხოში - კვირაში 2-3-ჯერ. ფშავში მოხვედრა ასევე შესაძლებელია ხევსურეთის სოფლებისკენ (ბარისახო, გუდანი, შატილი) მიმავალი სარეისო ტრანსპორტითაც.

Pshavi gorge is quite narrow. Hence, most of the villages are located along the Aragvi River and, consequently, the road follows the river as well.

The road is partly paved, partly dirt road. Some of it eventually gets repaired. Roads break down every winter and requires rehabilitation. The villages of rear Pshavi are quite inaccessible, roads are not constructed in many places (due to the terrain) and the horseback is used for local transportation. Off-road vehicles are recommended for travel to the rear Pshavi at any time of the year.

Public transportation is available from Tbilisi to Chargali every day, to Shuapkho - 2-3 times a week.

It is also possible to get to Pshavi by using minibus that goes to Khevsureti villages (Barisakho, Gudani, Shatili).



ფშავი, ბილიკი უკანტბის უღელტეხილზე.

ტურისტული მარშრუტები ფშავში

Tourist routes in Pshavi

ფშავი ტურისტული მარშრუტების სიმრავლით გამოირჩევა. ადგილობრივი ბუნება შესაძლებლობას იძლევა როგორც სათავგადასავლო, ისე ექსტრემალური ტურიზმით დაკავდეს აქ ჩამოსული ტურისტი.

ფშავის არაგვი ჯომარდობისთვის ყველაზე პოპულარული ადგილია. აქ მდინარე შედარებით მდორედ მოედინება, რაც საოჯახო გართობისა და ექსტრემალური გამოცდილებისთვის კარგი ნაზავია.

ფშავის გამორჩეული სოფელი უდაოდ სოფელი ჩარგალია, სადაც ქართველებისთვის საყვარელი პოეტი და პროზაიკოსი, ბუნების მგოსანი, ვაჟა ფშაველა დაიბადა. აქაა მოწყობილი მისი სახლ-მუზეუმი, სადაც ვაჟას პირადი და საოჯახო ნივთებია წარმოდგენილი.

ესაა ვაჟას მამისეული, პავლე რაზიკაშვილის სახლი, რომელიც მთლად პირვანდელი სახით არაა შემონახული, მუზეუმად გადაკეთების დროს, მცირედ სახე იცვალა.

ვაჟა, იგივე ლუკა რაზიკაშვილი, სოფლიდან თბილისში წასულა ცოდნის მისაღებად, აქედან კი მალევე გორში გადასულა სასწავლებლად. სწორედ გორიდან ჩამოიტანა კაკლის ნერგი, რომელიც დღესაც დგას ვაჟა-ფშაველას სახლმუზეუმის ეზოში.

საინტერესო ფაქტია, რომ მამაკაცის სახელი ვაჟა, პოპულარული მხოლოდ ვაჟა-ფშაველას შემდეგ გახდა. პეტერბურგში სწავლისას, ქართველი მეგობრები მას ხან „ვაჟათი“ მიმართავდნენ, ხან „ფშაველოთი“. როდესაც ვაჟამ წერილებისა და ლექსების გამოქვეყნება დაიწყო გაზეთებში, სწორედ ამან უბიძგა, ფსევდონიმად ვაჟა-ფშაველა აეღო.

მძიმე შრომამ და გაჭირვებამ, ვაჟას ჯანმრთელობაზე იმოქმედა. მას ფილტვის პლევრიტი დაუდგინეს და ოპერაციაც გაუკეთეს. თუმცა, მუხთალმა სენმა მაინც იჩინა თავი და ექიმებმა ვეღარ უშველეს. იგი სრულიად ახალგაზრდა, 53 წლის ასაკში, 1915 წლის

Pshavi offers an abundance of tourist routes. The local nature provides an opportunity for both adventure and extreme tourism.

Pshavi Aragvi is the most popular place for rafting. The river here flows relatively gently, which is a good mix for family fun and extreme experiences.

Chargali is without doubt the most distinctive village of Pshavi. This is where Vazha-Pshavela, a favorite poet and prose writer was born. His house-museum is located here, exhibiting Vazha's personal and household items.

This is the house of Vazha's father, Pavle Razikashvili. It is not completely preserved in its original form, it was slightly changed during the transformation into a museum.

Vazha, also known as Luka Razikashvili, left the village for Tbilisi for education, and soon moved to Gori to study. He brought a walnut seedling from Gori, which still stands in the yard of the Vazha-Pshavela house-museum.

It is an interesting fact that Georgian male name Vazha became popular only after Vazha-Pshavela. While studying in St. Petersburg, Georgian friends sometimes referred to him as "Vazha" and sometimes as "Pshaveli". This prompted him to take Vazha-Pshavela as his pen name, when he started publishing letters and poems in newspapers.

Hard work and hardship affected Vazha's health. He was diagnosed with pulmonary pleurisy and had to go through a surgery. However, doctors could not help and the illness took him. He died quite young, at the age of 53, on July 10, 1915. He is buried in Mtatsminda Pantheon in Tbilisi.

The World Peace Council decided in 1961 to mark the 100th anniversary of his birth around the world. Vazha's books have been translated into many languages of the world. According to modern legend, the French actor Alain Delon often read Vazha's stories to combat melancholy and bad mood.

10 ივლისს გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, მთაწმინდის პანთეონში.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 1961 წელს მთელს მსოფლიოში აღინიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი. ვაჟას წიგნები კი მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. თანამედროვე გადმოცემის მიხედვით, ფრანგი მსახიობი, ალენ დელონი, ხშირად კითხულობდა ვაჟას მოთხრობებს და ასე ებრძოდა მელანქოლიასა და ცუდ განწყობას.

„ლექსო, ამოგთქმე, ოხერო, თორთქნება ვკვდებოდე და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქოსა რჩებოდე...“

ეს ყველაზე ცნობილი ლექსი, უსამართლოდ მივიწყებულ და ბევრისთვის უცნობ ავტორს, მიხა ხელაშვილს ეკუთვნის.

მიხა უკანა ფშავში, სოფელ ახადში დაიბადა. დღეს ეს სოფელი ცარიელია და მხოლოდ ზამთრის ერთ დღეს ცოცხლდება, როცა 25 იანვარს, მიხას დღეობაზე ამოდის ხალხი. (სულ ცარიელი არ არის, ზაფხულობით ცხოვრობენ იქ ადგილობრივებიც და მისულებიც, რომლებიც მეურნეობით არიან დაკავებული) (25 იანვარს უფრო მეტად ხალხი ჩარგალში, მიხას საფლავზე იკრიბება, ამიტომ ამის ხსენება უცელებელი)

მიხას თბილისში დაუმთავრებია სასულიერო სასწავლებელი, რის შემდეგაც მშობლიურ ფშავში დაბრუნებულია და აქვე დაუწყო მსახურება. ჩარგალშივე გაუჩენია სამეგობრო და აქვე უპოვნია სიყვარული, დედუნა ბაჩიაშვილი, ვისთანაც 1922 წელს ქალიშვილი - თამარი შეეძინა.

კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ, რასაც ეკლესიების დევნა და მთის ხალხის აწიოება მოჰყვა, მიხამ კაბა გაიხადა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს შეუერთდა. ქაქუცამ შეაქრქვა მას „კარის მგოსანი“, თუმცა მიხა თავის თავს უფრო „ველის მგოსანს“ ეძახდა.

მიხა საბჭოთა მილიციას ბევრ პრობლემას უქმნიდა. ბევრჯერ სცადეს მისი შეპყრობა, მაგრამ ყოველჯერზე ამაოდ. საბოლოოდ, საბჭოთა დამტყუბნის განბილებით გამოწვეული უიმედობა იქამდე მივიდა, რომ მათ მიხას ხანდაზმული დედა შეიპყრეს და

“My poem, let me will utter you, cause what if I’m dying tomorrow and you’re the one who stays in this world in my memory”.

This most famous poem belongs to Mikha Khelashvili, an unfairly forgotten and unknown author.

Mikha was born in rear Pshavi, in the village of Akhadi. Today this village is empty and only comes to life one winter day – people celebrate the poet’s birthday on the 25th of January.

Mikha had graduated from the Theological Seminary in Tbilisi; he then returned to his native Pshavi and led a congregation there. He made friends and found love, Deduna Bachiasvili, in Chargali. In 1922 the couple got married and had a daughter - Tamar.

After the establishment of the communist regime, followed by the persecution of the churches and the uprising of the mountain people, Mikha took off his priest robes and joined Kakutsa Cholokashvili. Kakutsa called him a “court poet”, although Mikha considered himself more of a “field poet”.

Mikha posed many problems for the Soviet militia. Eventually, when he could no longer be caught, his mother was killed. He himself became a victim of betrayal, killed by his friends.

“Poem, let me utter you” was first included in Vakhushti Kotetishvili “Folk Poetry” published in 1934. It was a big and bold step on his part, as at that time mentioning Mikha’s name was forbidden, let alone publishing his poem. Mineral water spring is located near Chargali, at the confluence of the rivers Chargluri and Aragvi, where you can taste Veja mineral spring water.

Here you can find famous Pshavi khinkali. Traditionally, khinkali is boiled in a huge copper pot placed over the fire. Khinkali and the pot is worthy of any museum exhibition. A public holiday “Vazhaoba” is held annually, on July 29. This is Vazha’s birthday. Many people gather here, a concert and a small market is held. Hence, if you’d rather avoid crowds, it’s better to go another time.



წამებით სიკვდილამდე მიიყვანეს. მათ იმედი ჰქონდათ რომ მიხა ხელაშვილი გამოჩნდებოდა და ასე მაინც შეიპყრობდნენ მას, თუმცა ეს მცდელობაც ფუჭი აღმოჩნდა. კახეთის აჯანყების შემდეგ პარიზისკენ გადასახლებაში მიმავალი ქაქუცა ჩოლოყაშვილი მიხა ხელაშვილს სთხოვდა მასთან ერთად წასულიყო, თუმცა მიხა სამშობლოს ვერ შეელია. მიხა ხელაშვილის ცხოვრება ტრაგიკული აღმოჩნდა. საბოლოოდ, კი ის ლალატის მსხვერპლი გახდა. 25 იანვარს, საკუთარ დაბადების დღეზე, 25 წლის ასაკში თავისივე მეგობრების ხელით გამოემშვიდობა სიცოცხლეს.

„ლექსო ამოგთქომ“ პირველად 1934 წელს გამოცემულ „ხალხურ პოეზიაში“ შეიტანა ვახუშტი კოტეტიშვილმა. ეს დიდი და გაბედული ნაბიჯი იყო მისი მხრიდან, რადგან ამ დროს არათუ მიხას ლექსები, მისი სახელის ხსენებაც აკრძალული იყო.

ჩარგალთან ახლოს, მდინარეების ჩარგლურისა და არაგვის შესართავთან არის კურორტი ვაჟას წყარო, სადაც ვეძა, ანუ მინერალური წყაროს წყალი შეგიძლიათ დააგემოვნოთ.

აქვეა ფშავში განთქმული სახინკლე, სადაც ტრადიციულად, ხინკალს შუაცეცხლზე, უზარმაზარ სპილენძის ქვაბში ხარშავენ. ხინკალი ხინკლად და თავად ეს ქვაბი და მერე მისი ხარშვის ცქერა, არცერთ მუზეუმს არ ჩამოუვარდება ინტერაქციით.

ყოველ წელს, 29 ივლისს (თარიღი ცვალებადია), ანუ ვაჟას დაბადების დღეს, იმართება სახალხო დღესასწაული „ვაჟაობა“. აქ ყოველთვის უამრავი ხალხია, იმართება კონცერტი და მცირე ბაზრობა. ამიტომ, თუ ხალხმრავლობას გაურბიხართ, ჯობს სხვა დროს წასვლა.

სალაშქრო მარშრუტები

Hiking routes

1. უკანაფშავი - მთა საორბე

ფეხით გასავლელი მანძილი: 7 კმ.

საშუალო სირთულის ბილიკი, რთული ელემენტებით. წრიული

ხანგრძლივობა: 4-5 სთ

მინიმალური სიმაღლე: 1620 მ

მაქსიმალური სიმაღლე: 3000 მ

მარშრუტი უკანაფშავის სოფელ ელიასგზიდან იწყება და ჩრდილოეთით აუყვება საორბისგორას. 7 კმ-ში უერთდება დათვისჯვარზე გადასასვლელ ბილიკს. აქედან შესაძლებელია როგორც ანდაქის უღელტეხილზე (აღმოსავლეთით 13 კმ-ში), ასევე დათვისჯვრის უღელტეხილზე (დასავლეთით 7 კმ) გადასვლა. ანდაქის უღელტეხილიდან ჩრდილოეთით, ბილიკი სოფელ ანდაქში ჩადის, აქედან კი მუცოში. მეორე ბილიკი კი აღმოსავლეთით მთა პატარა ბორბალოს მიუყვება

2. ირემთკალო

ფეხით გასავლელი მანძილი: 2 კმ.

საშუალო სირთულის ბილიკი, ძირითადად აღმართი ხანგრძლივობა: 1.5-2 სთ

მინიმალური სიმაღლე: 1420 მ

მაქსიმალური სიმაღლე: 2223 მ

მარშრუტი სოფელ უძილაურთაიდან იწყება და ირემთკალოს მთაზე აუყვება ალპურ ზონაში, საიდანაც ულამაზესი პანორამული ხედები იშლება.

კოპალა კარატიონისა და დევების ბრძოლის ადგილია. ანდრეზების მიხედვით, აქ ყოფილა დევების თავშეყრის ცენტრალური ადგილი და მთელი მაშინდელი ფხოვი აკლებული ქონდათ.

კოპალა და დევები სწორედ ამ ადგილას გაჯიბრებიან ლოდის ტყორცნაში. გმირ კოპალას, მორიგე ღმერთისგან ადამიანთა მოდგმის დევებისგან დახსნა ქონდა დავალებული. სწორედ ამიტომ, კვირიამ წაუკრა მათრახის წვერი კოპალას ნასროლ ქვას

1. Ukanapshavi (rear Psavi) - Mount Saorbe

Walking distance: 7 km.

Medium difficulty trail, with difficult elements. Circular.

Duration: 4-5 hours

Minimum height: 1620 m

Maximum height: 3000 m

The route starts from Eliasgza village in rear Psavi and continues north to Saorbisgora. At 7 km it joins the Datvisjvari trail. From here it is possible to go to Andaki Pass (13 km to the east) or to Datvisjvari Pass (7 km to the west). North of Andaki Pass, the trail enters the village of Andaki, and from there to Mutso. The second trail leads east to the Small Borbalo Mountain.

2. Iremtkalo

Walking distance: 2 km.

Medium difficulty trail, mostly uphill

Duration: 1.5-2 hours

Minimum height: 1420 m

Maximum height: 2223 m

The route starts from the Udzilauri village and continues to Iremtkalo mountain in the alpine zone. beautiful panoramic views unfold here.

According to the fables, this was the central gathering place of devis who pestured all of Pkhovi at that time.

This is where Kopala and devis competed in throwing boulders. The hero, Kopala had a mission to save humans from the devis. That's why Kviria hit the Kopala's boulder with tip of the whip and thus it shot further than devis' boulders. Under the terms of the settlement, the devis left Iremtkalo. Further battles with the devis and the demons continued with Iakhsar and the other god-sents, and soon all the land of Pkhovi was liberated from the mystical oppressors. The niche of Kopala on Iremtkalo commemorates these events, which is considered to be a place of worship for the Udzilauri.

და დევის ნასროლზე შორს დაეცა. მორიგების პირობებით, დევებმა ირემთკალო მიატოვეს და გადაიხვეწნენ. შემდგომი ბრძოლები დევებსა და ქაჯებთან უკვე იახსართან და სხვა ხთისშვილებთან ერთად გაგრძელდა და მალევე მთელი ფხოვის მიწა გაათავისუფლეს უწმინდური მჩაგვრელებისგან. სწორედ ამ მოვლენების აღსანიშნავად დგას ირემთკალოზე კოპალას ნიში, რომელიც უძილაურთა სალოცავად ითვლება.

3. ფშავიდან გუდამაყარში უკანტბის უღელტეხილით

ფეხით გასავლელი მანძილი: 10 კმ.

საშუალო სირთულის ტყის ბილიკი, ცვალებადი რელიეფით. მკვეთრი აღმართი 700 მეტრიანი სიმაღლის ცვალებადობით.

ხანგრძლივობა: 6-7 სთ

მინიმალური სიმაღლე: 1270 მ

მაქსიმალური სიმაღლე: 2336 მ (უღელტეხილი)

მარშრუტი იწყება სოფელ კანალხევიდან და სამხრეთ-დაავლეთით მიემართება უკანტბის უღელტეხილისკენ, საიდანაც ულამაზესი პანორამული ხედები იშლება ფშავსა და გუდამაყარის ხეობაზე. მარშრუტი წრიულია და მისი გავლა ერთ დღეშია შესაძლებელი. თუმცა სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ღამისთევა უღელტეხილის სიახლოვეს. მეორე დღეს კი დაშვება გუდამაყარის სოფლებში დიხოსა და ბახანში.

3. From Pshavi to Gudamakari via Ukantba

Walking distance: 10 km.

Medium difficulty forest trail with variable terrain. A steep ascent with a height of 700 meters.

Duration: 6-7 hours

Minimum height: 1270 m

Maximum height: 2336 m

The route starts from the village of Katsalkhevi and goes south-west to the Ukantba pass. Here you can witness beautiful panoramic views of Pshavi and Gudamakari valleys. The route is circular and can be completed in one day. However, if you wish, you can spend the night in the vicinity of the pass and descend to the villages of Gudamakari, Dikhcho and Bakhani the next day.



ფშავი



ხევსურეთი, საქართველოს განსაკუთრებული და გამორჩეულად საინტერესო მხარეა. შუა საუკუნეების არქიტექტურული ნიმუშები, საცხოვრისები და თავდაცვითი ნაგებობები ორგანულადაა შერწყმული მთის ხალხის კულტურასა და სოციალურ ყოფასთან. ადგილობრივი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები დღემდე ირეკლავენ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ ხალხურ გამოცდილებასა და თავგადასავალს. ხევსურეთი, წლების განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ რეგიონად იქცა. ცად აზიდული მთები, სწრაფი მდინარეებით დასერილი ღრმა ხეობები, ნაკლებად სახეცვლილი და თითქმის პირვანდელი სახით შემორჩენილი ბუნება, მრავალფეროვანი ტურისტული აქტივობის შესაძლებლობას ქმნის.

გეოგრაფიულმა იზოლაციამ და ცხოვრების თავისებურმა წესმა, ხევსურთა თვითმყოფადი კულტურისა და ტრადიციების წარმოშობა განაპირობა. ამის თვალსაჩინო მაგალითი, მთის ხალხური საცხოვრისის ისეთი გამორჩეული ხუროთმოძღვრების ძეგლებია, როგორიც შათილი და მუცოა.

Khevsureti is a special part of Georgia. Khevsurian architectural sites, dwellings and fortifications from the Middle Ages are organically integrated with the culture and lifestyle of mountain people. Even today local traditions and customs reflect centuries-old folk experience and adventures. Khevsureti has been one of the most important tourist regions for years. Sky-high mountains, deep valleys crisscrossed by rapid rivers and almost untouched, virgin nature creates diverse opportunities for tourist activities.

Geographic isolation and specific lifestyle determined indigenous culture and traditions of Khevsurs. Architectural sites like Shatili and Mutso are perfect examples of authentic dwellings.

ხევსურეთი | KHEVSURETI

შესავალი	Introduction	34
გეოგრაფია	Geography	36
რელიეფი	Terrain	38
კლიმატი	Climate	39
მდინარეები და ტბები	Rivers and Lakes	40
ტბები და მყინვარები	Lakes and Glaciers	41
ბიომრავალფეროვნება	Biodiversity	43
ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები	Pshav-Khevsureti National Park	48
ისტორია	History	49
ეთნოლოგიური მემკვიდრეობა და მეურნეობა	Ethnological Heritage and Agriculture	52
არქიტექტურა	Architecture	54
ხევსურთა წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულები	Khevsureti Customs and Folk Holidays	55
მითოლოგია	Mythology	60
სამზარეულო	Cuisine	61
როგორ მოვხვდეთ ხევსურეთში	How to Get to Khevsureti	67
რა ვნახოთ ხევსურეთში	Must See in Khevsureti	68
სალაშქრო ბილიკები	Hiking Trails	75

გეოგრაფია Geographic Location

ხევისურეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მდებარეობს. ტერიტორია მოიცავს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებს.

კავკასიონის ქედი ხევისურეთს ორ ნაწილად ყოფს: ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე, ანუ პირიქითა ხევისურეთი და სამხრეთდასავლეთის მხარე, ანუ პირაქეთა ხევისურეთი. პირიქითა ხევისურეთი – ესაა მიღმახევის, შატილისა და არხოტის ხეობები, პირაქეთი, ანუ ბუდე ხევისურეთი კი არაგვის ხეობას ჰქვია. ხევისურეთის მთელი ტერიტორია შედის მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, ის მოიცავს ორ თემს – ხევისურეთისას (ცენტრი ბარისახო) და შატილისას (ცენტრი შატილი).

შატილის თემი მოიცავს 9 სოფელს: შატილი, ანდაქი, არდოტი, არჭილო, გიორგინმინდა, კისტანი, მუცო, ხახაბო, ხონისჭალა. ბარისახოს თემი 34 სოფელს: ბარისახო, აკუშო, კორშა, გუდანი, ბისო, ღული, ჩხუბა, ჩიე, ბლო, არხოტი, ამლა, ატაბე, აყნელი, აჭე, ახიელი, ბაცალიგო, ბუჩუკურთა, გველეთი, დათვისი, ზეისტეჩო, კარწაულთა, მაღრაანი, მონშაო, როშკა, უკანახო, ქობულთა, ღელისვაკე, ჩირდილი, ძეძურთა, ჭალისოფელი, ჭიმლა, ჭორმეშავი, წინხადუ, ხახმატი.

პირაქეთა და პირიქითა ხევისურეთი ერთმანეთს უკავშირდება დათვისჯვრის (2673 მ.) და არხოტის (3287 მ.) უღელტეხილებით. ხევისურეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ინგუშეთისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკები (რუსეთის ფედერაცია), სამხრეთით – ფშავი, აღმოსავლეთით – თუშეთი, დასავლეთით – გუდამაყარი და ხევი. სამეზობლო მთები ბილიკებითაა დასერილი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის და მწყემსების გარდა, ტურისტების მიერ აქტიურადაა ათვისებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თუშეთთან დამაკავშირებელი აწუნთის (3431 მ.) ხევთან – საძელის (3056 მ.) და გუდამაყართან – ფხიტურის (2760 მ.) უღელტეხილები.

Khevsureti is located in the mountains of Eastern Georgia. The territory covers Northern and Southern ridges of the Caucasus Mountains.

Caucasus ridge divides Khevsureti in two parts: Northeast part or the Piriketa, aka the other-side Khevsureti and the Southwest part, or the Piraketa, aka this-side Khevsureti. Pirikita Khevsureti covers Migmakhevi, Shatili and Artokhi valleys, while Aragvi valley is called Piraketa Khevsureti, also known as Bude Khevsureti. The whole territory of Khevsureti is a part of Mtksheta-Mtianeti Dusheti Municipality. Following administrative division, it covers two communities – Khevsureti (with Barisakho as its center) and Shatili (with Shatili as its center).

Shatili community includes 9 villages: Shatili, Andaki, Ardoti, Archilo, Giorgisminda, Kistani, Mutso, Khakhabo, and Khonischala. Barisakho community covers 34 villages: Barisakho, Akusho, Korsha, Gudani, Biso, Ghuli, Ckhuba, Chie, Blo, Arkhoti, Amgha, Atabe, Akneli, Ache, Akhieli, Batsaligo, Buchukurta, Gveleti, Datvisi, Zeistecho, Kartsaula, Maghraani, Motsmao, Roshka, Ukanakho, Kobulo, Ghelisvake, Chirdili, Dzedzeurta, Chalisopeli, Chimgha, Chormeshavi, Tsinkhadu, and Khakhmati.

The Piraketa and Pirikita Khevsureti join each other via Davitdjvari (2673 m) and Arkhoti (3287 m) pass. Khevsureti is bordered by Ingushetia and Chechnya republics (Russian Federation) from the North, Pshavi from the South, Tusheti from the East and Gudamakhari and Khevi from the West. Neighboring mountains are crisscrossed with trails that are actively used by local population and shepherds, as well as tourists. Atsunta (3431 m), Khevtasadzeli (3056 m) and Gudamakhari – Pkhituri (2760 m) passes are especially significant.



რელიეფი

Terrain

აღმოსავლეთ კავკასიონის ერთ-ერთი მონაკვეთი დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა მოქცეული და მოიცავს მდინარეების - ანდის, ყოისუს, არლუნისა და ასის ზემო დინებათა აუზებს. ხევსურეთის კავკასიონის მთათა სისტემა აგებულია ქვედა და შუა იურული ასაკის თიხაფიქლოვანი წყებებით. სწორედ ეს განაპირობებს ძლიერ შეკუმშულ, ზოგან დიაბაზებით გარღვეულ ნაოჭების სისტემას. საკმაოდ ხშირია მორენული და ალუვიური ნაფენები. ხევსურეთის უმაღლესი მწვერვალებია:

- ▶ თებულოს მთა (დაქუეხი) 4493 მ.
- ▶ კიდეგანა 4275 მ
- ▶ ქიუხი 3842
- ▶ ამლისმაღალი 3741
- ▶ მაისტისმთა 4081
- ▶ მახისმაღალი 4013 მ.
- ▶ არხოტისთავი 3370 მ.
- ▶ დიდი ბორბალო 3294 მ.
- ▶ პატარა ბორბალო 3134 მ

რეგიონის ძირითადი უღელტეხილებია: არხოტისთავის ღელე (3287მ), არხოტისღელე (2932 მ), დათვისჯვარი (2676მ), ანდაქი (2887მ), აწუნთა (3432 მ)

ქვედა ზონაში მცირე და საშ. სისქის ყომრალ და ღია ყომრალ ნიადაგებზე ზ. დ. 2300–2500 მ-მდე, გავრცელებულია არყნარ-ფიჭვნარი და ფიჭვნარი. 2500–2700 მ ზემოთ, მთის მდელოს კორდიან და კორდიან-ტორფიან ნიადაგებზე – სუბალპ. მდელოები და ბუჩქნარები, ხოლო უფრო ზემოთ, 3300–3500 მ-მდე, მთის მდელოს მცირე სისქის კორდიან ნიადაგებზე ალპ. მდელოებია.

One of the parts located on East Caucasus covers Dusheti municipality territory and encompasses river basins of Andis Khuisi, Arghuni and upper Asi. Khevsureti Caucasus mountain range is composed of slate layers dating to Lower Jurassic and Middle Jurassic period. Hence, the heavily compacted, greenstone-laced striation. Moraine and alluvial layers are recurrent. The highest peaks in Khevsureti are:

- ▶ Tebulo mountain (Dakuekhi) 4493 m
- ▶ Kidegana 4275 m
- ▶ Chaukhi 3842 m
- ▶ Amghismaghali 3741 m
- ▶ Maitismta 4081 m
- ▶ Makhismaghali 4013 m
- ▶ Arkhotistavi 3370 m
- ▶ Big Borbalo 3294 m
- ▶ Small Borbalo 3134 m

The biggest passes of the region are: Arkhotistavi gorge (3287m), Arkhoti gorge (2932m), Davitdjvari (2676m), Andaki (2887m), Atsunta (3432m).

Birchwood and conifers grow in the lower zone, in low and moderately thick ash grey soil, 2300–2500 m above the sea level. Above the 2500–2700m, sub-alpine meadows and bushes are spread on turfy soil, while even higher, 3300–3500m, alpine meadows are located on low-thick turfy soil.



მაჩიტა

კლიმატი Terrain

ხევსურეთის ტერიტორია ზღვის დონიდან 1300-4500 მეტრამდე სიმაღლეზეა გადაჭიმული. აქაური კლიმატი მრავალფეროვანია: დანყებული ცივზამთრიანი და ხანგრძლივ გრილზაფხულიანი ჰავიდან (დაბალ მთებში) დამთავრებული მაღალმთის მარადთოვლიან-მყინვარებიანი ჰავით (ქედების თხემებზე).

პირიქიტა ხევსურეთი, პირაქეთა ხევსურეთსა და ფშავთან, ანუ სამხრეთ მხარესთან შედარებით ცივი და სუსხიანია. ზამთრის საშუალო ტემპერატურა -5°C -იდან -18°C -მდეა, ზაფხულში კი $12-16^{\circ}\text{C}$. აქ ზაფხული გვიან დგება და მოკლეა, რასაც მალევე შემოდგომა მოსდევს. ზამთარი ყველაზე ხანგრძლივი სეზონია და თოვლ-ყინვიანი. ნალექის წლიური რაოდენობა 1000მმ-ს აღწევს და ძირითადად თოვლის სახით მოდის. ზამთარი ყველაზე ხანგრძლივი სეზონია პირიქიტა ხევსურეთისთვის. ამ დროს აქტიური მიმოსვლა წყდება გაზაფხულამდე. არაგვის ხეობის მხარეს, კლიმატი ასასა და არღუნის ხეობებთან შედარებით, თბილი და რბილია.

Khevsureti territory is located 1300-4500m above the sea level. The climate here is pretty diverse: from cold winter and long summers (low mountains) to snow-covered high mountain peaks (up the mountain ridge).

Pirikita Khevsureti is cold and harsh compared to South, Piraketa Khevsureti and Pshavi. The average winter temperature range is $-5-18^{\circ}\text{C}$, while average summer temperature range is $12-16^{\circ}\text{C}$. Short summer comes late here, quickly followed by fall. Winter is the longest season - freezing, snowy. Yearly precipitation reaches 1000mm, consisting mainly of snow. Winter is the longest season for Pirikita Khevsureti. Active commute and travelling halts till spring. Climate on the second side of Aragvi is warmer compared to Asa and Araghuni valley.



მდინარეები და ტბები Rivers and Lakes

ხევსურეთის მთავარი მდინარე არაგვია. სოფელ მოწმას მიდამოები პირაქეთა ხევსურეთის კარიბჭეს წარმოადგენს. ამ ადგილას ხევსურეთის არაგვი უკანა ფშავის არაგვს უერთდება და ქვემო მდინარეებაში ფშავის არაგვს ქმნის. რომელიც, თავის მხრივ, ჟინვალის წყალსაცავში ჩაედინება და საბოლოოდ კი მდინარე მტკვარს უერთდება მცხეთასთან.

მდინარე ფშავის არაგვის სათავე ბორბალოსა და ბოთანას მთებია. იგი რამდენიმე, დიდ და მცირე მდინარეებს შეერთავს და შუაფხოში თეთრახევს უერთდება.

მდინარე ასას ხეობა ერთ-ერთი ყველაზე რთული რელიეფით და მდინარეთა დაქსელვით გამოირჩევა. მისი სათავე კავკასიონის მაღალი მთებიდან, 3500-4000 მეტრიდან ჩამომდინარე ჭიმღას და ცირცლოვანის მთებია. მდინარე, სოფელ ახიელიდან ჩრდილოეთით მიემართება. გზად, კალოთანას ბისნას, ტერდას და ტანიეს შენაკადებს იკრებს და მალევე ინგუშეთის საზღვარზე გადადის. აქვეა არხოტისა და ქისტეთის საზღვარიც.

მდინარე არღუნის სათავე დათვისჯვრის მთაა. იგი გზად წებროვანსა და გუროს შენაკადებს შეერთავს. შატილთან მას შატილისწყალი და მითხული უერთდება. საბოლოოდ კი, ჩრდილოეთით მიედინება და ჩერნეთში გადადის.

არდოტის წყლის სათავე არჭილოსა და ანდაქის მთებია. მას გზად ჭანჭახისწყალი უერთდება. სოფელ ანატოროთან არღუნს უერთდება და საბოლოოდ ჩერნეთში გადადის.

მუშავე წყლები, ანუ, როგორც ხევსურები უწოდებენ, ვეძა, საკმაოდ მრავლად გვხვდება და წარმოადგენს ტუტემარილოვან წყაროებს. ყველაზე ცნობილია ლიქოკის, გუდანის, ნადირხევის, ლულის, ხახმატის ვეძა.

Aragvi is the main river of Khevsureti. The area around the Matsmoo village is a gateway to Khevsureti. In this place, Khevsureti Aragvi confluent with Pshavi Aragvi and creates a downstream Pshavi Aragvi. It flows into Jzinvali reservoir and in the end joins the Mtkvari River by Mtskheta.

Pshavi Aragvi River begins in Borbalo and Botana mountains. Several small and large rives join it, while it flows into Tetrakhevi in Shuapkho.

The Asa River valley has a complex terrain and a network of rivers. It begins in the high mountains of Caucasus, 3500-4000m, flowing from Chighma and Tsirtsolvani mountains. It flows northward from the Akhilei village. Kalotana Bisna, Tergha and Tanie tributary join it and it quickly crosses Ingushetia border. Arkhoti and Kisteti borders are located nearby as well.

Datvisjvari Mountain is where the Arghuni River begins. Tsurbovani and Guro tributary join it; Shatilistskhali and Mitkhuli join it by Shatili. In the end, it flows towards North and goes into Chechnya.

Ardotistskhali begins at Archilo and Andaki mountains. It is joined by Chnchakhistskali on the way. It confluent with Arghuni by the Anatori village and in the end flows into Chechnya.

Mineral water, or Vedja, as called by Khevsurs, is pretty abundant alkaline nitrate spring water; the most famous is Likoki, Gudani, Nadirkhevi, Ghuli and Kakhmati Vedja.

ტბები და მყინვარები

Lakes and Glaciers



ხევსურეთში მყინვარები მრავლადაა წარმოდგენილი. მათ შორის ყველაზე ცნობილი, ჭიუხის მასივის კალთებზე ეშვება, რომლითაც საზრდოობს მდინარე რომკისწყალი.

ჭიუხიდან ჩამოსული მდინარე რომკისწყალი სოფელ რომკას ჩაუვლის და მდინარე ხევსურეთის არაგვს უერთდება.

სოფელი რომკა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სალაშქრო ტურისტული კვანძია საქართველოში. აქაური ბილიკები როგორც მსუბუქ, ისე რთულ მარშრუტებზე გვეპატიჟება. აქ ამოსვლა თუნდაც მხოლოდ რომკის ლოდების სანახავად ღირს. ეს უბრალო ლოდები არ გეგონოთ. როგორც გეოგრაფიის პროფესორი გიორგი დვალაშვილი აღნიშნავს თავის წიგნში „საქართველოს ბუნების 100 საოცრება“, რომკის ლოდები მოხეტიალე, ანუ მყინვარულ ლოდებს განეკუთვნება. „რომკის ხეობაში კარგად არის შემორჩენილი ძველი გამყინვარების მოქმედების კვალი. გეოლოგიურ წარსულში მყინვარის სიგრძე 11კმ-ს აღემატებოდა. რომკის გავლით ის სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ

There are many glaciers in Khevsureti. The most famous of them descends on the Chaukhi ridge and feeds Roshkistskali River.

Roshkistskali flows from Chaukhi by the Roshka village and confluent with the Khevsureti Aragvi.

The Roshka village is one of the most active hiking junctions in Georgia. Easy and difficult trails invite you to explore around. Roshka boulders are worth visitors' while. Those are not regular boulders. In his book "100 wanders of Georgian Nature", geography professor Giorgi Davalashvili notes that Roshka boulders are sailing rocks. "Lasting effect of old ice age is well-preserved in Roshka valley. The glacier here used to be larger than 11 km, in its geological past. It moved East-South via Roshka and it locked the Khevsureti Aragvi valley. Glacier's end was located by the Ghelisvake village, 1450 m above the sea level (currently this place is elevated to 1650m).

Two great boulders that Abudelaurei glacier moved from Roshka are among the largest sailing rocks in the world. Their size is 19X5X7 and 22X13X10. Khevsureti houses look

მიემართებოდა და მდ. ხევსურეთის არაგვის ხეობას კეტავდა. მყინვარის ბოლო სოფელ ღელისვაკესთან მდებარეობდა, ზღვის დონიდან 1450მ. სიმაღლეზე (ამჟამად ეს ადგილი აზევებულია 1650მ-მდე).

ჭიუხებიდან აბუდელაურის მყინვარის მიერ როშკაში ჩამოტანილი ორი უზარმაზარი ლოდი, მსოფლიოს უდიდეს მოხეტიალე ლოდების რიცხვს მიეკუთვნება. მათი ზომებია 19x5x7 და 22x13x10. მათთან შედარებით, ხევსურების სახლები სათამაშო ხუხულებით გამოიყურება. ლოდების გავრცელების ქვედა ზღვარი მდინარე ოხერხევის შესართავს აღწევს. ყველა ეს ლოდი ჩამოტანილია ჭიუხის მასივიდან, - აღნიშნავს გიორგი დვალაშვილი.

ხევსურეთი ყველაზე პოპულარული და გამორჩეული ტბები **აბუდელაურის ალპური, ანუ ფერადი ტბებია**. ეს ტბების საოცრება უამრავ ტურისტს იზიდავს წელიწადის ცხელ დროს, როდესაც ბილიკებზე თოვლი დნება და ტბებამდე მისასვლელი გზა უსაფრთხოა.

მწვანე, ლურჯი და თეთრი ტბა, მდინარე როშკისწყლის მარჯვენა შენაკადის, აბუდელაურის სათავეში მდებარეობს და ძირითადად მყინვარიდან და მიწისქვეშა წყლებით საზრდოობს. სწორედ ამ მიზეზით, ზაფხულის ცხელ დღეებში ტბებში წყლის დონე დაბლა იწევს. ტბების სანახავად საუკეთესო პერიოდი ივნისი და ივლისია.

ტბების წყალი დასაღვეად გამოდგება, თუმცა, მასში თევზი არ ბინადრობს.

ტანიეს ტბა, არხოტის ხეობაში, კავკასიონის მთების ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2232 მეტრზე. გამორჩეული ფორმისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ტანიე ერთ-ერთ პოპულარულ სალაშქრო მიმართულებად ქცეული. ტბა გამდინარე და გრუნტის წყლებით საზრდოობს. მასში თევზი არ მოიპოვება.

like dollhouses compared to them. Lower border of the boulders almost reaches Okherkehvi river mouth. All of those boulders have been moved from the Chaukhi Ridge” – notes Giorgi Davalashvili.

Alpine **Abudelaury Lakes** aka **colorful** lakes are undoubtedly most popular and distinct among the Khevsureti lakes. This miracle of nature attracts number of tourists during warmer season, when the snow melts on trails and the road to lakes is safe.

Green, blue and white lake is located by the Roshkistskali right tributary, by the basis of Abudelaury and it mainly feeds on glaciers and ground water. Hence, water content of the lake decreases on summer’s hot days. June and July are the best time to visit the lakes. Lake water is safe for drinking, though it houses no fish.

Tanie Lake is located in Pirikita Khevsureti, northern slope of the Caucasus Mountains, 2232 m from the sea level. Tanie is one of the most popular hiking destinations due to its unique form and geographic location. Inflowing currents and ground water feeds the lake. It contains no fish.



ბიომრავალფეროვნება Biodiversity

ფლორა

ფშავ-ხევსურეთის ბიომრავალფეროვნება მისი გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული. რეგიონი ცენტრალური და აღმოსავლეთ კავკასიონის მიჯნაზე მდებარებს და სწორედ ამიტომ, რომ ადგილობრივი ფლორა იშვიათი სახეობებითაა წარმოდგენილი. ამათგან 20-ზე მეტი სახეობა შესულია საქართველოს წითელ ნუსხაში. ასევე გვხვდება რეგიონის მასშტაბით იშვიათი სახეობები.

ფშავ-ხევსურეთში წარმოდგენილია კავკასიის 212 ენდემური სახეობა, რაც ნიშნავს, რომ კავკასიაში გავრცელებული ენდემური 17 გვარიდან აქ 7 გვხვდება; შესაბამისად, ფშავ-ხევსურეთში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების 35.4% კავკასიის ენდემია. ფშავისა და პირაქეთა ხევსურეთის (მდინარე არაგვის აუზის ხეობა), მთების შუა სარტყელში წიფლნარი და მუხნარ-რცხილნარი გვხვდება, სუბალპური ტყის სარტყელში უფრო მეტად მაღალმთის ბუჩქნარი და სუბალპური მაღალბალახეულობა ქარბობს.

ალპური სარტყელი წარმოდგენილია ალპური მდელოებით.

და ბოლოს, პეტროფილური ფლორა გვხვდება სუბნივალურ სარტყელში. აღნიშნული ოთხივე სარტყელია წარმოდგენილი ასას და არლუნის ხეობებშიც (პირიქითა ხევსურეთი). ფშავ-ხევსურეთის ტყეებში უხვადაა მურყნარი და ტირიფის სახეობებით, ცალკეულ ადგილებში გვხვდება ოფი და ხვილო. მისი გავრცელების ოპტიმალური სიმაღლე ზ.დ. 1000 მეტრია. უფრო ზემოთ მუხა და რცხილა.

ტყეები ფშავ-ხევსურეთში საკმაოდ გაჩეხილია და მათ ადგილზე როდოდენდრონის ოჯახის წარმომადგენელი - იელი და ველური ხილი - პანტა, მაჟალო, კუნელი და ზღმარტლია გავრცელებული.

Plant Life

Pshav-Khevsureti biodiversity is determined by its geographical location. The region is located on the border of the Central and Eastern Caucasus and that is why the local flora is represented by rare species. More than 20 species are included in the endangered species list of Georgia (Red List). Species that are rare throughout the region can also be found here.

Pshav-Khevsureti has 212 endemic species of the Caucasus, which means that 7 out of 17 endemic genera common in the Caucasus are found here; accordingly, 35.4% of the plant species distributed in Pshav-Khevsureti are endemic to the Caucasus. Beech and oak-hornbeam are found in the middle belt of the Pshavi and Piraketa Khevsureti (Aragvi River basin) mountains; highland shrubs and subalpine grasslands predominate subalpine forest.

The alpine belt is represented by alpine meadows.

Finally, the petrophile flora is found in the sub-nival zone. These four belts are also present in Asa and Arghun valleys (Piriketa Khevsureti). In the forests of Pshav-Khevsureti, there is an abundance of alder and willow species, black poplar and Georgian oak are found in some places. The optimum height of its propagation is 1000 m above the sea level. Oak and hornbeam are found higher. The forests in Pshav-Khevsureti are quite felled and in place of the named trees, some of rhododendron family like azalea and wild fruits like pear, crab apple, hawthorn and medlar grow. Beech, hornbeam, maple, elm, birch, and oak are prevalent on the northern slopes.

Notable among the shrubs are hazelnuts, guelder, and sweetbrier. Caucasus endemic variety *Betula raddeana* is endemic to Piriketa Caucasus.



ბარისახოდან ხედი.

ჩრდილო ფერდობებზე ხშირია წიფელი და რცხილა, ნეკერჩხალი, თელა, არყი, მუხა. ბუჩქნარებიდან აღასანიშნავია თხილი, ძახველი, ასკილი.

პირიქითა ხევსურეთში გავრცელებულია ჩრდილო კავკასიის ენდემური ჭიში სავი არყი (*betula raddeana*). პირიქითა ხევსურეთში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავკასიური ფიჭვის (*pinus sosnowskyi*) ხვედრითიწილი. არყნარეცეებისზოლიზოგადგილას ზღვის დონიდან 2500 მ-ს აღწევს და მასში ერევა დეკა, იელი, ტირიფი და ა.შ. სუბალპურ მდელოებზე გავრცელებულია იშვიათი ბალახების 200-ზე მეტი სახეობა, რომელსაც ანალოგი საქართველოში არ გააჩნია. სუბალპებში გავრცელებულია კავკასიური დეკნარები (*rhododendron caucasicum*) და მოცვის (*vaccinium myrtillus*) სახეობები. საინტერესო ფაქტი: დეკა მუდამ ჩრდილოეთ ფერდობზე იზრდება და არასოდეს სამხრეთზე. დეკიანი განსაკუთრებით გავრცელებულია არღუნის და ასას სუბალპურ და ალპურ სარეცელში. აგრეთვე ხშირად ნახავთ სონ-სოვსკის დიყს (*heracleum sonsowskyi*), რომელიც სახიფათო მცენარეა. შიშველ სხეულზე მოხვედრისას ტოვებს იარას, რომელიც მალე წყლულდება, დამწვარივით იბუშტება და რთულად შუშდება.

რელიქტური და ენდემური სახეობები ფშავ-ხევსურეთის ფლორაში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი მცენარეთა უძველესი, ადგილობრივი და ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორიცაა უთხოვრი, კავკასიური დეკა (*rhododendron caucasicum*), ლივინოის და რადეს არყი (*betula litwinowi*, *b. raddeana*) და ეკლიანი გლერდა (*astracantha denudata*, *astragalus denudatus*). საქართველოში მხოლოდ შატილისა და წუქიოს (მიღმახევის) მიდამოებში გვხვდება ჰაიესტანის ჭნავი (*sorbus hajestana*), რომელიც ბოლო დრომდე სომხეთის ენდემად მიიჩნეოდა. ფშავ-ხევსურეთის ფლორის ნახევარი მხოლოდ საქართველოსთვის და კავკასიონისთვის დამახასიათებელი, უნიკალური მცენარეებისგან შედგება.

ფშავ-ხევსურეთში მედიცინის განვითარებას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. გეოგრაფიული იზოლაციის გამო, მოსახლეობა იძულებული იყო სამკურნალო საშუალებები ადგილზე გამოენახა და თავადვე დაემზადებინა. ამ მიზნით, ფშავ-ხევსურეთის სოფლებში, დღემდე წარმატებულად გამოიყენება ადგილობრივი ფიტოგენოფონდი. ვიტამინებითა და სასარგებლო ნივთიერებებით მდიდარი სვია (*humulus lupulus*) და ქაცვი (*hippophae rham-*

The share of Caucasian pine (*Pinus sosnowskyi*) is especially important in Piriketa Khevsureti. The belt of birch wood forests in some places reaches 2500 m above sea level, mixed with Caucasian evergreen azalea, azalea, willow, etc. There are more than 200 species of rare grasses in the subalpine meadows, unique in Georgia. Caucasian rhododendron (*Rhododendron caucasicum*) and blueberry (*Vaccinium myrtillus*) species are common in the subalpine. An interesting fact: Caucasian evergreen azalea always grows on the North Slope and never on the south. *Rhododendron* is especially common in the subalpine and alpine belts of Arghuni and Asa. You may also often encounter Sonsovsky hogweed (*Heracleum sonsowskyi*), which is a dangerous plant. If it gets in touch with a naked body, it leaves a scar, which soon becomes tender, swells like a burn sore, and is difficult to heal.

Relict and endemic plant species cover Pshav-Khevsureti; they include the ancient, local and unique plant varieties such as yew, Caucasian Rhododendron (*Rhododendron caucasicum*), birches (*Betula litwinowi*, *B. raddeana*) and thorny milk-vetch (*Astragalus denudatus*). Hajestan quickbeam (*Sorbus hajestana*), which until recently was considered endemic to Armenia, is found only in the vicinity of Shatili and Tsukio (Mighmakhevi). Half of the flora of Pshav-Khevsureti consists of endemic plants, unique to Georgia and the Caucasus.

The development of medicine in Pshav-Khevsureti has a long and interesting history. Due to the geographical isolation, locals were forced to find medicinal aid on the spot and prepare it themselves. Phytogenetic fund is still successfully used for this purpose in the villages of Pshav-Khevsureti. Rich in vitamins and nutrients, hops (*Humulus lupulus*) and buckthorn (*Hippophae rhamnoides*) are also used successfully in local cuisine to make a variety of desserts and tonics. Caucasian Rhododendron, sweetbrier, raspberry, cow parsnip and blueberry tinctures are widely used to treat gastrointestinal illness and various physical ailments.

Animal Life

The nature of Khevsureti is pretty biodiverse. You can enjoy birdwatching; if you are lucky, you can also catch a glimpse of a Caucasian tur, collect Rhododendron and ajowan in the fields, and in the evening relax and enjoy the aromatic herbal tincture.

noides) ზოგიერთი დესერტისა და მატონიზირებელი სასმელის დასამზადებლად. ადგილობრივ სამზარეულოშიც გამოიყენება. კავკასიური დეკას, ასკილის, ჟოლოს, დუცის და მოცვის ნაყენები ფართოდ გამოიყენება როგორც კუჭნაწლავის, ისე სხვა ორგანოთა დაავადებების სამკურნალოდ.

ფაუნა

ხევსურეთის ბუნება ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ შეგიძლიათ ისიამოვნოთ მთის ფრინველებზე დაკვირვებით, თუკი გაგიმართლებთ, შეიძლება კავკასიურ ჯიხვსაც მოჰკრათ თვალი, მინდვრებში დეკა და წყალქონდარა მოაგროვოთ, საღამოს კი, ბალახების არომატული ნაყენით ისიამოვნოთ და მოდუნდეთ.

ხევსურეთის უცვლელი ბინადარია კავკასიური შურთი (tetraogallus caucasicus). იგი კავკასიონის ყველაზე მაღალ უღელტეხილებსა და მწვერვალებზე ბინადრობს, თუმცა მისი შემჩნევა შეუჩვეველი თვალისთვის მარტივი არაა. გარემოსთან ადაპტირებული ეს მშვენიერი ფრინველი ზამთარსაც მაღალ მთებში ატარებს.

ფრინველების გარდა, მაღალი, მიუვალი კლდეები ძუძუმწოვარი ცხოველების ბინაცაა. კავკასიური ჯიხვი (east caucaian tur), მთელს ზამთარს ჭიუხებში ატარებს და მხოლოდ გვიან გაზაფხულზე ეშვება შედარებით დაბლა.

ჩვეულებრივი ჯიხვი (capra cylindricornis) კავკასიონის მთების სიმბოლოდაა ქცეული. განსაკუთრებით შთამბეჭდავი სანახავი მამალი, დიდრქიანი ხარ-ჯიხვია, რომელსაც იშვიათად ნახავთ მარტოს. როგორც წესი, ჯიხვები მიუვალი მწვერვალების ძირში ჯოგებად ბალახობენ. მას შემდეგ კი, რაც ფშავ-ხევსურეთის ტერიტორია დაცულ ტერიტორიად გამოცხადდა და ნადირობა აიკრძალა, ამ ცხოველის ნახვა ზოგჯერ დასახლებულ პუნქტებთან და სამანქანო გზასთანაც შეიძლება.

ბოლო წლებში კი რეგიონში ნიამორის (capra aegagrus) მცირერიცხოვანი პოპულაცია გამოჩნდა. ბორბალოს მთის მდამოებში, სუბალპურ და დეკიან ფერდობებზე შეიძლება ბუნების ულამაზეს ქმნილებას - არჩვს გადააწყდეთ (rupicapra rupicapra). არჩვს მეორენაირად ფსიტსაც ეძახიან.



Snowcock (Tetraogallus Caucasianus) is an eternal inhabitant of Khevsureti. It inhabits the highest passes and peaks of the Caucasus - difficult to spot with the naked eye. Adapted to the environment, this beautiful bird also spends the winter in the high mountains.

However, in addition to birds, high, inaccessible cliffs are also home to some mammals. East Caucasian Tur spends the whole winter in the uplands and descends relatively low only in late spring.

The common tur (Capra cylindricornis) has become a symbol of the Caucasus Mountains. The buck is especially impressive, with monumental horns; it is rarely seen alone. Usually, turs graze in groups at the foot of inaccessible peaks. After the Pshav-Khevsureti territory was declared a protected area and hunting has been banned, you may see them near populated areas or by the road.

In recent years, a small population of wild goat (Capra aegagrus) has appeared in the region.

On the outskirts of the Borbalo Mountains, on the sub-alpine and Rhododendron slopes, you can see the most beautiful creature of nature - the chamois (Rupicapra rupicapra).

Sometimes you may even spot a deer in the valley, although their population is on a decline. Pshav-Khevsureti is also a distinguished region in terms of the predatory fauna. Brown bear, wolf, and lynx are found here; single cases of a panther (Panthera pardus) sightings have been reported in recent years as well.

ხეობებში ზოგჯერ კეთილშობილ ირემსაც შეიძლება მოჰკრათ თვალი, თუმცა მათი პოპულაცია ამჟამად საკმაოდ შემცირებულია.

ფშავ-ხევსურეთი მტაცებელთა ფაუნის მხრივაც გამორჩეული რეგიონია. გვხვდება მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი; ბოლო წლებში დაფიქსირდა ჯიქის (*panthera pardus*) ნახვის ერთეული შემთხვევები.

დღევანდელი მონაცემებით, რეგიონში გავრცელებულია ფრინველთა ოთხმოცზე მეტი სახეობა. კავკასიის ენდემებიდან, კავკასიური შურთხის გარდა, აღსანიშნავია კავკასიური როჭო.

ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული ფრინველთა სახეობებიდან ხუთი საქართველოს წითელ წიგნშია შეტანილი. მათგან ერთი (სვავი, *aegypius monachus*) საფრთხეშია გლობალური მასშტაბითაც და შესულია iucn-ის წითელ ნუსხაში (nt-ის კატეგორიით).

ხევსურეთი საინტერესო რეგიონია ფრინველებზე დაკვირვებისთვის. მეჩიტურებისთვის საინტერესო დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს კოჭობა (great rosefinch) და დიდი ბოლოცეცხლა (guldenstadts redstart).

ფშავ-ხევსურეთი მდიდარია დიდი ზომის ფრინველთა სახეობებით. ყველაზე დიდი მათ შორის სვავია. ასევე ბატკანძერი, ორბი (*gyps fulvus*), კირკიტა (*falco tinnunculus*), ქორი (*accipiter gentilis*), მიმინო (*accipiter nisus*), მთის არწივი (*aquila chrysaetos*) და სხვ. ასევე, საყურადღებოა კავკასიური ყარანა (*phylloscopus lorenzii*), მწვანე ყარანა (*phylloscopus nitidus*) და თავწითელა მთიულა (*serinus pusillus*). ქვეწარმავლებიდან, ხვლიკებისა და ანკარას გარდა, აღნიშვნის ღირსია კავკასიური გველგვესლა (*vipera kaznakovi*).

ფშავ-ხევსურეთი დღის პეპლების სიუხვითაც გამოირჩევა. აქ დაფიქსირებულია გლობალურად ისეთი იშვიათი სახეობები, როგორიცაა აპოლონი (*parnassius apollo*), არაფარდი მრავალთვალა (*lycaena dispar*), არიონი (*maculinea arion*) და კავკასიის იშვიათი ენდემი - კავკასიური აპოლონი (*parnassius nordmanni*). სულ, მწერებიდან, საქართველოს წითელ ნუსხაში შესულია 9 სახეობა.

As per current information, there are more than eighty species of birds in the region. Among the endemics of the Caucasus, in addition to the Caucasian snowcock, the Caucasian grouse is noteworthy as well.

Five of the bird species common in Pshav-Khevsureti are included in the list of endangered species of Georgia. One of them (black vulture, *Aegypius monachus*) is also endangered globally and is included in the IUCN Red List (NT category).

Khevsureti is a fascinating region for bird watching. The Great Rosefinch and the Guldenstadts Redstart are interesting to observe.

Pshav-Khevsureti is rich in large bird species. Black vulture is undoubtedly the largest. Among them are also lammergeyer, eagle (*Gyps fulvus*), kestrel (*Falco tinnunculus*), hawk (*Accipiter gentilis*), sparrow-hawk (*Accipiter nisus*), Mountain Eagle (*Aquila chrysaetos*) and others. Also noteworthy are the Caucasian warbler (*Phylloscopus lorenzii*), the green warbler (*Phylloscopus nitidus*) and the red-headed brambling (*Serinus pusillus*). As for the reptiles, apart from lizards and whip snakes, the Caucasian viper (*Vipera kaznakovi*) is also worth mentioning.

Pshav-Khevsureti is also distinguished by the abundance of butterflies. Globally rare species such as *Parnassius apollo*, *Lycaena dispar*, *Maculinea arion* and rare butterflies, endemic to the Caucasus - Caucasian Apollo (*Parnassius nordmanni*) have been recorded here. 9 species of insects are included in the list of endangered species of Georgia.



დეკა

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები Pshav-Khevsureti National Park

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა 2014 წელს და მოიცავს ოთხი სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიას - ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკს, ასას აღკვეთილს, როშკის ბუნების ძეგლს და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას. ტერიტორიის საერთო ფართობი 80012 ჰექტარია. ეროვნული პარკის შექმნის მიზანი, აღმოსავლეთ კავკასიონის ცენტრალური ნაწილის ორგანული სამყაროს დაცვა, აღდგენა და შენარჩუნებაა. ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიას გამორჩეულს და განსაკუთრებულს თითქმის პირველყოფილი და ხელუხლებელი ბუნება, უნიკალური ლანდშაფტი და თვითმყოფადი არქიტექტურა ქმნის. ტერიტორია მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიომრავალფეროვნებით და მოიცავს საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ, იშვიათ და ენდემურ ფლორისა და ფაუნის სახეობებს.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე შექმნილია ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, რომელიც პრაქტიკულად ხელშეუხებელია და მნიშვნელოვანი ჰაბიტატების - ჭიხვისა და ნიამორის დაცვას, აღდგენასა და გამრავლებას ემსახურება.

მკაცრი დაცვის ზონაში შესულია არხოტის საჯიხვეებიც, რომელიც, თავის მხრივ, რუსეთის მკაცრი დაცვის ზონასთან ერთად, საფრთხის ქვეშ მყოფი ჰაბიტატებისთვის ქმნის უსაფრთხო თავშესაფარს. მკაცრი დაცვის ზონამ ნიამორების პოპულაციაზეც იმოქმედა. მათი სახეობა საქართველოში მხოლოდ თუშეთსა და ხევსურეთშია შემორჩენილი, ამიტომ ბოლო წლებში მათი გამრავლება უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ტრადიციული გამოყენების ზონაა შექმნილი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით მოხდა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მოსახლეობას

Pshav-Khevsureti National Park was established in 2014. It includes four different categories of protected areas - Pshav-Khevsureti National Park, Asa Reserve, Roshka Nature Monument and a multi-purpose area. The total area comprises 80012 hectares. The purpose of this national park is to protect, restore and preserve the organic world of the central part of the Eastern Caucasus. The Pshav-Khevsureti national park is distinguished by virgin and pristine nature, unique landscape and original architecture. The area is significant for international biodiversity and includes a number of protected species of Georgia - rare and endemic species of flora and fauna.

Practically untouched strict nature protection zone has been created on the territory of Pshav-Khevsureti National Park. It serves the protection, restoration and reproduction of vital habitats for turs and markhors.

The strict protection zone also includes Arkhoti's sanctuaries for turs, which in turn, along with Russia's strict protection zone, provide a safe haven for endangered species. The strict protection zone also affected the markhor population. Their species is preserved only in Tusheti and Khevsureti in Georgia, so their reproduction is undoubtedly an important event of recent years.

A traditional usage zone has been created on the territory of Pshav-Khevsureti National Park. It takes into account the socio-economic interests of the local population. Thus, the population can carry out activities such as grazing, mowing, obtaining firewood, though plowing and sowing are not allowed.

The same zone allows visitors, via advance negotiations with the administration, to carry out scientific and educational activities, use the infrastructure arranged in the area and engage in sport fishing. Adventure, recreational, eco-educational and scientific activities are allowed in the visitor zone.

შეუძლია ისეთი აქტივობები განახორციელოს, როგორიცაა ძოვება, თიბვა, შეშის მოპოვება, თუმცა, ამასთანავე, დაუშვებელია ხვნა-თესვა.

იგივე ზონა, ვიზიტორებს საშუალებას აძლევს ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით, განახორციელონ სამეცნიერო და საგანმანათლებლო აქტივობა, ისარგებლონ ტერიტორიაზე მოწყობილი ინფრასტრუქტურით და დაკავდნენ სპორტული თევზაობით. ვიზიტორთა ზონაში დაშვებულია სათავგადასავლო-რეკრეაციული, ეკოსაგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა.



ისტორია History

ქართულ საისტორიო წყაროებში ხევსურეთი მეზობელ ფშავთან ერთად საერთო სახელწოდებით „ფხოვად“ არის მოხსენიებული, ამ ტერიტორიის მკვიდრები კი ფხოველებად. ძველი სახლი ამჟამად მხოლოდ ფშავის ერთ სოფელს, შუაფხოს შემორჩა. არქეოლოგიური არტეფაქტები მოწმობენ, რომ ამ ტერიტორიებზე ადამიანს ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში უცხოვრიათ.

ნაწარმოები „მოქცევაი ქართლისაი“ გვიყვება, საქართველოს გაქრისტიანების ამბავს, როდესაც წმინდა ნინომ 326 წელს იბერიის სამეფო ქართლის რეგულზე მოაქცია. სწორედ ამ ნაწარმოებშია მოხსენიებული პირველად ფხოვი და ფხოველები, რომლებსაც ქრისტიანობის მიღებაზე უარი განუცხადებიათ და მათ დიდ ნაწილს თავი თუშეთისთვის შეუფარებია, ნაწილი კი კავკასიონს გადაღმა გადასულა.

შუა საუკუნეებში, ფხოვის ტერიტორია კვეთერის საერისთავოში შედიოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთაში ბატონი არასოდეს ჰყოლიათ და მთიელები უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდნენ. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ხევსურები, როგორც თავზეხელაღებული მეომრები, მეფის კარზე გამორჩეულ ადგილს იკავებდნენ და ხშირად მეფის პირად დაცვასაც შეადგენდნენ.

Georgian historical sources refer to Khevsureti together with the neighboring Pshavi as "Pkhova", and the inhabitants of this area are called Pkhoveli. This old name is currently preserved in only one village of Pshavi, Shuapkho. Archaeological sites testify that humans have been living in these areas since prehistoric times. The Conversion of Kartli tells the story of the Christianization of Georgia when St. Nino converted the Iberian Kingdom to Kartli religion in 326. It is in this work that Pkhovi and Pkhoveli are mentioned for the first time; they refused to convert to Christianity and most of them took a refuge in Tusheti, and some of them crossed the Caucasus.

In the Middle Ages, the area of Pkhovi became a part of the Kveteri fiefdom. However, it should also be noted that there was never a lord in the mountains and the mountain dwellers bowed only to the king. It must be said that the Khevsurs, valiant warriors, occupied a prominent place in the king's court and often served as the king's personal guard.

The duty of the Pkhoveli was to protect and fortify the borders of the North Caucasus, and to call the troops if necessary. The proud Khevsurs arose to battles with their own flag, and if their autonomy was threatened by any restriction

ფხოველების მოვალეობა ჩრდილო კავკასიის საზღვრების დაცვა და გამაგრება იყო, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჯარის გამოყვანა ევალებოდათ. ამასი ხევსურები ბრძოლაში ყოველთვის საკუთარი დროებით გამოდიოდნენ და თუკი მათ ავტონომიას მეფისგან რაიმე სახის საფრთხე და შეზღუდვა დაემუქრებოდა, მზად იყვნენ ამბოხისა და განდგომისთვის.

პატრიარქალური ტრადიციები და ადათ-წესები მეტნაკლებად შეცვლილი სახით დღემდე შემორჩენილი. უძველესი დროიდან მოყოლებული, ადგილობრივ თემებს ხევისბერები განაგებდნენ, რომელთა ძირითადი მოვალეობა თაობებისთვის ტრადიციების შენარჩუნება, გადაცემა და კანონებისა და სამართლიანობის დაცვა იყო.

XII საუკუნის დამლევს, ხევსურები სამეფო ხელისუფლებას აუჯანყდნენ და განუდგნენ, თუმცა მალევე ზავი ითხოვეს და ერთგულების ფიცი დადეს. საუკუნეების განმავლობაში გეოგრაფიული იზოლაციის მიუხედავად, ადგილობრივი თემები აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში.

იბრძოდნენ ასპინძაში, კრწანისში, 1795 წელს კი ალა მაჰმად-ხანის წინააღმდეგ გამოიყვანეს ლაშქარი. XIX საუკუნეში მიმდინარე კავკასიელების წინააღმდეგ ბრძოლებს, ქართველი მთიელების გარეშე არ ჩაუვლია. შატილიონები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის და შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში.

ხევსურეთი პოეტების და თავზეხელაღებული მემრების სამშობლოა. აქ ყველა ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ლეგენდებს მამაც მებრძოლებზე, სადაც კაცების მხარდამხარ ქალებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ. ხევსურეთში დღემდე ჰყვებიან ლიქოკელი ხევსურის ამბავს, რომელმაც რუსეთ-იაპონიის დროს სამურაების ოცეული ხმლით მარტომ გაანადგურა. მეფე ერეკლესაც ხომ ხევსურებისგან შემდგარი პირადი რაზმი ახლდა ყველგან.

მთაში დაბადებული და გაზრდილი ადამიანებისთვის რთული აღმოჩნდა ის რადიკალური ცვლილებები, რაც 1951-1953 წლებში კომუნისტურმა რეჟიმმა განახორციელა. ამ წლებში, ხევსურეთიდან 1500-ზე მეტი ადამიანი იძულებით გაასახლეს. საბჭოთა პროპაგანდა მთის მოსახლეობაზე ზრუნვად ასალებდა ამ პროცესს. ირაკლი წიკლაური თავის წიგნში

from the king, they were ready for rebellion and apostasy. Patriarchal traditions and customs have survived in a more or less unaltered form here. From ancient times, the local communities were ruled by the Khevisbers (community leaders), whose main duty was to preserve and pass on traditions to the generations, and to uphold the laws and justice.

At the end of the XII century, the Khevsurs rebelled against the royal government and resigned, though soon demanded a truce and took an oath of allegiance. Despite geographical isolation, local communities have been actively involved in Georgia's political processes for centuries. They fought in Aspindza, Krtsanisi, and in 1795 their army was drawn against Agha Mohammad-Khan.

The battles against Caucasians in the 19th century could not have taken place without Georgian mountain dwellers. The Shatilians took an active part in the battles against the Russian Empire and Shamil.

Khevsureti is a homeland of poets and rebellious warriors. You will hear legends of brave warriors at every footstep, where women fought valiantly alongside men. Khevsureti still tells the story of Khevsurs from Likoki, who single-handedly destroyed a platoon of samurai during the Russo-Japanese war. King Erekle was accompanied by his personal Khevsur guards everywhere.

The radical changes brought about by the communist regime in 1951-1953 proved difficult for people born and raised in the mountains. More than 1,500 people were for-





„წარსულის ფურცლები“ იხსენებს, რომ ხევსურები „ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ, მაგრამ დუმილს არჩევდნენ, რაიმე წინააღმდეგობის გამოხატვისა ეშინოდათ, ვინაიდან მაშინ ცოცხალი იყო სტალინი და სახელმწიფოში დამკვიდრებული რკინისებრი დისციპლინის პირობებში მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა სამშობლოს ღალატის ტოლფასი გახლდათ. ამას შეიძლებოდა საბედისწერო შედეგები მოჰყოლოდა. ხევსურებმა იცოდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო, რამეთუ ახსოვდათ მათი მეზობლებისა და მეტოქეების – ქისტების გადასახლების იძულებითი მეთოდები ომის პერიოდში“. ბარში გადასახლებამ და წინაპართა მიწას მოწყვეტამ, ბევრი ხევსური ფსიქოლოგიურად გატეხა. ბევრმა ხანდაზმულმა უარი თქვა გადასახლებაზე და მართო დარჩა წინაპართა მიწაზე, ზოგიერთმა კი სახლის ზღურბლზე სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ბარად ჩამოსახლებამ ტრადიციების ცვლილება და ადაპტაცია გამოიწვია. ყველაზე უარესი, რაც ამ პროცესებს მოჰყვა, კულტურული და მატერიალური ძეგლების რღვევა და განადგურება იყო. სტალინური პოლიტიკის შედეგად, ხევსურეთის სოფლების 90 პროცენტი დაიცალა. მოგვიანებით, 90-იანებში რამდენიმე ოჯახი დაბრუნდა შათილში, თითო-ოროლა სხვა სოფლებში. ეს პოზიტიური და მნიშვნელოვანი ცვლილებები დღემდე მიმდინარეობს და ოდესღაც „გეგმიურად“ ბარად გადაბარგებული მოსახლეობა თავის პირველყოფილ საცხოვრებელს უბრუნდება.

cibly evicted from Khevsureti during these years. Soviet propaganda masked this process as care for the mountain population. In his book *Papers of the Past*, Irakli Tsiklauri recalls that the Khevsurs were "very worried, but chose to remain silent, fearing any resistance, as Stalin was alive at the time and dissatisfaction with the government's involvement during the state's iron discipline implied betrayal of the homeland." This could have had fatal consequences. "The Khevsurians knew that resistance was pointless, because they remembered the forced methods of deportation of their neighbors and rivals, the Kists, during the war." Moving to the valley and getting cut off ancestral land broke down many Khevsurs psychologically. Many elderly people refused to move and were left alone in their ancestral lands, while some ended their lives on the doorstep by committing suicide. Settlement in the valley led to a change and adaptation of traditions; the dismantling and destruction of cultural and material monuments was the worst that followed. As a result of Stalinist policies, 90% of Khevsureti villages were emptied. Later, in the 1990s, several families returned to Shatili. These positive and important changes are still going on and the population that was once moved to valley according to the "plan" is returning to its original habitat.

ეთნოლოგიური მემკვიდრეობა და მეურნეობა Ethnological Heritage and Agriculture

გეოგრაფიამ და მწირმა მიწამ განაპირობა, რომ ხევსურები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. აქ მოიპოვება როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონელი. ძირითადი ადგილობრივი პროდუქტებია რძე და რძის ნაწარმი, ერბო, ყველი, ხორცი.

ბოსტნეული, კლიმატიდან და ღარიბი მიწიდან გამომდინარე, ცოტაა. ძირითადად კარტოფილი და ძირხვეწა ბოსტნეული. ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყეს ფუტკრის მოშენება.

თუშეთთან შედარებით, ხევსურეთში მეცხვარეობა ნაკლებადაა განვითარებული. მიზეზი მწირი საძოვრები, კარგ საძოვრებამდე შორი და სახიფათო გზებია.

ტრადიციული ხევსურული საცხოვრისის მიზანი, მყუდრო და კომფორტული გარემოს შექმნა იყო როგორც ოჯახის, ისე პირუტყვისთვის. მკაცრი კლიმატიდან გამომდინარე, ზამთარს პირუტყვი ოჯახთან ერთ ჭერქვეშ ატარებდა. ციხე-სახლის პირველ სართულზე, ანუ „თვალში“ იყო კერა, ადგილი ცეცხლისთვის, სადაც ჯალაბი (ოჯახი) და საქონელი იყო განთავსებული. მეორე სართული „ჭერხო“ მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი. მესამე სართულზე კი ოჯახის მნიშვნელოვანი მარაგი - მარცვლეული ინახებოდა.

ხევსურეთში არ არის სამრეწველო საქმიანობისთვის გამოსადეგი ბუნებრივი რესურსები, მწირია და ცოტა სასოფლო-სამეორნეო სავარგულები. რეგიონის ძირითად მამოძრავებელ ძალად საქონლისა და რძის პროდუქტების რეალიზაცია რჩება. სოფლებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ხალხური რეწვის

Geographical conditions and scarce land have led to the fact that Khevsureti people are mainly engaged in cattle and sheep breeding. The chief local produce includes milk and dairy products, boiled butter, cheese, meat.

Vegetables are uncommon due to the climate and poor soil. Khevsurs mostly grow potatoes and legumes. Beekeeping has been actively pursued lately.

Compared to Tusheti, sheep breeding in Khevsureti is less developed. The reason is scarce pastures, and long and dangerous roads leading to good pastures.

The purpose of the traditional Khevsurian dwelling was to create a cozy and comfortable environment for both the family and the cattle. Due to the harsh climate, the cattle spent winter under one roof with the family. The first floor of the castle, "tvali" included a hearth, a place for fire, where jalabi (family) and cattle were placed. The second floor, "Cherkho" was for men. Grain, the family's vital supply was stored on the third floor.

Khevsureti does not have natural resources suitable for industrial activities, and agricultural lands are hard to come by. Beef and dairy trade remain the main driving force of the region. Folk handicrafts are still preserved in the villages and traditional crafts are not forgotten. Khevsureti has always been known for processing wool - tying yarn, dyeing it with natural ingredients, weaving rugs, knitting socks and shawls and sewing clothes. Hand embroidery made by Khevsurian women is stunning. It is mainly used to decorate clothing, women's knitted dresses and men's kaftans. Khevsurs also work with silver and make silver jewelry. Silver Khevsurian sword and dagger were famous not only in Georgia but throughout the Caucasus.

კერები და ტრადიციულ ხელობებს დავიწყებას არ აძლევენ. ხევსურეთი ყოველთვის ცნობილი იყო შალის დამუშავებით - ძაფის დართვა, ბუნებრივი ინგრედიენტებით მათი შეღებვა, ფარდაგების და წინდების ქსოვა, ტოლის დამუშავება და ტანსაცმლის კერვა. უმაღლეს შეფასებას იმსახურებს ხევსურ ქალთა მიერ ხელით შესრულებული ნაქარგობები, რომლითაც ძირითადად ტანისამოსს აფორმებდნენ, მისდევდნენ ვერცხლის დამუშავებასა და მისგან სამკაულების შექმნას, ხევსურული ხმალი და ხანჭალი კი არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში იყო განთქმული.



არქიტექტურა Architecture

მნახველების დიდ აღტაცებას იწვევს ხევსურთა საცხოვრისები. ბარისგან სრულიად განსხვავებული, რელიეფსა და კლიმატურ პირობებს მორგებული არქიტექტურული ძეგლები გულგრილს არავის ტოვებენ.

ხევსურეთში მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის 200-ზე მეტი ობიექტია შემორჩენილი. ბევრი მათგანი დრომ არ დაინდო და პირვანდელი სახე დაკარგული აქვს, თუმცა, მნახველს წარმოდგენას უქმნის ადგილობრივების სულიერ და მატერიალურ კულტურასა და სოციალურ ყოფაზე.

ერთ-ერთი საინტერესო ფენომენი ხევსურეთში „ხატის ტყეებია“, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. ამ საკრალურ ადგილებში არათუ ნადირობა, არამედ მინის მოჩიჩქვნაც კი აკრძალულია რჯულის მიხედვით და პასუხისმგებლობა თაობებს გადაეცემათ. სწორედ ამ უნიკალურმა ტრადიციამ განაპირობა ის, რომ ხევსურეთში მნიშვნელოვნად და თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი ბუნება.

Khevsureti dwellings are very popular among the visitors. Completely different from the valley, the architectural monuments adapted to the local terrain and climatic conditions are pretty impressive.

There are more than 200 sites of material cultural heritage in Khevsureti. Many of them have not withstood the test of time and have lost their original appearance, however, they provide a glimpse of the spiritual and moral culture and social life of the locals.

The "Icon Forests" is one of the interesting phenomena in Khevsureti. Sometimes it covers a large area. Prohibiting the land is forbidden by law and hunting is out of question on in these sacred land. Responsibility for keeping the ritual is passed on for generations. Unique traditions have led to the preservation of nature in Khevsureti in a pristine and almost untouched form.



ხევსურთა წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულები Khevsureti Customs and Folk Holidays

ხევსურეთი სინკრეტიზმის კლასიკური მაგალითია, ანუ წარმართობისა და ქრისტიანობის ნაზავია: რწმენა ქრისტიანულია, ღვთისმსახურების ფორმები და წესები კი - წარმართულიც და ქრისტიანულიც. ქრისტიანობის გვიან შესვლის გამო ამ ორი რელიგიის მშვიდობიანი შეგუება, გახალხურება მოხდა. ჯვარ-ხატების უმეტესი ნაწილი ქრისტიანულმა წმინდანებმა ჩაანაცვლა, თუმცა მათი ბუნება ნაწილობრივ კვლავ წარმართული დარჩა. სალოცავების კარზე ღვთისმსახურება ქრისტიანობამდელი ფორმითაც აღესრულება და მართლმადიდებელი ღვთისმსახურებაც ატარებენ წირვა-ლოცვას. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხევსურეთში იმგვარ ამკრძალავ ნიშნებს ნახავთ, როგორიც თუშეთშია. წმინდა სალოცავებსა და ხატებში ქალები არ დაიშვებიან, იქ შესვლის უფლება მხოლოდ ჯვარ-ხატთა კულტის მსახურებს, ხუცესებს, ხევისბერებს დასტურებს აქვთ. ყველაზე ცნობილი დღესასწაული, რომელიც ხევსურეთის მთელს ტერიტორიაზე აღინიშნება, ათენგენობაა. ესაა მთავარი დღესასწაული, სახალხო ზეიმი. დასტურ-ხელოსნები კლავენ საკლავს, საქვაბეში კი ლუდი იხარშება. ათენგენობა ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც სათავეს III-IV საუკუნეებიდან იღებს და ბერძენ მღვდელ-მოწამე ათინოგენეს სახელს უკავშირდება. მისი სახელი წმ. ნინოს მოღვაწეობის პერიოდს ემთხვევა, ასე რომ სავარაუდოდ ქრისტიანობის ქადაგების პირველ ტალღასთან ერთად დამკვიდრდა მისი სახელი მთაში და დღეს ეს დღესასწაული თითქმის პირვანდელი სახით შემორჩა. ათენგენობა მოძრავი დღესასწაული იყო და არის დღესაც. იმართება ივნის-ივლისში, აღდგომიდან 98-ე დღეს. დღესასწაულის დადგომამდე 2 კვირით ადრე ხატის მსახურები ხატში მიდიოდნენ და „წმინდობდნენ“, ანუ მარხულობდნენ. ასრულებდნენ მსუბუქ საქმეს, ლუდს ადულებდნენ, ლოცულობდნენ და ასე ემზადებოდ-

Khevsureti is a classic example of syncretism: a mixture of paganism and Christianity; while the faith is Christian, the forms and rites of worship are both pagan and Christian and the places of worship are Christian. With the late advent of Christianity, these two religions were peacefully adapted and folklorised. Most of the cross-icons were replaced by Christian saints, although their nature remained partly pagan. Worship at the door of the shrines is performed in a pre-Christian form, while Orthodox Church also holds services there.

Do not be surprised if you see prohibitive signs in Khevsureti, similar to Tusheti.

Women are not allowed in the sacred shrines and in proximity of icons, only the ministers of the cult of cross-icons, the elders, the community leaders and craftsmen have the right to enter. Atengenoba is the most famous holiday, which is celebrated all over Khevsureti. This is the main holiday, a public holiday. Craftsmen kill the sacrificial animals, and beer is brewed in large vessel. Atengenoba is a Christian holiday that dates back to the III-IV centuries and is related to the Greek martyr Athenogenes. His name is associated with the period of St. Nino, thus probably his name got established in the mountains with the first wave of Christian preaching. Today this holiday has remained almost in its original form. Atengenoba was and still is an unfixed holiday, it is held in June-July, on the 98th day after Easter. Two weeks before the feast, the servants of the icon used to go to the icon shrine to get "sanctified". They fasted, did light work, brewed beer, prayed, and prepared for the day. During Atengenoba, people start coming to the sacrificial altar in the morning.

However, as in Tusheti, women cannot enter the land of the icon. They have another important mission: to take care of and cook for the guests, and to prepare a festive



სოფ. ჩირდილი.

ნენ დღეობისთვის. ათენგენობას ხალხი დილიდანვე იწყებს მისვლას ნიშთან. თუმცა, ისევე როგორც თუშეთში, ქალები ხატის მიწაზე არ გადადიან. მათ სხვა მნიშვნელოვანი მისია აქვთ: მოსულ სტუმრებს უნდა მიხედონ და დააპურონ, ასევე, სადღესასწაულო სუფრა გააწყონ. ულამაზეს ტალავარში გამოწყობილი ხევსური კაცები ნიშთან გროვდებიან. თითოეულ ოჯახს, გვარს ცხვარი, ან ბატკანი მოჰყავს საღვთო საკლავისთვის. ხუცესი ჯერ დაამწყალობინებს, დალოცავს ყმებს, ანუ სალოცავის მრევლს და შემდეგ დანარჩენებს. „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურს წყალობა“ იტყვის იგი. ამის შემდეგ ჯერ თავად დაღვს ლუდს, შემდეგ კი დანარჩენებს გაუმასპინძლდება. ღამისთვის წესის შესრულების შემდეგ, მომდევნო დილას სრულდება ე.წ. „ჟამისწირვა“. ამისთვის დარბაზში წინასწარ ეწყობა სახუცო კოჭობი, ლუდით სავსე თასები, რიტუალური პურები, ქადები და კეცეულები. ჟამისწირვის დასრულების შემდეგ კი მეზღვენეების ჯერი დგება, რომელთაც ხატისთვის შესანიშნავი საკლავი მოჰყავთ. მეზღვენეებს ლუდით და არყით უმასპინძლდებიან. შერჩეულ საკლავს თემის დეკანოზს მიუყვანენ, რომელიც ოჯახის წევრებს დაამწყალობინებს, ანუ დალოცავს. შემდეგ ხუცესი პირით აღმოსავლეთისაკენ დადგება და საკლავსაც ამგვარადვე დააყენებს. შემწირველის ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა მამაკაცი ცხვარს სანთლით ბალანს ჯვრის ფორმით შეუტრუსავს. ოდნავ განსხვავებული წესი აქვთ ხევში, სადაც სადღესასწაულო საკლავს მარჯვენა ყურს სანთლით უტრუსავენ. თუკი საკლავი მიცვალებულის სახელზეა, ამ შემთხვევაში მარცხენა ყურს შეუტრუსავენ. პირუტყვსაც შესაბამისად კლავენ: თუკი სადღესასწაულოა, მარჯვენა მხარეს წამოაქცევენ, ხოლო თუ მიცვალებულის სახელზეა, მარცხენა მხარეს. შეწირვის რიტუალის შემდეგ კი ჯარობა იმართება, ანუ ცეკვა-სიმღერა და ქეიფი. საინტერესო ტრადიციაა შემორჩენილი მთაში, რომელიც სავარაუდოდ ძველი ალთქმის მსხვერპლთშეწირვის რიტუალის იმიტაციაა: დეკანოზი, საღვთო საკლავის სისხლით, მამაკაცების შუბლზე ჯვარს გამოსახავს. ეს ტრადიცია დღესაც აქტუალურია და არამხოლოდ ხევსურეთში. იმავე სცენას წააწყდებით ხევსა და მთიულეთში, მაგალითად, ლომისობას. ხევსურეთი უკანასკნელ ათწლეულში, სხვადასხვა მიზეზებით მოსახლეობისგან დაიცალა, ამიტომ ათენგენობას დღეს უკვე შედარებით მოკრძალებულად აღნიშნავენ. თუმცა ახალგაზრდები, რეგიონისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან დღესასწაულზე მაინც ჩამოდიან და ცდილობენ ძველი ტრადიციები და

supper. Khevsurian men dressed in beautiful kaftans gather around an altar. Each family brings a sheep, or a lamb for the divine sacrifice. The elders first bless the youth, then the parishioners, and then the rest. The elder says: "Glory for the cross, mercy for the seeker". After that, he drinks beer first, then the others follow. After performing the overnight rite, the next morning the ritual called "djamistsirva" is completed.

For this purpose, a hall is prepared beforehand. Holiday feast includes a jug for the elder, cups full of beer, ritual breads, and pastry and ketsi dishes. After "djamistsirva", it is up to gift-bearers to continue the rite. They are the ones who bring sacrifice to the icon. The bearers are treated to alcohol, mainly beer and vodka. The selected sacrificial animals are brought to the community archpriest, who blesses them and the family members. Then the elder faces the east and places the sacrificial animals the same way. The youngest man in the host family will sing a sheep's wool with a candle, in the shape of a cross. They have a slightly different rule in the ravine, where the animal's right ear is singed. If the sacrifice is made in the name of the deceased, the left ear is singed. The cattle are also slaughtered accordingly: if it is a feast sacrifice, they are thrown to the right, and if it is in the name of the dead, to the left. After the ritual of sacrifice, the "jaroba" is held, that is, dancing, singing and the feast.

An interesting tradition is preserved in the mountains, which is probably an imitation of the sacrificial ritual of the Old Testament: the archpriest depicts a cross on the forehead of men with the blood of the holy sacrifice and this tradition is still relevant today outside of Khevsureti as well. You may encounter the same scene in Khevi and Mtiuleti, for example during the Lomisoba holiday. Atengenoba is celebrated modestly these days, as Khevsureti has been depopulating for the past decade for a variety of reasons. Young people still come to this very important regional holiday, in attempt to preserve the old traditions and customs. It shows respect for their ancestors. After all, despite all the hardships and calamities of the time, they were able to preserve these rituals almost in their original form. The following calendar will come handy, if you decide to visit Khevsureti after reading this guide:

lakh saroba - The shrine of the Pshaveli Kisti community is located on Avisgora in Shuapkho. The celebration falls on Thursdays, Fridays and Saturdays during the week of



არხოტი. მზადება ათენგენობისთვის ლუდის ხარშვა.

ადათ-წესები შეინარჩუნონ. ეს ერთგვარი პატივის მიგებაა მათი წინაპრებისადმი, რომელთაც ყველა გაჭირვების და ავბედობის მიუხედავად, შეძლეს შემოენახათ და ჩვენამდე მოეტანათ ეს ადათ-წესები. თუკი ამ გზამკვლევის შემდეგ ხევსურეთში დღეობაზე წასვლას გადაწყვეტთ, ხევსურეთის დღეობების კალენდარი გამოგადგებათ:

იახსარობა - ფშაველ ქისტაურთა თემის სალოცავი, შუაფხოში ავისგორზე დაბრძანებული, მოდის ლაშარობის კვირაში ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს. კვირა დილით იახსრის დროშას ავისგორიდან ფშავის კარატის მთის წვერზე ააბრძანებენ, ეს არის უბისთავის მთაზე. ამ ადგილს ფშავეში ჰქვია კარატის წვერის ანგელოზი ლალი იახსარი.

კოპალობა - უძილაურთა თემის სალოცავი, ციხეგორიში დაბრძანებული, მოდის ლაშარობის მომ-

Lasharoba. On Sunday morning, the lakhsari flag is ceremoniously moved from Avisgori to the top of Pshavi-Karati Mountain, which is on Ubistavi Mountain. This place in Pshavi is called the angel of the Karate peak, carefree lakhsari.

Kopaloba - The celebration of Shrine of the Udzilauri Community, located in Tsikhegori, follows next week of Lasharoba - on Thursdays, Fridays and Saturdays (Kopaloba is celebrated one week after Ikhsaroba, on the same days). On Wednesday night, maidens from Pshavi keep vigil and on Thursday Likoki dwellers come up from the Likoki ravine. A unified ritual with Pshavi and Likoki Khevsurs takes place. When the sun heads towards set, flag-bearers of both communities will cross the flags until the sunset. Likoki dwellers return home, while Pshaveli people head to Iremtkalo, where only Pshaveli ritual takes place on Saturday (the next morning).

დევნო კვირაში - ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს (კოპალობა იახსრობიდან ერთი კვირის შემდეგ იმავე დღეებში აღინიშნება რომელ დღეებშიც იახსრობას აღნიშნავენ) ოთხშაბათს იმართება ფშავიდან ასულთა ღამისთევა, ხუთშაბათს დილით ლიქოკის ხეობიდან ამოდიან ლიქოკლები, სადაც ტარდება ერთობლივი რიტუალი ფშაველთა და ხევსურ ლიქოკელთა მონაწილეობით, პარასკევს მზე შუბის ტარზე რომ გადაინვერება, ორივე თემის დროშოინი დროშებს გადააჯვარედინებენ, ვიდრე მზე დაბრძანდება ლიქოკლები დაბრუნდებიან ლიქოკის ხეობაში, ხოლო ფშაველები გადმოინაცვლებენ ირემთკალოზე, სადაც შაბათს (მეორე დღისით) ტარდება რიტუალი მხოლოდ ფშაველთა მონაწილეობით.

ათენგენობა - ეკლესია მას 16/29 ივლისს აღნიშნავს. საქართველოში ათენგენობა აღდგომიდან 98-ე დღეს აღინიშნება. პირაქეთა ხევსურეთში ათენგენობა გიორგობის შემდეგ 35-ე შაბათს მოდის (6/19 დან 13/26 ივლისს შორის მოსულ პირველ შაბათიდან იწყება) და ერთ კვირას გრძელდება. ამ დღესვე ემთხვევა პირიქითა ხევსურეთის შატილის თემში ათენგენობის დღეობა. ათენგენობა გუდანის ჯვარში წელსაც ტრადიციულად ივლისის ბოლოს გაიმართება. გუდანის ჯვარი, მთელი ხევსურეთის საერთო სალოცავია.

Atengenoba - The church celebrates it on July 16/29. Atengenoba is celebrated in Georgia on the 98th day after Easter. In Piraketa Khevsureti, Atengenoba falls on the 35th Saturday after St. George holiday (starting from the first Saturday between July 6/19 and July 13/26) and lasts for a week. This day coincides with the day of Atengenoba in the Shatili community of Piriketa Khevsureti. Atengenoba will traditionally be held at the end of July this year at Gudani cross. Gudani Cross is the common place of worship for the whole Khevsureti.



ჯვრისწერა ბარისახოში. 1907 წ.

მითოლოგია Mythology

ხევსურული მითოსი მდიდარია ღვთიური ძალის მქონე პერსონაჟებით. ხევსურთა რწმენით ღრმა ხევხუვები, მაღალი კლდეები და სწრაფი მდინარეები სავსე არიან დევებით, ქაჯებით და მათთან მებრძოლი ხთისშვილები, რომლებიც ადამიანებს ავსულებისგან იცავენ.

ხევსურულ პანთეონში, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უზენაეს ღმერთს, მორიგეს, იგივე არსთა გამრიგეს უჭირავს, რომელიც ქვეყნიერებაზე წესრიგს ამყარებს.

იახსარი ძალ-ღონით გამორჩეული, დევებთან და ქაჯებთან მებრძოლი ღვთისშვილია. ანდრეზების მიხედვით, იახსარი ადამიანებსა და მორიგე ღმერთს შორის შუამავალია. ლეგენდის მიხედვით, როშკის მახლობლად დევები ცხოვრობდნენ და იქვე ჰქონიათ გამართული სამეფდლო. ეს მითიური, ბოროტი არსებები ადამიანებს თავს ესხმოდნენ და ბევრ უბედურებას მოსწევდნენ ხოლმე. ერთხელაც, თავგაბებრებულ ხევსურებს ღვთისთვის საკლავი შეუწირავთ და დახმარება უთხოვიათ. ღმერთსაც დედამიწაზე ღვთისშვილი იახსარი მოუვლენია, საბრძოლო იარაღად კი ლახტი მიუცია. იახსარს ამ ლახტით დაუხოცია დევები. როგორც სოფელში ჰყვებიან, ერთი დევი ლოდს უკან დამალულა, თუმცა, იახსარს ვერ გაჰყვია. ამბობენ, რომ სწორედ იახსრის ლახტის კვალია ის ბზარი, რომელიც ამ უზარმაზარ ლოდს მთელ სიგრძეზე გასდევს.

კოპალასა და იახსრის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბაადურს, იგივე – ბერ ბუქნაი ბაადურს. თავისი თანამებრძოლების დარად, იგიც ღვთისშვილია. ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ბაადური წმ. გიორგი უნდა იყოს. მისი სალოცავი გუდანში წმ. გიორგის ხატმა ჩაანაცვლა, თუმცა, ძველად საკუთარი სალოცავი ჰქონია სანელელეს მწვერვალზე. ბაადური გუდანის ზემოთ, სანელოზე ჩამოსულა ციდან. მას ხალხმა არაერთი სიმღერა მიუძღვნა.

Khevsurian mythology is rich in characters with divine power. The deep ravines of Khevsureti, high cliffs and fast rivers are full of devis (ogres), kajis (evil souls) and god-send heroes fighting with them.

Morige (negotiator), aka establisher of the order in this world is the supreme god in the Khevsurian Pantheon.

Iakhsari is a son of God endowed with strength; he fights with devis and demons. According to fables, Iakhsari is a mediator between people and Morige god. According to legend, devis lived near Roshka. They had established a smithy there. These mythical, evil creatures attacked humans and caused a lot of trouble. Once, desperate Khevsurs slaughtered sacrifice for god and asked for help. God sent

Iakhsari, his son to this earth; he was gifted with a combat weapon – a special whip. Iakhsari killed the devis with this whip.

According to the village folklore, one devi hid behind a rock, however, he could not escape Iakhsari.

There is a trace of that crack on this huge boulder, where the godsend youth smashed his whip.

Baadur occupies an important place next to Kopala and Iakhsari. He is also known as - Ber Buknai Baadur. Sent as a mercy and aid to his comrades, he too is a son of god. According to folk beliefs, Baadur must be St. George. His shrine in Gudani was replaced by the altar of St. George's icon, however, in the old days, Baadur had his own shrine on the summit of Sane-Ghele. Right here, above Gudani, at Saneo, Baadur descended from the sky. He was wrath of the devis and people dedicated songs to him.

სამზარეულო Cuisine

ფშავ-ხევსურული სამზარეულო არ არის მრავალფეროვანი და პომპეზური. ძირითადად გამოიყენება ხორბლის ფქვილი, კარტოფილი, ყველი და რძის სხვა ნაწარმი. კერძების სახელებმა შეიძლება დაგაბნियोთ. მაგალითად, სჭობს წინასწარ იცოდეთ, რომ „კუსერბოს“ არავითარი კავშირი არ აქვს კუსთან. ხევსურულ დიალექტზე „კუსი“ ყველს ნიშნავს, ერბო კი ერბოა, ანუ „დათლილ ყველს მაუკიდებდნენ ერბოზე“, ზოგჯერ კი ნიორსაც ჩააქრიან, განსაკუთრებით ზამთარში, როცა რესპირატორული დაავადებების პიკია. ზედაც თითო ჭიქა არაყს დააყოლებენ.

აქაური რაციონი ძირითადად რძის პროდუქტების, ხორცის, პურისა და ლუდისგან შედგება. ტრადიციული პური ქერისგან ცხვებოდა და მას მრგვალი ფორმა ჰქონდა. დღემდეა შემორჩენილი კეცეულზე, პურსა

Pshav-Khevsur cuisine is unpretentious, plain and simple. The main ingredients are wheat flour, potatoes, cheese and other dairy products. The names of the dishes may confuse you. For example, "kuserbo" (turtle boiled butter) has nothing to do with a turtle. In the Khevsurian dialect, kusi means cheese, and erbo stands for boiled butter. The "grated cheese will be poured on boiled butter", sometimes with a bit of garlic, especially in winter, when it's the peak of respiratory diseases. They also chase it with a glass of vodka on top.

The menu here consists mainly of dairy products, meat, bread and beer. The traditional bread was baked from barley and it had a round shape. It is still a custom to cut cross or various shapes on baked goods.



და ქაღებზე ჯვრის, ან სხვა ფორმის ორნამენტების გამოსახვის („დაჭვრეთის“) ტრადიცია, რაც სპეციალური ხის საჭვრეთათი კეთდება.

ქაღები სხვადასხვა გულსართებით ცხვება: ხავინით (მოშუშული ერბო და ფქვილი), ყველით და კართოფლით. სეზონების მიხედვით, ქაღების შემადგენლობა იცვლება და მწვანე სეზონზე აქტიურად იყენებენ მინდვრის მხალეულსაც.

მინდვრის ბალახეულიდან მზადდება შესანიშნავი წვნიანები, ან უბრალოდ ხახვთან ერთად მოდაღავენ ბლომად ერბოში და ასე მიირთმევენ.

მთაში აგროვებენ: ჩადას, ნაცარქათამას, ჭინჭარს. პირიქითა ხევსურეთისთვის დამახასიათებელი მკაცრი კლიმატის გამო, ხილი და ბოსტნეული იქ ნაკლებად ხარობს. თუმცა, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე შეფენილ პირაქეთა ხევსურეთსა და ფშავში, ხილიც და ბოსტნეულიც შედარებით მეტია, უმეტესად ხარობს ვაშლი და პანტა, კენკროვანიდან კი მოცვი, ჟოლო, მარწყვი.

ფშავ-ხევსურეთის ტრადიციული სუფრა წარმოუდგენელია ხინკლის გარეშე, რომელიც ადგილობრივი დღესასწაულებისა თუ ყოველდღიური ტრაპეზის აუცილებელი ელემენტია. აღმოსავლეთ მთიანეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ხინკლის გულსართი აქ უფრო მრავალფეროვანია. ტრადი-

Kadas are baked with different ingredients: khavitsi (boiled butter and flour), cheese and potatoes. Stuffing of kadas change with the seasons, and during the green season the field herbs are actively used.

Excellent soups are made from field herbs. Sometimes these herbs are simply cooked with onions in boiled butter and enjoyed. Fern, goosefoot, and nettle are among herbs being collected in the mountains.

Due to the harsh climate typical of Khevsureti, fruits and vegetables are harder to come by in Piriketa Khevsureti. However, in Piraketa Khevsureti and Pshavi on the southern slope of the Caucasus, fruits and vegetables are relatively abundant. Most of them are apples and wild pears, and blueberries, raspberries and strawberries.

The traditional feast in Pshav-Khevsureti must include khinkali; it is an essential element of local holidays or daily meals. Unlike the Eastern Highlands, khinkali filling is more diverse here. In addition to traditional meat khinkali, some are made with cheese, garlic and nuts, and potatoes, served with melted boiled butter.

Unlike the valley, where grapes thrive, here wine is replaced by vodka and beer. Beer is considered an honorable drink and is brewed in every village for celebration. Vodka is mostly made from barley, though sometimes it is distilled from forest fruits and danewort as well.



სატანი და კართოხა.

ციული ხორციანი ხინკლის გარდა, ამზადებენ ყველით, ნივრით, ნიგვზითა და კარტოფილით, რომელსაც გამდნარ, თბილ ერბოს მოასხამენ.

ბარისგან განსხვავებით, სადაც ყურძენი უხვად ხარობს, აქ ღვინო არაყმა და ლუდმა ჩაანაცვლა. ლუდი საპატიო სასმელად ითვლება და სადღესასწაულოდ ყველა სოფელში იხარშება. არაყს უმეტესად ქერისა და სვიისგან ხდიან. იშვიათად ტყის ხილისა და ანწლისგანაც.

ხევსურული ხინკლისა და კეცეულების შემდეგ, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კერძი ღურღუჭელია, რომლის მომზადება სახელდახელოდაც შეიძლება, თუკი ყველი და მჭადის ფქვილი გაქვთ.

ღურღუჭელს ფშავშიც ამზადებენ, მხოლოდ განსხვავებული სახელით, იქ მას გუგლუმას ეძახიან. ღურღუჭელის ცომისთვის სიმინდისა და ხორბლის ფქვილს გადაურევენ თანაბრად, დაუმატებენ მარილს და ცხელი წყლით ელასტიურ ცომს მოზელენ. შემდეგ პატარა ბურთულებს ამოაგუნდავენ, თითოთ ჩააღრმავებენ და გახეხილ ცხიმთან ყველს ჩაუდებენ. თავს ფრთხილად მოუკრავენ, ისე რომ ორივე მხარეს თანაბრად გლუვი გამოვიდეს და მდულარე მარილწყალში მოხარშავენ. ამ კერძის აუცილებელი ატრიბუტი დამდნარი ერბოა, რომელიც მას ავსებს და განუმეორებელ გემოს აძლევს. სხვა რეცეპტით, ღურღუჭელს ყველის ნაცვლად ქონის ნაჭერს, ან დაკვიპილ და შეზავებულ შიბუს, მთის ღანძილს ჩაუდებენ.

ღურღუჭელი ნოყიერ, მაგრამ ამავე დროს დიეტურ საკვებად ითვლება. თუშ-ფშავ-ხევსურები ძლიერ ამაყობენ დაბალანსებული კვებით და ხშირად აღნიშნავენ, რომ სწორედ ამის წყალობით არიან ასეთი ტანწერნეტები.

ხევსურთა საშინაო ყოფა და ტრაპეზი კარგად აქვს აღწერილი სერგი მაკალათიას: „საშინაო პურს არც კი ცრიან. პური აქ ცხვება მრგვალი ფორმისა და ლავაში. მაგრამ ბედნიერ დღეებში (ქორწილი, სტუმრობა და სხვა) აცხობენ აგრეთვე მრგვალ ხმიადებს, რომლებსაც საჭვრეთათი აჭრელებენ, ხოლო მის ნაპირებს ხელით მოჭრეხენ. საჭვრეთა ხისაა, მასზე სხვადასხვა ნიშნებია ამოჭრილი და ყველა ოჯახს თავიანთი ნიშნიანი საჭვრეთა აქვს. აცხობენ აგრეთვე ჭიჭიტას, რომელიც მრგვალია და ნაპირი დაჭრელებული აქვს. მოგრძო ფორმის

Ghurghuchuli is probably one of the most interesting dishes after Khevsurian khinkali and baked goods. It can be prepared spontaneously, if you have cheese and mchadi flour on hand.

Ghurghuchuli is also made in Pshavi, only with a different name, there it is called Gugluma.

For the ghurghuchuli dough, mix the corn and wheat flour evenly, add salt and knead the elastic dough with hot water. Roll out small balls of dough, knead them with your finger and add grated fatty cheese. Carefully envelop the small ball, so that both sides come out evenly smooth and boil. Melted boiled butter is an essential attribute of this dish, which complements it and gives it a distinctive taste. According to another recipe, instead of cheese, add a piece of fat, or shredded and mixed shibu, an alpine leek. Ghurghuchuli is considered a nutritious, yet a dietary food. The mountaineers are very proud of the balanced diet and often mention that it is thanks to their diet that the Tush-Pshav-Khevsurs are so fit.

Sergi Makalatia described the home life and the meal of the Khevsurs: “They do not even sift the home bread. The bread here is baked in a round shape, as a lavash. However, during celebrations (weddings, visits, etc.) they also bake round breads, which have special carvings, while the edges are cut by hand. Carvings are made with wooden tools, different marks are cut on it and every family has its own mark cuttings. They also bake chichita, which is round and has a cut edge. Elongated lavashes also often carry marks. Kada is baked with cheese and khavitsi, they also bake round and thin bread, ketseuli, the heart of which is mixed with cheese and herbs. Ketseuli is dipped in boiled butter and enjoyed that way. Khinkali is known for its meat. They eat boiled cornmeal dish called ghurghuchuli.

As for the dairy products, they eat boiled butter and creamless cheese, as well as curd cheese. They do not eat butter and cream. Some do not even drink milk. They eat the butter-bottom, which is sprinkled with corn flour, and eaten with a spoon.

As for the meat, they eat beef and mutton. The meat is boiled and dry. Kaurma is their main soup. They eat goat meat obtained by hunting. They also hunt for turs. There are many turs in Khevsureti, especially in Arkhoti and Shatili mountains. Khevsurs are skilled in tur hunting,

ლავაშებსაც ხშირად აჭრელებენ. ქადა ცხვება ყველიანი და ხავიწიანი (გულიანი), აცხობენ მრგვალ და თხელ პურს, კეცეულს, რომლის გული ყველითაა და მწვანილით არის შეზავებული. კეცეულს ერბოში აწობენ და ისე ჭამენ. ხინკალი იციან ხორცისა. ჭამენ მოხარშული სიმინდის კვერს ღურღუჭელს.

რძის ნაწარმებიდან ჭამენ ერბოსა და ნაღებმოხ-დილ ყველს, აგრეთვე კალტს, კარაქს და ნაღებს არ ჭამენ. რძესაც ზოგი არ სვამს. ჭამენ კარაქის-ძირს, რომელსაც სიმინდის ფქვილს მოაყრიან და კოვზით ჭამენ.

ხორცეულიდან ჭამენ ხარისა, ძროხისა და ცხვრის ხორცს. ხორცს უფრო მოხარშულსა და მშრალს ჭამენ, წვნიანებიდან ყაურმას აკეთებენ. ნანადირევიდან ჭამენ უფრო ჯიხვის ხორცს. ჯიხვი ხევსურეთში ბევრია, განსაკუთრებით არხოტსა და შატილის მთებში. ჯიხვზე ნადირობაში ხევსურები დახელოვნებული არიან და ბლომდაც ხოცავენ. ჯიხვის ტყავს ქურქად იყენებენ და ყიდიან. ჯიხვის ტყავი აქ ერთ ლიტრა ერბოდ იყიდება. ღორსა და კურდღელს ხევსური არ ჭამს, ხატი გვიკრძალავსო, ზოგან ქათამსა და კვერცხსაც არ ჭამენ, – ხატის გვეშინიაო. თევზს კი ჭამენ. ხორცს ხევსურები ახმობენ და ისე ინახავენ. ბოსტნეული და ხილი აქ არ ხარობს და ხევსურები ტყისა და მინდვრის ხილით იკვებებიან. მხოლოდ ბარისახოს თემში გვხვდება ზოგი ბოსტნეული და ხილი. ამ ბოლო ხანებში აქ კარტოფილიც ითესება და ხევსურები კარტოხას ჭამენ. მხალს ხევსურეთში ძლიერ ეტანებიან. მხალი მარილწყალში იხარშება. შემდეგ მას ერბოში მოშუშავენ და ისე ჭამენ. ფხალად იხარშება: თითმავალა, ნაცარქათამა, ჩადა, ჭინჭარი, გუგულმა და წიწმატი.”

შიბუიანი ხინკალი

ტრადიციული ხორციანი ხინკლის გარდა, ხევსურეთში სხვადასხვა გულსართიან ხინკალსაც ხარშავენ. კარტოფილითა და ყველით, ან მხოლოდ კარტოფილით, ხაჭოთი და შიბუთი.

შიბუ, იგივე მთის ღანძილი, გაზაფხულზე იკრიფება და მას მარინადის სახით ინახავენ. საჭირო დროს კი შიბუს ამოიღებენ, წყალს გადაავლებენ, დანურავენ და წვრილად დაკეპავენ. ამ მასას ნადულში, ხაჭოსა ან გახეხილ ყველში (სატანში) გადაურევენ და ხინკლის გულსართად გამოიყენებენ.

they kill many of these animals. Tur skin is used as a coat and sold as well. It can be exchanged for a liter of boiled butter. Khevsurs do not eat pigs and rabbits, they believe that the icon forbids it. In some places they do not even eat chicken and eggs – they are afraid of the icon. They do eat fish. Khevsurs dry the meat to preserve it. Fruits and vegetables are rare, so Khevsurs make by with forest and field fruits. Fruits and vegetables can only be found in Barisakho community. Recently, potatoes have been planted here and Khevsurs eat potatoes. Locals also enjoy herb dishes. Herbs are boiled in salted water, then fried in boiled butter. These herbs include: goosefoot, fern, nettle, guguluma and watercress”.

Mountain Leek Khinkali

In addition to traditional meat khinkali, khinkali with various fillings are prepared as well. The fillings include potatoes and cheese, or just potatoes, cottage cheese and mountain leek.

Shibu, aka mountain leek, is harvested in the spring and stored as a marinade. When necessary, the shibu is removed, thoroughly rinsed in water, squeezed and finely chopped. This mass is mixed with curd, cottage cheese or grated cheese (sateni) and used as a khinkali filling.

In Khevsureti, khinkali dough is mixed with cold water and kneaded with no yeast, with a sprinkle of salt. The dough should be tough, glossy and elastic so that the khinkali does not crack or fall apart. Cook lets the dough rest for 20 minutes in a cloth-covered bowl. Only then are the khinkali shaped and rolled.

Shibu khinkali is cooked in the same way as traditional khinkali and it is enjoyed with boiled butter.

Boiled butter – erbo – is an integral part of Khevsurian cuisine. No feast goes without it. It is not a simple fat, it is a liquid gold that gives health and vitality. The real boiled butter is quite expensive.

Erbo goes well with baked goods.

Ketseuli is a traditional Khevsurian kada with different fillings, which are determined by the season and taste; different villages also have different traditions and recipes. Kestseuli have one thing in common – they are extremely tasty and it is impossible to stop at just one piece.

ხევსურეთში ხინკლის ცომს უსაფუაროდ, ცოტა მარილით და ცივი წყლით ზელენ. ცომი მაგარი, პრიალა და ელასტიური უნდა იყოს, რომ ხინკალი არ გაიხეს და არ ჩაიშალოს. ცომს 20წთ დაასვენებენ ტილოგადაფარებულ გობში. მხოლოდ ამის შემდეგ მოჭრიან ხინკლის ფორმებს და შეახვევენ. შიბუიანი ხინკალი იგივე წესით იხარშება, როგორც ტრადიციული ხინკალი და მას დამდნარ ერბოსთან ერთად მიირთმევენ.

ერბო, ხევსურული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. მის გარეშე არც ერთი პურობა არ ჩაივლის. ეს უბრალო ცხიმი კი არა, ჯანისა და ჯანმრთელობის მიმცემი ნამდვილი „თხევადი ოქროა“ და საკმაოდ ძვირადღაც ფასობს.

ერბო უხდება კეცეულებსაც.

კეცეული, ტრადიციული ხევსურული ქადაა, სხვადასხვა გულსართით. სეზონისა და გემოვნების მიხედვით, აგრეთვე სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვა ტრადიციები და რეცეპტები აქვთ.

თუმცა, ყველა კეცეულს ერთი რამ აერთიანებს - ის უზომოდ გემრიელია და შეუძლებელია მხოლოდ ერთი ნაჭრით დაკმაყოფილდე.

კეცეულის გულსართად შეიძლება გამოყენებულ იქნას ხორცი და შიბუ, ხაჭო/ყველი და შიბუ, კარტოფილი და ხორცი. ამასაც დამდნარ ერბოში ამოანებენ და ისე მიირთმევენ. ძველად ხევსურეთში ე.წ. „სისხლიან-შიგაურიან“ კეცეულებსაც აცხობდნენ თუმცა, დღესთითქმის აღარავინ აცხობს.

კუსერბო

ყველაზე დამაინტრიგებელი სახელის მქონე კერძია, რომელიც ფშავურ ხაჭო-ერბოს წააგავს. კუსს, ხევსურულ დიალექტზე ყველის მთლიან დიდ თავს ეძახდნენ. სწორედ ამით აიხსნება კერძის სახელიც: ყველი ერბოში.

თავდაპირველად, მსხვილ სახეხზე გახეხავენ კარტოფილს, რომელსაც ცოტა ხანს წყალში გააჩერებენ, რათა ზედმეტი სახამებელი გაეცალოს. ბლომად ერბოს დაადნობენ ღრმა და სქელძირიან ტაფაზე, უმჯობესია თუჯის. როდესაც ერბო გაცხელდება, გახეხილ კარტოფილს წყალს გადაავლებენ, ამონურავენ და ერბოში ჩაყრიან. კარტოფილი კარგად

Meat and shibu, cottage cheese / shibu, potatoes and meat can be used as the ketseuli filling. Ketseuli is also dipped in erbo and enjoyed that way. In the past, innards and blood was used as filling as well, however, almost no one bakes them these days.

Kuserbo (Turtle Boiled Butter)

This dish with the most intriguing name resembles Pshavi khacho-erbo. A big wheel of cheese was called kus in the Khevsurian dialect. This explains the name of dish: cheese in erbo.

First, the potatoes are grated on a large grater and soaked in water for a while to remove any excess starch. Erbo is simmered in deep and thick pan, preferably cast iron. When the erbo is heated, the grated potatoes are rinsed in water, drained and thrown into the erbo. The potatoes should get well roasted. Unsalted fresh cheese grated on a large grater is added to the potatoes. When the cheese is completely melted, it is mixed well, until you get an almost homogeneous mass. Kuserbo is ready. To feel this whole bouquet of flavors in this nutritious dish, you should definitely add the sauce that Khevsurs prepare as follows:

Plain yogurt, cottage cheese and green onions are placed together in a bowl, with a pinch of salt and depending on the season, shibu. All the ingredients are mixed together. This sauce goes well not only with kuserbo, but also fried potatoes. It is very flavorful and according to the Khevsurs, it also helps the body with digestion.



უნდა დაიბრუნოს. მობრანულ კარტოფილს, ასევე მსხვილ სახეხზე გახეხილ უმარილო ახალ ყველს დააყრიან. როდესაც ყველი ბოლომდე გადნება, კარგად ამოურევენ, თითქმის ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. კუსერბოც მზად არის. ამ ნოყიერ კერძს, გემოების მთელი მრავალფეროვნება რომ შეიგრძნოთ, აუცილებლად უნდა მიაყოლოთ სოუსი, რომელსაც ხევსურები ასე ამზადებენ:

მანონს, ხაჭოსა და მწვანე ხახვს ჭურჭელში ერთად მოათავსებენ, დაუმატებენ ცოტა მარილს, სეზონის მიხედვით, ცოცხალ შიბუს დაკარგად აურევენ. ეს სოუსი უხდება არამხოლოდ კუსერბოს, არამედ შემწვარ კარტოფილსაც. იგი ძალიან არომატულია და როგორც ხევსურები ამბობენ, საკვების გადამუშავებაშიც ეხმარება ორგანიზმს.



როგორ მოვხვდეთ ხევსურეთში

How to Get to Khevsureti

მანძილი თბილისიდან შატილამდე მაღაროსკარის გავლით 150 კილომეტრია. გზის დიდი ნაწილი კეთილმოწყობილია. მეორე ნაწილი კი გრუნტის გზაა.

მიკროავტობუსი თბილისიდან შატილის მიმართულებით მოძრაობს კვირაში 2 დღე. ბარისახოში კვირაში 3 დღე, ხოლო მაღაროსკარსა და ჩარგალში ყოველდღე. მისამართი: თბილისი, ავტოსადგური „დიდუბე“ მ. დიდუბის მიმდებარე ტერიტორია, კარალეთის ქუჩა 4.

გზა ხევსურეთისკენ ჟინვალის წყალსაცავის გვერდის ავლით იწყება. სამანქანე გზა ფშავის არაგვის ვიწრო ხეობას მიუყვება. ეს ერთადერთი დამაკავშირებელი გზაა ხევსურეთისა დანარჩენ სამყაროსთან.

მალე გზა ორწყალთან მიგვიყვანს. ეს მიდამოები პირაქეთი ხევსურეთის კარიბჭეს წარმოადგენს. ამ ადგილას ხევსურეთის არაგვი უკანა ფშავის არაგვს უერთდება და ქვემო მდინარეებაში ფშავის არაგვს ქმნის. თუკი ქართულ ეპოსს გავიხსენებთ, ეს ის ადგილებია, სადაც გმირი კოპალა დევებს ებრძოდა და თუ გარემოს დაააკვირდებით, ამ ბრძოლის ნაკვალევს აქ დღესაც შეამჩნევთ. მდინარის კალაპოტში რამდენიმე უზარმაზარი ზომის ლოდს დაინახავთ. ანდრეზების მიხედვით, ეს სწორედ ის ლოდებია, რითაც კოპალა და დევები ერთმანეთს ებრძოდნენ. „ამბავ რომ დაძველდების, ანდრეზ იქნები“, – ამბობენ ხევსურეთში. ანუ, წარსულში მომხდარი მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ამბავი გარკვეული დროის შემდეგ ანდრეზად, ზღაპრად, ლეგენდად იქცევა და ხდება მოვლენის ან პიროვნების არქეტიპი. ფშავსა და ხევსურეთში უამრავ ანდრეზს მოიხმენთ გმირ კოპალზე, იახსარსა და პირქუშზე.

სერგი მაკალათია, ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი და მკვლევარი, თავის წიგნში, „ხევსურეთი“, წერს: „ხევსურები მხოლოდ პირაქეთა ნაწილს უწოდებენ ხევსურეთს, პირიქითელები კი შატილიონებად და არხოტიონებად (არხვატიონი) იწოდებიან“. ბარისახოშია მთავარი სასაზღვრო პუნქტი და ამბულატორია. ბარისახოდან 5 კილომეტრში პატარა სოფელი კორშაა. ეს ბოლო დასახლებული პუნქტია შატილამდე, სადაც მაღაზიაა, ამიტომ წყლისა და გზად წასაღები სასუსნავის მარაგის შევსების ბოლო შანსი აქ არის.

The distance from Tbilisi to Shatili via Magaroskari is 150 kilometers. Much of the road is well maintained. The second part is a dirt road.

A minibus runs from Tbilisi to Shatili twice a week, 3 days a week to Barisakho, and daily to Magaroskari and Chargali. Address: Tbilisi, bus station "Didube", Adjacent to subway station Didube, Karaleti Street 4.

The road to Khevsureti begins bypassing Zhinvali Reservoir. The road follows the narrow Aragvi gorge of Pshavi Aragvi. This is the only road that connects Khevsureti to the rest of the world.

The road soon leads to Ortskali. These areas are the gateway to Piraketi Khevsureti. Here Khevsureti Aragvi joins the rear Pshavi Aragvi and forms Pshavi Aragvi in the lower reaches. If we recall the Georgian folklore, these are the places where the hero Kopala fought the devils and if you carefully observe the environment, you may notice the traces of this battle in the gorge even today. You will see several huge boulders in the riverbed. According to fables, these are the very boulders with which Kopala and devils fought each other. "When the story gets old, it turns into a fable," they say in Khevsureti. That is, a story containing important information from the past eventually becomes a fable, a fairy tale, a legend, and becomes the archetype of an event or a person. In Pshavi and Khevsureti you will hear a lot of fables about the heroes Kopala and Iakhsari, Ber Baadur and Pirkush.

Sergi Makalatia, a well-known Georgian ethnographer and researcher, writes in his book Khevsureti: "Khevsurs only refer to Piraketa part as Khevsureti, Piraketa locals are called Shatilions and Arkhotians".

A small village Korsha is located 5 km from Barisakho. This is the last settlement up to Shatili with a shop, hence the last chance to replenish the supply of water and snacks on the way.

რა ვნახოთ ხევისურეთში Must See in Khevsureti

სოფელ კორშის ეთნოგრაფიული მუზეუმი

სოფელ **კორშაში** 1983 წელს დაარსებული პატარა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც უბრალოდ „კოშკს“ ეძახიან. აქ დაცულია ხევისურული ყოფის ამსახველი მე-18-19 საუკუნეების ეთნოგრაფიული მასალა: ქალისა და მამაკაცის ხევისურული სამოსი, სამეურნეო და საბრძოლო იარაღი, ავეჯი, სპილენძის ჭურჭელი, ასევე საინტერესო ფოტომასალა. აქვეა გამოფენილი მუზეუმის დამფუძნებლის, შოთა არაბულის ფერწერული ნამუშევრები. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ხევისური დასტაქრების იარაღებია, აქ ნახავთ ლეგენდარული ხევისური დასტაქრის, მგელიკა ლიქოკელის ფოტოს, რომელიც სამკურნალო საქმიანობას 1870-1930 წლებში ეწეოდა.

„97 წლის მოხუცი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანითა და ღონით სავსე. ჭრილობის შეხვევისას იგი მუშაობდა, როგორც კარგად ნაწვართი ხელოვანი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა. საითგან? ვეკითხებოდი ჩემ თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევისურები დანაშთია რომელიმე კულტუროსანი ხალხისა, აქ ნათლივ მტკიცდებოდა. სხვა ახსნა შეუძლებელი იყო. თვალს ვერ ვაცილებდი ამ ჯადოსანს, რომელიც იდგა ჩემ წინ, ვითარ ლანდი პრეისტორიული ხანიდან. მას ჰქონდა ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალათ“, – წერს გრიგოლ რობაქიძე რომანში „ენგადი“.

მგელიკა ფოლადისა და ძვლისგან კუსტარულად, საკუთარი ხელით ამზადებდა საოპერაციო იარაღებს და მათი გამოყენებით მუშაობდა. იგი თავის ქალას ტრეპანაციას ანესთეზიის გარეშე აკეთებდა, 3-4 საათში ამთავრებდა და ნაოპერაციები მხედარი ცხენდაცხენ ბრუნდებოდა სახლში.

ამ სასწაულმოქმედი მკურნალის შესახებ ჩანაწერები ქართული მედიცინის ისტორიის სახელმწიფო

Ethnographic Museum in the Korsha Village

A small ethnographic museum is located in the village of Korsha. Founded in 1983, it is simply called the "tower". The ethnographic material of the 18th-19th centuries depicting Khevsurian life is preserved here: Khevsurian clothing for men and women, agricultural tools and military weapons, furniture, copper utensils, as well as interesting photographs. The paintings of the museum's founder, Shota Arabuli, are exhibited here. Khevsurian medical tools are the most impressive among the exhibited items. Here you will find a photo of Mgelika Likokeli, a Khevsurian healer doctor, who treated people in 1870-1930.

"He was 97 years old, yet still full of strength and vitality. He worked with wounds as a well-crafted artist. My surprise knew no bounds when I learned that he was familiar with every fold of the brain. How? I asked myself. My belief that the Khevsurs are decedents of some cultured people solidified. No other explanation was possible. I could not take my eyes off this magician standing in front of me like a ghost from prehistoric times. He had knowledge that could not be erased by centuries." Wrote Grigol Robakidze in his mystical novel "Engadi".

Mgelika prepared surgical instruments with his own hands, using steel and bone. He then operated with these tools. It is said that he did trepanation of the brain without anesthesia, finishing it in 3-4 hours, and the patients returned home on horseback.

Records about this unbelievable healer are also kept in the State Museum of the History of Georgian Medicine. Polish writer Helena Bobinska wrote about him: "He operated on a woman with bone tuberculosis in the chest, cut out 7 ribs and she is completely healthy; he also heals a lot of bullet wounds in the abdomen and chest. Do you

მუზეუმშია დაცული. მის შესახებ წერს პოლონელი მწერალი ჰელენა ბობინსკა: „მას ოპერაცია გაუკეთებია მკერდის არეში ძვლის ტუბერკულოზით დაავადებული ქალისთვის, 7 ნეკნი ამოუჭრია და ის სრულიად ჯანმრთელია, აგრეთვე მუცლისა და გულ-მკერდის არეში ტყვიით დაჭრილი ბევრი განუკურნავს, ახლა ამ მოხუცი ექიმის ქირურგიულ იარაღებს აღარ იკითხავ? ღმერთმანი, როცა მისი უბრალო ჩაქურები, მახათები, დანები ვნახე, მეწაღედ უფრო ვინამე, ვინემ ექიმად. მგელიკას თურმე არასოდეს უსწავლია. სახელგანთქმულ მამამისს ეხმარებოდა ექიმობაში და შემდეგ თვითონაც ექიმობა ირჩია“.

სოფელი როშკა

თუკი დროც გაქვთ და ჯანაც გერჩით, გირჩევთ თავი აარიდოთ გზის სამანქანო მონაკვეთს და პატარა, თითქმის უცნობი ხუთკილომეტრიანი ბილიკით ისარგებლოთ, რომელიც ასევე როშკაში მიგიყვანთ. ბილიკი იქვე, გზის ასახვევის სიახლოვეს მდებარე ხიდთან იწყება და ნელ-ნელა შეუყვება აღმართს. მარშრუტი მარკირებულია და თავდაპირველად ფოთლოვან ტყეში მიდის, შემდეგ ნელ-ნელა გაივსება დაკარგ ამინდში, მარცხენა მხარეს, ჭიუხის მასივზე თვალწარმოადგენი ხედი იშლება.

ამბობენ, ჭიუხსაც ხევსური კაცის ხასიათი აქვსო: თუ მიგიღო და შენიანად გიგულა, ისეთ ამბებს მოგიყვება და ისეთ საიდუმლოებებს გაჩვენებს, ჯერ რომ არ გინახავს და არ გაგიგონია. თუკი პირველყოფილ ველურ ბუნებას, ხელშეუხებელ სილამაზეს ეძებთ, ჭიუხს უნდა მიაკითხოთ და როგორც წყალში, თვალდახუჭული, თავით გადაეშვათ ფერად თავგადასავალში. როშკა მოგზაურისთვის რომანტიკაა, თუმცა იქ მცხოვრები ადამიანები სხვა რეალობის წინაშე დგანან, განსაკუთრებით – ზამთარში, როცა სოფელი მოსახლეობისგან იცლება და მხოლოდ მოზამთრეები რჩებიან.

როცა ჭიუხს პირველად ჩამოათოვს, სოფლის მცხოვრებნი ბარში წასასვლელად ემზადებიან: ნელა, ზოზინით იკრიფებიან და ფეხს ითრევენ, თითქოს უნდათ რაღაც ისეთი მოხდეს, რის გამოც, გამოსაზამთრებლად ბარისახოში ჩასვლა აღარ დასჭირდებათ.

თუ ზაფხულის როშკაში გატარებას გადანყვეტთ, ინტერნეტი არაფერში გჭირდებათ. ალბათ მხოლოდ ფოტოების ასატვირთად. აბა, როგორ უნდა გაძლოთ ისე, რომ ამ საოცარი სილამაზითა და დიდებული გემოებით მიღებული შთაბეჭდილებები სხვებს არ გაუზიაროთ?!

know about the surgical instruments of this old doctor? God, when I saw his simple hammers, machetes, knives, I believed him to be a shoemaker, rather than in a doctor. Mgelika has never studied formally. He helped his father, famous for medicine and then he chose medicine himself."

The Roshka Village

If you have time and energy, I advise you to avoid the car road and use the small, almost unknown five-kilometer trail that will take you straight to the village. The trail starts nearby, by the bridge, near the turn of the road, and slowly follows the ascent. The route is marked and first passes through the deciduous forest, then slowly flattens out. A spectacular view unfolds to the left on a good weather, to the north-west of the Chaukhi range.

They say that Chaukhi is like a Khevsurian man – if it accepts you as one of its own, it will tell you amazing stories and reveal wonderful secrets, yet unseen and untold. If you are looking for a virgin wildlife, untouched beauty, you should visit Chaukhi and follow it blindly, like underwater, headed towards a colorful adventure. Roshka seems romantic for the mere traveler, but the locals living there face a different reality, especially in winter, when the village is deserted and only the winter-dwellers remain.

With the first Chaukhi snow, the locals are getting ready to descend to the valley villages. They leave slowly, sluggishly. They drag their feet, as if they are waiting for something to happen, so they will no longer have to go to Barisakho for the winter.

If you decide to spend the summer in Roshka, you have no need for the Internet, perhaps just to upload photos. It is almost impossible to refrain from sharing this beauty and glorious flavors with others.

Arkhoti

You can travel to the Arkhoti gorge from the Roshka village via the Sadzele pass. The gorge is completely sheltered from the outside world, and it first came in contact with the rest of Georgia in 1917. Until 1994, the locals used the Ingushetia Highway. Since then, it is only possible to get here on foot, via a 28 km trail, on a horseback or a

არხოტი

სოფელ როშკიდან, საძელეს უღელტეხილის გავლით, არხოტის ხეობაში გადასვლაა შესაძლებელი. გარესამყაროს მოწყვეტილი ხეობა დანარჩენ საქართველოს სამანქანე გზით პირველად 2017 წელს დაუკავშირდა. 1994 წლამდე არხოტიონები ინგუშეთიდან შემავალი საავტომობილო გზით სარგებლობდნენ. მერე კი, აქ მოხვედრა მხოლოდ ფეხით, 28კმ-იანი ბილიკის გავლით იყო შესაძლებელი, ასევე, ცხენით ან სასაზღვროს ვერტმფრენით. არხოტში პირველი თოვლის მერე გზა იკეტება და თითქმის 7 თვით ხეობაში სიჩუმე ისადგურებს. მხოლოდ აქა-იქ სახლებიდან ამომავალი კვამლი იტყობინება სიცოცხლის ნიშან-წყალს და სიჩუმესაც თოვლზე ნაბიჯების ჭრიალის ხმა თუ დაარღვევს. თუკი არხვატს (როგორც ადგილობრივები ეძახიან) გადასვლას დააპირებთ, გირჩევთ წინასწარ გაარკვიოთ გზის მდგომარეობა. არხოტის ხეობა სამი სოფლისგან შედგება: ჭიმლა, ახიელი და აშლა. აქაური მუდმივი მოსახლეობა 2021 წლისთვის 10 ადამიანს არ აღემატებოდა, თუმცა, მოგზაურებს ღამისთევისა და მასპინძლობის პრობლემა ნამდვილად არ შეგექმნებათ. რადგან, სოფელ ახიელში -ნაროზაულების ოჯახში უკვე ფუნქციონირებს საოჯახო სასტუმრო „არხოტი“ და არსებობს ბევრი საკემპინგე ადგილი, რაც საშუალებას მოგცემთ დაისვენოთ ამ თვალწარმატებელ ხეობაში.

არხოტის თემი ვიზიტორებისათვის საინტერესოა იმიტომაც, რომ სწორედ ამ ხეობიდან იყო სახელგანთქმული ხოგაის მინდია ...მისი ნასახლარი მდებარეობს სოფელ აშლის დასაწყისში. თუმცა, იგი რელიგიური თავყანისცემის ადგილია და ახლოს მისვლა მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ. ბუნების ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფელ ჭიმლის პირდაპირ გადაჭიმული ულამაზესი ჭიუხის მასივი, რომელსაც ადგილობრივები „ჭიმლის კლდეებს“ უწოდებენ... არხოტში, როგორც უკვე გითხარით, ასევე აღსანიშნავია გულის ფორმის ულამაზესი ტბა, რომელსაც ტანის ტბა ჰქვია. ყოველ ზაფხულს მის მოსანახულებლად უამრავი მოგზაური ჩამოდის, განსაკუთრებულ ინტერესს კი შეყვარებული წყვილები იჩენენ.

სოფელი ბისო

ჯერ კიდევ 2014 წელს ამ სოფელში მუდმივად მხოლოდ 2 ადამიანი ცხოვრობდა. შალვა ქეთელაურის ოჯახი ახლა მხოლოდ ზაფხულობით ამოდის. შემოდგომის

border helicopter. After the first snow, the road is closed and valley is silenced for almost 7 months. Only here and there the smoke coming from the houses conveys a sign of life and the silence is broken by the crack of the steps on the snow. If you are planning to cross Arkhvati, as the locals call it, please be advised to find out the conditions of the road in advance. Arkhoti gorge consists of three villages: Chimgha, Akhieli and Amga. By 2021, the permanent population here will not exceed 10 people.

Biso Village

Back in 2014, only 2 people resided permanently in this village. Shalva Ketelaure's family comes up only in summer. At the end of the fall, they go back to Gamrjveba village. Their bees also travel with the Ketelaure family. They spend all summer in the mountains and collect honey from alpine flowers. Any traveler to Biso can buy this honey. Shalva Ketelaure is a flag bearer and currently acts as an elder. In 2019, the "Jvarion" of the Khakhmati Cross toured those villages in Tusheti where the niches of the Khakhmati Cross - St. George - Rjuliani and Urjulo-ta shrines are preserved. During the trip, the traditional religious relations, which had ended 70 years ago, were restored between two neighboring regions- Tusheti and Khevsureti. Shalva Ketelaure carried the flag in front of "Khevsurt Moes". The dwellings in the village of Biso have been granted the status of cultural heritage.

Kistaani Battle Castle

Follow the left slope of the valley, where a steep path leads uphill and eventually stops at the lower castle. You will see battle towers, called Kavi fortress in Khevsurian. About 40 households used to live here. Nowadays a lone shepherd may rest in what used to be a village. There are still a few battle towers with small balconies and flat-roofed quarters intact. A keen eye will notice the famous Khevsurian pictograms. "Scripts" or hidden signs in the mountains of eastern Georgia still remain a mystery to science. Some of them are related to the celestial bodies - the planets, the sun, the moon, the earth. Some of them depict people, some godsend heroes, some - main god and various deities. These hidden signs envelop Khevsurs lost in the folds of the mountains and their way of life in an even deeper and more mystical veil. The road from Kistaani leads to Arghun gorge, to Pirikita Khevsureti, to Shatili.

მიწურულს კი ისევ უკან, გამარჯვებაში ბრუნდება. ქეთელაურების ოჯახთან ერთად მათი ფუტკარიც მოგზაურობს. მთელს ზაფხულს მთაში ატარებენ და ალპური ყვავილების თაფლს აგროვებენ. ამ თაფლის ყიდვა, ბისოში ნებისმიერ მგზავრს შეუძლია. შალვა ქეთელაური მედროშა და ამჟამად ხუცესის მოვალეობას ასრულებს. 2019 წელს, ხახმატის ჯვრის „ჯვარიონმა“ მოიარა თუშეთის იმ სოფლების ნაწილი, სადაც შემორჩენილია ხახმატის ჯვრის - წმ. „გიორგი-ნალვარმშვენიერის“ - რჯულიანთა და ურჯულოთა სალოცავის ნიშები. ამ მოგზაურობით აღდგა 70 წლის წინ შეწყვეტილი ტრადიციული რელიგიური ურთიერთობა ორ მეზობელ კუთხეს - თუშეთსა და ხევსურეთს შორის. „ხევსურთ მოეს“ წინ სწორედ შალვა ქეთელაური მოუძღოდა დროშით. სოფელ ბისოს ბანიან ციხე-სახლებს, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მინიჭებული.

კისტანის საბრძოლო ციხეები. აქ მოსახვედრად, ხეობის მარცხენა ფერდობს უნდა შეუყვით. ციცაბო ბილიკი აღმართს შეუყვება და საბოლოოდ ქვედა ციხესთან ჩერდება. ამ საბრძოლო კოშკებს ხევსურულად ქავის ციხეს ეძახიან. ადრე აქ 40-მდე კომლი ცხოვრობდა. ახლა კი, მარტოკაცი მწყემსი თუ ჩამოკდება ნასოფლარის სიახლოვეს. ჯერ კიდევ შემორჩენილია რამდენიმე საბრძოლო კოშკი, აივნის მსგავსი პატარა სალოდევითა და ბანიანი საცხოვრებლებით. მახვილი თვალი კი ცნობილ ხევსურულ პიქტოგრამებსაც შეამჩნევს. „სკრიპტები“ ანუ ფარული ნიშნები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ჯერ კიდევ გამოცანად რჩება მეცნიერებისთვის. მათი ნაწილი ზეციურ სხეულებს - პლანეტებს უკავშირდება: მზეს, მთვარეს, დედამიწას. ნაწილი კი ადამიანებს, ხთისშვილებს, მორიგე ღმერთს და სხვადასხვა ღვთაებებს. ეს ფარული ნიშნები კიდევ უფრო ღრმა და მისტიკურ საბურველში ჰხვევს მთებში ჩაკარგულ ხევსურებსა და მათ ყოფა-ცხოვრებას. კისტანიდან გზა არღუნის ხეობას მიუყვება, პირიქითა ხევსურეთის სიღრმისკენ და შატილში ჩადის.

შატილი

ზღვის დონიდან 1400 მეტრზე, კლდეზე შეფენილი, გვიანი შუა საუკუნეების სოფელი, ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც. მიჯრით ნაგები ციხე-სახლების რიგი ისეა აშენებული, რომ მათი ერთობლიობა ერთიან, მიუვალ თავდაცვით ნაგებობას ქმნის. ასე საიმედოდ იკეტებოდა მთელი დასახლება. შენობათა ძირითადი ტიპი ბრტყელ-

Shatili

Located at 1400 meters above sea level, a late medieval village perched on a rock served both as a dwelling and a fortress. The row of castles is built in such a way that their combination forms a single, inaccessible defensive wall. The whole settlement was securely enclosed. The main type of buildings are flat-roofed, called “baniani” housing. Towers were used for inhabitation.

Khevsurs call these towers "whitewashed". Shatili has a unique system consisting of the inner pathways. All of the castle towers are interconnected, making it possible to move around the complex without leaving building. Shatili consists of three parts: Old, New and Chala. New Shatili is a combination of several cottages located at the entrance of the village, where locals arrive during the summer season and host tourists. A permanent settlement is located on top of the towers. The population of Shatili consists of a total of 12 people, although the village also has its own school and a small hospital.

Mitkhuli gorge trail is a medium difficulty route. It starts from the hydroelectric station in Shatili and follows to the river Shatilistskali, then turns sharply to the west and goes to the Chechnya border, where the river Mitkhuli originates. The trail is pedestrian and mostly uphill, so you need good physical training. The total length of the route is 16 kilometers, and the end point is 2400 meters above sea level.

Kachu Castle is located directly on the top of the rock, opposite to the Shatili complex. It used to be an old settlement of Shatilians, before they descended near the river. It is a complex of 4 castle houses, which are connected by narrow passages. The distance from Shatili to the castle is 1.5 kilometers. I do not recommend climbing its walls, as the monument is of late Middle Ages, it was abandoned a long time ago and the walls may collapse. However, the ideal place to capture the best view of Shatili is the foothills of Kachu castle. It is especially impressive in late autumn, when the mixed forest changes colors and shines – right before going into a long hibernation.

Anatori and Mutso crypts are very important in terms of their function and story.

სახურავიანი, ანუ ბანიანი სახლი და კოშკური საცხოვრებელია.

ამ კოშკებს ხევსურები „ქვითკირებს“ ეძახიან. შათილის უნიკალურობას ციხე-კოშკების შიდა გასასვლელებისგან შედგენილი და ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემა ქმნის. ციხიდან გასვლის გარეშე შესაძლებელი იყო მთელი ნაგებობის, ყველა კოშკის შემოვლა. შათილი სამი უბნისგან შედგება: ძველი, ახალი და ჭალა. ახალი შათილი სოფლის შესასვლელში მდებარე რამდენიმე კოტეჯის ერთობლიობაა, სადაც ადგილობრივები მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიან და ტურისტებს მასპინძლობენ. კოშკების თავზე და ჭალაში კი მუდმივი მაცხოვრებლების დასახლებაა. შათილის მოსახლეობა სულ 12 ადამიანისგან შედგება, თუმცა, სოფელს თავისი სკოლაც აქვს და მცირე ამბულატორიაც.

მითხულის ხეობის ბილიკი საშუალო სირთულის მარშრუტია. იწყება შათილში მდებარე ჰესიდან და მიუყვება მდინარე შათილისწყალს, შემდეგ კი მკვეთრად უხვევს დასავლეთისკენ და მიემართება ჩეჩნეთის საზღვრისაკენ, სადაც მდინარე მითხულის სათავეა. ბილიკი საცალფეხოა და უმეტესად აღმართი, ამიტომ კარგი ფიზიკური მომზადება გჭირდებათ. მარშრუტის ჯამური სიგრძე 16 კილომეტრია, ბოლო წერტილი კი 2400 მეტრი ზღვის დონიდან.

ქაჩუს ციხე შათილის კომპლექსის პირდაპირ, კლდის წვერზეა შეფენილი. ეს იყო შათილიონების ძველი დასახლება, სანამ ქვემოთ, მდინარესთან ახლოს ჩამოვიდოდნენ. იგი 4 ციხე-სახლისგან შემდგარი კომპლექსია, რომელიც ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელებითაა დაკავშირებული. მანძილი შათილიდან ციხემდე 1.5 კილომეტრია. ნაგებობების უშუალო დათვალიერებასა და მითუმეტეს კედლებზე აძრომას არ გირჩევთ, რადგან ძველი გვიან შუასაუკუნეებს განეკუთვნება, დიდი ხნის წინაა მიტოვებული და კედლების ჩამოშლის საფრთხე რეალურია. თუმცა, შათილის საუკეთესო ხედის გადასაღებად ქაჩუს მისადგომები იდეალური ადგილია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იქაურობა გვიან შემოდგომაზეა, როცა შერეული ტყე ფერებს იცვლის და კაშკაშებს - სანამ ზამთრის გრძელ ძილს მიეცემა.

ფუნქციითა და შინაარსით ძალიან მნიშვნელოვანია ანატორისა და მუცოს აკლდამები.



The ghost town Anatori is located 4 kilometers from Shatili. It is located right by the car road, on the banks of the river Arghuni. It is said that a deadly epidemic took place, Black Death, called "Zhamianoba" in Khevsurian. During the epidemic, the sick left their villages, since, on the one hand, there were too many bodies to be buried, on the other hand - to avoid contagion. Hence, they built accessible tombs. To prevent epidemic spreading from one village to another, Anatori village posted gatekeepers. If anyone were to leave, or enter, the gatekeepers would inevitably have to shoot. The Anatorians are still proud that not a single rifle was fired during the quarantine, indicating that no one tried to escape from the village. When they learned about their illness, people would take panduri (a string musical instrument), provisions, and vodka and greet death with a song. Only one child was selected and sent to Tusheti to preserve the family name. This child never forgot this story and claimed to be from a place where the sun rises twice. If you observe the sun in Anatori, from where the shrine stands, the sun moves over one mountain and rises again from the other mountain for the second time. This creates the optical illusion of a double sunrise.

გუდამაყრელებს, როგორც კარგ ხელოსნებს, ვახუშტი ბატონიშვილიც ახასიათებს. მათ უკეთებით აგრეთვე მშვილდ-ისრები: „და არს გუდამაყრის დღეობა მაგარი, მოსავლით ვითარცა სხუა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ხელოსანნი, მშვილდთმოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჭიხვისა, თხისაგან და ხართაგან“

აგრეთვე, ცნობილია „ჩაბალახი გუდამაყრული“. „ჩაბალახი“ იგივე მუზარადია. დადასტურებულია, რომ გუდამაყრული მუზარადი, შუა საუკუნეების საქართველოში ძალიან ფასობდა.

მეურნეობა

საქართველოს ბარში და მთისწინეთში ჩამოყალიბდა მესაქონლეობის მთაბარული ანუ ალპური სისტემა. მსხვილფეხა საქონელი ზაფხულობით მთაში, დანარჩენ დროს კი ბარში ატარებს. ბარისაგან განსხვავებით, სადაც პრიორიტეტს მიწათმოქმედება იწარჩუნებს და მესაქონლეობა მიწათმოქმედების ხელშემწყობ დარგს წარმოადგენს (გამწვევი ძალით უზრუყველყოფა), მთიანი მხარეების ეკონომიკაში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მესაქონლეობის ბაზაზე შეიქმნა სარძევე მეურნეობის მაღალგანვითარებული კულტურა, რასაც მოწმობს ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქცია, როგორიცაა თუშური ყველი, სულგუნი (მეგრული, სვანური და აფხაზური ვარიაციებით), იმერული ყველი და ა.შ.

როგორც მთიანეთის ყველა მხარეში, მთიულეთშიც განვითარებული იყო როგორც მესაქონლეობა, ისე მეცხვარეობა. მესაქონლეობა აქ ძირითადად სამეურნეო ბაზის პარალელური საზაფხულო და საზამთრო ბაზების არსებობას ეფუძნებოდა. მესაქონლეობის ეს ფორმა მთიულეთში აღინიშნებოდა ტერმინით „ორხელობა“. თავისთავად ცხადია, აქ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ. სახვნელი მიწა კერძო საკუთრებაში იყო. მთიულეთში ტყე სასოფლო საკუთრებას წარმოადგენდა. მაგრამ, კომლს ახოს ალება საშუალებას აძლევდა მიწის ეს ნაკვეთი მის საკუთრებაში გადასულიყო. ახოს ალება კი განპირობებული იყო იმით, რომ მიწის სიმცირისა და სიმწირის გამო, მოსავალს საკმარისი რაოდენობით ვერ იღებდნენ. არსებობდა სასოფლო და სათემო მიწის მფლობელობაც. პურელს ბარში ყიდულობდნენ. მთიულეთში, ხადას ხეობაში, დადასტურებულია ე. წ. უკედლო ტერასებიც, რომლებსაც ლარს უწოდებდნენ. ისინი საფეხურების სახით განლაგებულია ხეობის ძნელად

Agriculture

A mountain-valley or alpine system of cattle herding was established in the lowlands and foothills of Georgia. Cattle spend the summer in the mountains and the rest of the time in the valley. In contrast to the lowlands, where farming is a priority and cattle breeding is an auxiliary sector of agriculture (providing moving power), cattle breeding occupies a leading position in the highlands economics. A highly developed dairy culture has been created on the basis of cattle raising, which is evidenced by such high-quality products as Tushi cheese, Sulguni (with Megrelian, Svan and Abkhazian variations), Imeretian cheese, etc.

As in all parts of Mtianeti, both cattle breeding and sheep breeding were developed in Mtiuleti. Livestock here was mainly based on the existence of summer and winter bases, simultaneous to the main agricultural base. This form of cattle breeding was dubbed in Mtiuleti as "double handedness". Obviously, farming was also practiced here. The arable land was privately owned. Forests in Mtiuleti were agricultural property. However, family could own patch of forest cleared for ploughing. This was determined by the scarcity of land, which led to insufficient quantities of harvested crop. There were agricultural and community lands as well. Bread was bought in the valley.

The so-called terraces with no walls were found in Mtiuleti, in Khada gorge. There were called lari. They are located in the form of stairs on the hard-to-reach slopes of the valley. They used to have arable land on laris in Khada.

There was a tradition of helping disadvantaged people in Mtiuleti. Here they mainly helped impoverished shepherds; the tradition was called "Ochkhari". At the time of Ochkhari, such a shepherd would invite his relatives and villagers to dinner (there were occasions when Ochkhari was held in another village as well). After the feast, mainly on the next day, the shepherd was provided with a sheep. Bread Ochkhari were held as well. A relatively well-to-do men would deliver eight to ten kilograms of grain, while a wealthy person would donate even more. One to three haystacks were donated during the hay Ochkhari. The kinship factor was of great importance in Ochkhari, the close-knit paternal families would bring more for the Ochkhari. Thus, Ochkhari was a non-working aid, which was spread not only in Mtiuleti, but also in Gudamakari.

მისადგომ ფერდობებზე. ხადაში ადრე ლარებზე ყანები ჰქონიათ. მთიულეთში დაზარალებული და გადარბიებული ადამიანების დახმარების ტრადიცია არსებობდა. აქ ძირითადად დაზარალებულ მეცხვარეს ეხმარებოდნენ, რასაც „ოჩხარი“ ეწოდებოდა. ოჩხარის დროს ასეთი მეცხვარე სადილზე იწვევდა ნათესავებს, თანასოფლელებს (იყო შემთხვევები ოჩხარის სხვა სოფელში გამართვისაც), რის შემდეგაც (უფრო მეორე დღეს) ასაჩუქრებდნენ ცხვრით. სცოდნიათ პურის ოჩხარიც. პურის ოჩხარის დროს,

საშუალო შეძლების კაცი რვა-ათ კილოგრამ მარცვალს მიუტანდა, შეძლებულს შეიძლება ერთი კოდიც ეჩუქებინა. თივის ოჩხარის დროს ერთიდან სამ ძირამდე თივას აძლევდნენ. ოჩხარში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნათესაურ ფაქტორს, ახლოს მდგომ მამიშვილობებს უფრო მეტი მიჰქონდათ ოჩხარის მომწყობისათვის. ასე რომ, ოჩხარი იყო არაშრომითი დახმარება, რომელიც გარდა მთიულეთისა, გუდამაყარშიც იყო გავრცელებული.

ადგილობრივი საცხოვრისი Local Dwellings

მთიულეთსა და გუდამაყარში გავრცელებული იყო საცხოვრებელი სახლის ტიპი, რომელსაც „მთიულურ ქვითკირს“ უწოდებენ. გარდა საცხოვრისისა, ის თავდაცვით ნაგებობასაც წარმოადგენდა და ადგილობრივ რელიეფსა და საყოფაცხოვრებო პირობებს იყო მორგებული.

სახლი რთულად მისადგომ ადგილას იყო აგებული, რაც თავდაცვითი ნაგებობისთვის დამახასიათებელია. პირველ სართულზე საქონლის სადგომი იყო, მეორეზე საჯალაბო, ანუ ოჯახის საცხოვრებელი, მესამეზე კი კალო. აქ ხდებოდა მარცვლეულის შენახვა საზამთროდ. როგორც წესი, ქვითკირები საკმაოდ ფართო იყო, რადგან ხშირად ოჯახში სულადობა ოც-ოცდაათს აღემატებოდა.

სოფლები სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს იყო განლაგებული ძირითადად, რაც ბუნებრივი განათებისა და სითბოს წყაროც იყო. რამდენიმე სოფელი ერთი ტერიტორიის გარშემო, ძირითადად ყანებისა და სათიბ-საძოვრების გარშემო იყო გაერთიანებული.

A type of residential house called "Mtiuluri Kvitkiri (mortar stone)" was widespread in Mtiuleti and Gudamakhari. In addition to housing, it was also a defensive structure and was adapted to local terrain and living conditions.

The house was built in a hard access place, which is typical for a defensive structure. The cattle shed was located on the first floor, sajalabo – the family residence was located on the second floor, while grainery was placed on the third floor. The grain was stored for the winter. This mortar stone dwellings were quite wide, as often the number of siblings in the family exceeded twenty or thirty.

The villages were mainly located on the south and south-east sides, providing a source of natural light and heat. Several villages were united around one area, mainly around fields and pastures.



სოფელი გამსი.

სამზარეულო Cuisine

ხინკალი გუდამაყრული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს მთელს აღმოსავლეთ მთიანეთში, ყველგან ამზადებენ ხინკალს, თუმცა ყოველ რეგიონსა თუ ხეობას, თავისი გამორჩეული რეცეპტი, ტრადიციები და გემოები აქვს.

გუდამაყარში ამბობენ, რომ ნამდვილ ხინკალს 28 ნაოჭი უნდა ჰქონდეს. თუმცა, ეს არ ვრცელდება სხვა შიგთავსიან ხინკლებზეც.

ხორციანი ხინკლის შემდეგ, ერთ-ერთი პოპულარული აქაც ყველის ან ხაჭოს ხინკალია. ზოგჯერ მას „თევზის“, ან „კურდღლის“ ფორმას აძლევენ და ბოლოს ყურებს აუცქვიტავენ. ამასაც და ნივრიან ხინკალს ერბოსთან ერთად მიირთმევენ.

ხამპალი ტრადიციული გუდამაყრული კერძია. მისი მომზადების წესი საკმაოდ მარტივია.

მჭადისა და ხორბლის ფქვილისგან, ცხელი წყლით მოზეღენ მაგარ და ელასტიურ ცომს. ხელით კარგად ამოაგუნდავენ პატარა ზომის ბურთებს, ოდნავ გააბრტყელებენ და მოხარშავენ.

ჭიჭიჭა ხინკლის ცომისგან მზადდება. გაბრტყელებულ ცომს კვადრატული ფორმის ნაჭრებად დაჭრიან და ორი თითის გამოსმით ლამაზ ფორმას მისცემენ. იხარშება მარილიან ადუღებულ წყალში. მიირთმევენ ერბოსთან ან ნივრიან მაწონთან ერთად.

ღოლოს შეჭამანდი პოპულარული წვნიანი კერძია. მცენარის ფოთლებს ზაფხულში აგროვებენ, წნავენ და ჩრდილში აშრობენ. ზამთარში, მოხმარების წინ წყალში დაალობობენ, კარგად გარეცხავენ, დაჭრიან და მოხარშავენ. როდესაც ბალახი მოიხარშება, უმატებენ წითელ ტყემალს, ან ტყემლის ტყლაპსა და ნიორს.

მეორე ვერსიით, მოხარშულ და დაჭრილ ღოლოს კარგად დანაყილ ნიგოზს უმატებენ, 1 კოვზ ხორბლის



ჭახრაკინა

Khinkali is an integral part of Gudamakhari cuisine. Khinkali is prepared everywhere in the eastern highlands of Georgia, but each region or gorge has its own unique recipe, traditions and tastes.

According to Gudamakhari tradition, real khinkali should have 28 wrinkles. However, this does not apply to non-meat, stuffed khinkali.

One of the most popular khinkalis, following the meat khinkali are cheese or cottage cheese khinkalis. Sometimes potato khinkali is given the shape of a "fish" or a "rabbit" and its ears are perched. Potato khinkali and garlic khinkali are eaten with erbo - boiled butter.

Khampali is a traditional gudamakhari dish. It has a simple preparation procedure:

a cool and elastic dough is kneaded by adding hot water to corn and wheat flour. Small balls are rolled by hand, slightly flattened and boiled.

Chivchiva is made from a khinkali dough. The flattened dough is cut into square pieces and given a beautiful shape. It is then boiled in salted boiled water and served with erbo, or plain yogurt with garlic.

ფქვილსა და ერბოსთან ერთად.

ლოლოს შეჭამანდი უებარ საშუალებად ითვლება გაციებისა და ხველის დროს.

შინდის შეჭამანდი

მოხარშულ და გახეხილ შინდს უმატებენ ერთ კოვზ ფქვილს, ერბოში მოდალულ ხახვსა და ცოტა ნიორს. მარილი გემოვნებით. ნახარშს ამატებენ სასურველი კონსისტენციის მიღებამდე.

გუდამაყარში, რელიეფისა და გარემო პირობებიდან გამომდინარე, ყოველთვის განვითარებული იყო მესაქონლეობა, მეცხვარეობა და მთის მინათმოქმედება. სწორედ ამიტომ, გუდამაყარულ სამზარეულოში დიდი დოზითაა წარმოდგენილი რძის პროდუქტები, ერბო-ყველი და კარტოფილი.

გუდამაყარული გულიანა ქადა

გუდამაყარული გულიანი ქადის ცომს ერბოთი ზელენ. ეს ცომს ნაზს და უფრო გემრიელს ხდის. გულსართისთვის ერბოს ცოტა რძეს დაამატებენ და დგამენ ცეცხლზე, ერბოს სრულ დადნობამდე. როდესაც ერბო დუღილს დაიწყებს, ნელ-ნელა ჩააყრიან ფქვილსა და მარილს. ქვაბს მუდმივად სჭირდება მორევა, სანამ მასა არ შეიკვრება და გამკვრივდება.

გაგრილებულ გულს ცომში ჩადებენ, მრგვალ ფორმას მისცემენ და ცხიმწანს მუღ ფორმაში გამოაცხობენ. ანალოგიურად მზადდება ტკბილი ქადაც, ოღონდ ამ შემთხვევაში, მარილის ნაცვლად შაქარი ემატება.

გუდამაყარული მხლოვანა

საფუარიანი ცომის გუნდისთვის გულსართს შემდეგნაირად ამზადებენ: კარგად გარეცხილ ნედლი ქარხლის ფოთლებსა და ქინძს კარგად დაკეპავენ და გახეხილ ჭყინტ ყველს გადაურევენ. აცხობენ მრგვალი ფორმისას.

ნაზუკი და ნიგვზიანი ქადები საალდგომო ტრადიციული ტკბილეულია.

ქადები გადახვეულია რულეტივით და მას ნალის ფორმას აძლევენ. გულსართად გატარებულ ნიგვზსა და შაქარს უდებენ, ან ერბოში მოხარშულ შაქარსა და ფქვილს. ზემოდან კი კვერცხის გულს გადაუსვამენ და ფურნეში აცხობენ.

Wild sorrel dish is a popular soup dish. The leaves of the plant are collected in summer, pressed and dried in the shade. Come winter, the leaves are soaked in water before consumption, washed well, cut and boiled. Red plums or plum pastilles and garlic are added to the cooked herbs.

In the second version, finely grinded walnuts, along with a tablespoon of wheat flour and erbo are added to the cooked wild sorrel.

Wild sorrel dish is considered to be a remedy for colds and coughs.

Cornelian Cherry Dish - one tablespoon of flour, onions fried in erbo and a little garlic is added to the boiled and grated cornelian cherry, salted to taste. The broth is added until the desired consistency is obtained.

Cattle breeding, sheep breeding and mountain farming has always been developed in Gudamakhar, due to the terrain and environmental conditions. Consequently, dairy products, erbo, cheese and potatoes are presented in large quantities in Gudamakhar cuisine.

Gudamakhar Guliana Kada

Gudamakhar guliana kada is made of dough mixed with erbo, which makes the dough softer and tastier. A little milk is added to erbo and placed in the pot over the fire until the erbo is completely melted. This forms the filling of kada. When the erbo starts to boil, flour and salt is slowly added. The pot requires constant mixing, until the mass gets compact and solidified.

The cooled filling is placed in the dough. This cake gets a round shape and baked in a greased pan. Sweet kada cakes are made in the same way, with sugar substituting salt.

Gudamakhar Mkhlovana

The filling for the yeast dough is prepared as follows: well-washed raw beet leaves and coriander are minced and mixed with grated soft cheese. This pie is baked in a round pan.

Nazuki and nutty kadas are traditional Easter desserts. The Kada cakes are rolled up and shaped like a horse-shoe. Walnuts and sugar, or sugar and flour cooked in erbo is used as a filling. Kada is smeared with egg yolks and baked in the oven.

ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და სახალხო დღესასწაულები Local Customs and Public Holidays

საქართველოს აღმოსავლეთის მთიანეთი თავისი ნახევრად ქრისტიანული, ნახევრად წარმართული რელიგიით გამოირჩევა. აქაური წეს-ჩვეულებები წმინდა ნინოს შემოსვლამდე არსებული წარმართული ეპოქის მემკვიდრეა, რომელსაც დროთა მანძილზე ქრისტიანული ელემენტები შეემატა და „ქრისტიანული ფოლკლორი“ შექმნა.

ლეონტი მროველის ცნობით, IV საუკუნეში, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, გუდამაყარში უქადაგიათ წმ. ნინოს და იოანე ეპისკოპოსს. გადმოცემის თანახმად, გუდამაყარში სხვადასხვა დროს ხშირი იყო მიგრაცია მეზობელი ხეობებიდან. რაც ახალი რელიგიის გამოჩენას უკავშირდება. ფხოველები ქრისტიანობის უპირობოდ მიღებას შეეწინააღმდეგნენ, მაგრამ როდესაც მეფის მხრიდანაც წინააღმდეგობა შეხვდათ, აიყარნენ და მეზობელ ხეობებს, თუშეთს, გუდამაყარს შეაფარეს თავი. ფხოვიდან გადმოსასვლელს დღესაც ფხიტურის უღელტეხილს უწოდებენ, ანუ იმ უღელტეხილის იქით არის ფხიების ტერიტორია, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ამ თეორიას. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჩეჩნები და ინგუშები, ანუ ისტორიული ძურძუკები ხევსურებს დღესაც ფხიებს უწოდებენ.

XI საუკუნემდე, საისტორიო წყაროებში ფხოველები ჯერ კიდევ წარმართებად იხსენიებიან, თუმცა უკვე ნელ-ნელა ფხიის მოკიდებას იწყებას ქრისტიანული მოძღვრება. საბოლოოდ კი, ქრისტიანობა ადგილობრივ პანთეონს შეერწყა და ქრისტიანულმა წმინდანებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლეს ჩაენაცვლებინათ ადგილობრივი ღვთაებები.

დროთა განმავლობაში, სახელმწიფოს მიერ ოფიციალური რელიგიის პროპაგანდამ, ადგილობრივი წარმოდგენებისა და რელიგიური კულტის სახეცვლი-

The eastern mountains of Georgia are distinguished by their semi-Christian, semi-pagan religion. The customs here follow heritage of the pagan era before the entry of St. Nino. Christian elements were added over time and "Christian folklore" was hence created.

According to Leonti Mroveli, St. Nino and John the Bishop preached in Gudamakhari, in the IV century, after the proclamation of Christianity as the state religion in Iberia. According to the legend, migrations from neighboring valleys to Gudamakhari were pretty frequent; migrations were linked with the emergence of a new religion. Pkhovi dwellers opposed the unconditional acceptance of Christianity, but when they met resistance from the king, they rallied and took refuge in the neighboring valleys, Tusheti and Gudamakhari. The passage from Pkhovi is still called Pkhituri Pass, that is, beyond that pass is the area of Pkhivi, which further proves this theory. It is also interesting that the Chechens and Ingush, or historical Dzurduks, still call the Khevsurs Pkhivians.

Pkhoveliana are still referred to as pagans in historical sources until the XI century, although Christian doctrine was slowly beginning to take root. Eventually, Christianity merged with the local pantheon, and Christian saints were only able to partially replace the local deities.

Over time, the propaganda of the official religion by the state changed local notions and religious cults and created a certain synthesis with the Christian religion.

Both community and ancestral shrines are present in Gudamakhari. Separate holidays are also celebrated in several villages.

Two days before the Ascension, on the 38th day after Easter, the flag is carried by the Khevisberi to the villages

ლება მოახდინა და ქრისტიანული რელიგიის გარკვეული სინთეზი შექმნა.

გუდამაყარში არის როგორც სათემო, ისე საგვარეულო სალოცავები. ასევე რამოდენიმე სოფელში ხდება ცალკეული დღესასწაულების აღნიშვნა.

ამაღლებიდან ორი დღით ადრე, ანუ აღდგომიდან 38-ე დღეს ხდება ხევისბერის მიერ დროშის გადმობრძანება სოფლებში დიდებათი, გამსი, ათნოხი. სოფელ საუხში (ცუცქუნაურთას) კი აღდგომიდან 101-ე დღეს აღინიშნება. გუდამაყრის ხეობის სხვადასხვა სოფლებში, ადგილის დედის ნიშთან და სხვა ნიშებთანაც აღინიშნება საეკლესიო თუ ძველ ღვთაებათა დღესასწაულები.

პირიმზობა გუდამაყრის სათემო დღეობაა და 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულისას აღინიშნება სოფელ ჩოხში, პირიმზის მოედანზე. გადმოცემის მიხედვით, „პირიმზე“ მზიანი ადგილის გამო ეწოდა, რადგან ნიში სოფლის სამხრეთ ფერდობზე დგას და წელიწადის ყველა დროს უმეტესად მზითაა განათებული.

ფუძისანგელოზობის დღესასწაული გარდამავალია, ანუ მცოცავი. ძირითადად ის სექტემბრის პირველ შაბათ-კვირას ემთხვევა და გუდამაყრის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ფხიტურის მთის გადაღმა, ძველ ფუძეზე იმართება.

ულამაზესი და არქაული ელემენტებით დატვირთული რიტუალი საოცრად მიმზიდველ სანახაობას ქმნის და უძველესი ისტორია თვალწინ ცოცხლდება: მსვლელობა ჩოხიდან პირიმზის მოედნიდან ხევისბერის მიერ სათემო დროშის გამობრძანებით იწყება და ხევსურეთის ტერიტორიაზე, ჩირდილის ხეობაში, სოფელ უკანაახოში იმართება.

პროცესიას წინ სათემო დროშა მიუძღვის და მსვლელობა ხანგრძლივი მოგზაურობისთვის ემზადება. ტრადიციული მარშრუტი გაივლის ბაკურხევს და ფხიტურის უღელტეხილის შეუყვება. საბოლოოდ კი ისტორიული ფხოვის, დღევანდელი ხევსურეთის ტერიტორიაზე, ჩირდილის ხეობაში, სოფელ უკანაახოში სრულდება, სადაც დასკვნითი დღესასწაული იმართება.

დღეობის ბოლოს, ტრადიციული თამაშობა იმართება, რომელსაც „ქვების წართმევას“ ეძახიან.

of Didebati, Gamsi, Atnokhi. This holiday is celebrated on the 101st day after Easter in the village of Saukhi (Tsutskunaurta).

Celebrations of church or ancient deities take place in different villages of Gudamakari gorge, along with other shrines of the holy mother.

Pirimzoba is a community day in Gudamakari and is celebrated on August 28, during the St. Mary holiday in the village of Chokhi, on Pirimze Square. According to legend, it was named “Pirimze” (sunny face), due to its sunny location, as the shrine is located on the southern slope of the village and is mostly lit by the sun at all times of the year.

The miracle day of the foundation angel is transient. It mainly coincides with the first weekend of September and is held on the northern slope of the Gudamakhari ridge, across the Pkhituri mountain, at the old foundation.



თამაშის მიხედვით, მასპინძლები, ანუ ხევსურები, არჩევენ ოთხ კაცს, რომლებმაც კოდი, ანუ ქვაბი უნდა დაიცვან. დღეობის სხვა მონაწილეები კი ყველანაირი ხერხით ცდილობენ ლუდით სავსე ქვაბი წაართვან მცველებს და დაისაკუთრონ. გამარჯვებულმა მხარემ, მომდევნო წელს უნდა დადგას ლუდის კოდი, რაც დიდ სახელად ითვლება.

გუდამაყრელები ხევსურეთს ორ ღამეს რჩებიან. მესამე დღეს კი უკან ბრუნდებიან.

ახალი წელი

ახალი წლის შესახებდრად, ისევე როგორც ბარში, აქაც განსაკუთრებულად ემზადებიან.

ამ სამზადისის ნაწილია ბედის კვერების ცხოხაც. დილით ადრე, ბავშვს გაუშვებენ გარეთ კვერებით ხელში. რიტუალურად, ეს ბავშვი „ბებერას“, ანუ ბერს განასახიერებს, იგივე მეკვლეს, რომელმაც ოჯახი უნდა დალოცოს. ბავშვი კვერით მოივლის კარ-მიდამოსა და ეზო-ბოსტანს, ყველა კუთხე-კუნძულს და სახლს რომ მიუახლოვდება, ცალ მუხლზე ჩაიჩოქებს ძახილით: „მამეშველენით, კეთილმა წელი მომწყვიტაო“ და აგრძელებს: „ბარაქა მომაქვს, მშვიდობა, მოსავლიანობა, წულიანობა“. შინ შემოსვლამდე ჯერ თოვლს შემოყრის სინმინდის ნიშნად, შემდეგ ტკბილეულს და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვა შინ და ახალი წლის დალოცვის რიტუალი ახლა შინ გრძელდება.

გუდამაყრული სამუსიკო დიალექტი საინტერესოა შესრულების ფორმებითა და შესრულების მანერით. აქაური სიმღერა ძირითადად ორხმიანია. თუმცა გვხვდება სამ და მრავალხმიანი შესრულებაც. სიმღერები ერთი მხრივ, ხევსურულსა და მოხერს, მეორეს მხრივ კი – ფშაურსა და მთიულურს მოგაგონებთ, თუმცა ამავედროულად შესრულების ინდივიდუალიზმი შენარჩუნებულია. გუდამაყრული სიმღერებია: „ჯვარი წინასა“, „ფერხისა“, „კაფია“, „მთიბლური“ და სხვა. საკრავებიდან უმეტესად გავრცელებულია ფანდური.

მითოლოგია

მართალია, გუდამაყრის ხეობა მცირე ფართობს იკავებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მითოლოგიურ გადმოცემათა მრავალფეროვნებაში.

The ritual, loaded with beautiful and archaic elements, shapes an amazing spectacle, and the ancient history comes to life: the procession starts from Chokhi Pirimze Square, Khevisberi carries the community flag and takes it is finished in the village of Ukanaakho, in the Chirdili Valley, in Khevsureti.

The procession is led by a community flag. It is a long journey. The traditional route passes through Bakurkhevi and follows the Pkhituri pass. It ends at the historic Pkhovi, on the territory of present-day Khevsureti, in the Chirdili gorge, in the village of Ukanaakho. This is where the final celebration is held.

At the end of the celebration, a traditional game called "protect the pot" is held. According to the rules, the hosts - Khevsurs, choose four men who have to protect the pot full of beer. The other participants of the celebration try to take the pot from the guards. The winning party must come up with a beer pot next year, which is considered a big honor. Gudamakhari people stay in Khevsureti for two nights. They return home on the third day.

New Year

New Year celebration requires preparation, just as it does in the valley. Baking fortune cakes is also a part of this preparation.

Early in the morning, the child leaves the house with cakes in hand. Ritually, this child symbolizes "Bebera", or monk, the person who should bless the family. The child walks around the yard and garden, visits every nook and cranny and when he/she approaches the house, kneels on one knee, shouting: "I wish you a good year" and continues: "I bring you prosperity, peace, harvest, beauty." Before entering the house, he/she first throws snow as a sign of purity, then candies, and only then comes in and the New Year blessing ritual now continues at home.

The Gudamakhari musical dialect is interesting in terms of performance form and manner. The singing includes two voices, though we come across polyphonic performances as well. On one hand, the songs are reminiscent of Khevsuruli and Mokheuri and Pshauri and Mtiuluri on the other. However, they are distinctly individual. Gudamakhari songs include: "Jvari Tsinasa", "Ferkhisa", "Kafia", "Mtibluri" and others. Fanduri is the most prevalent instrument.

ისევე როგორც ფშავ-ხევსურეთში, გუდამაყრელთა გადმოცემებშიც, კოპალას, იახსარისა და დევების ბრძოლა ბევრჯერაა მოთხრობილი. დევები ადამიანთა სოფლებს აწიოკებდნენ, იტაცებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ამიტომაც, მორიგე ღმერთმა, ანუ არსთა გამრიგემ, კოპალა და იახსარი გამოაგზავნა, რათა კაცნი საბოლოოდ დაეხსნა დევების ტყვეობიდან.

საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ, ბიბლიური სიუჟეტები და პერსონაჟები მთიელთა ანდრეზებს შეუერთდა და უნიკალური ქართული მითოსი წარმოქმნა. თავად ქრისტიანობა, მისი ღვთისმსახურება და კულტი იქცა მითის ნაწილად.

გუდამაყარში ერთ-ერთი ჯვრის სახელი „პირიმზე ფუძის ანგელოზი ხორასნის შვიდი ათასი ტყვის მხსნელი წმინდა გიორგია“. თქმულების მიხედვით, ხევსური ტყვეები ხორასანში გადაასახლეს. ისინი საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობდნენ. ქადგის რჩევით, ხარს რქებზე დააკრეს ხატი, რომელიც თან ჰქონდათ. ხარმა ისინი ღვთის შთაგონებით ხორასნიდან ხევსურეთში ჩამოიყვანა. ლომისის წმინდა გიორგიც ხორასნის ტყვეთა მხსნელია.

ფხიტურის უღელტეხილის ძირში, ბაკურხევის ხეობის სათავეში, მდებარეობს ხევსურული სოფელი საკერპო. გადმოცემის მიხედვით, ამ სოფელში „კერპების მჭედელი“ დევები მდგარან, რომელნიც უკანახოს ფუძის ანგელოზის ჯვარს ამოუხოცავს, რადგან მის ყმებს სალოცავად ამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ და გზას უკეტავდნენ. ეს ანდრეზი დასდებია საფუძვლად სოფლის სახელსაც.

Mythology

Though Gudamakhar valley occupies a small area, it boasts diversity of mythological legends.

As in Pshav-Khevsureti, the battles of Kopala, Iakhsari and the devis are narrated many times in the local legends. The devis raided the villages of the people, kidnapped and pestered the population. Thus, the main deity sent Kopala and Iakhsari to finally free men from the captivity of the devis.

After Christianization of Georgia, biblical stories and characters joined the fables of the mountains and formed a unique Georgian myth. Christianity itself, its worship and cult have become part of the myth.

The name of one of the crosses in Gudamakhar stands for "St. George, the Savior of the Seven Thousand captives of Khorasan, the Angel of the Pirimze Foundation". According to legend, Khevsurian captives were deported to Khorasan. They dreamed of returning to Georgia. Per preacher's advice, they placed an icon on the bull's horns. Inspired by god, the bull brought them from Khorasan to Khevsureti. St. George of Lomisi is also the savior of the captives of Khorasan.

A Khevsurian village Sakerpo (a place of idols) is located at the foot of Pkhituri Pass, at the head of Bakurkhevi gorge. According to the legend, "idol blacksmiths" devis lived here. They were massacred by the Ukanakho foundation angel cross, since the devis would not let worshippers pray at the shrine. This fable also forms the basis of the name of the village.



ახოობა. ფხიტურის უღელტეხილი.

რა ვნახოთ გუდამაყარში Must See in Gudamakhari

„მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებადა აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერილი. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან, ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ“.

ეს სიტყვები, გოდერძი ჩოხელს (1954-2007) ეკუთვნის, რომელიც თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. სწორედ აქ, გუდამაყარში, სოფელ ჩოხში დაიბადა და მოგვიანებით მთელს ქვეყანას გააცნო და შეაყვარა აქაური მთები და ამბები.

რეჟისორი, სცენარისტი, პოეტი და მწერალი, ადამიანთა დარდების შემგროვებელი და გუდამაყრის მემკვიდრე. მისი საკულტო ფილმები „სამოთხის გვრიტები“ და „ადამიანთა სევდა“, დღემდე რჩება ქართველთა და არამართო, საყვარელ ფილმებად. გოდერძი ჩოხელმა 16 მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო და ათზე მეტი კრებული გამოსცა.

სოფელ ჩოხში, იმ ადგილას, სადაც ადრე სკოლა იყო, დღეს გოდერძი ჩოხელის სახელობის მემორიალური მუზეუმი. გამოფენა მოიცავს მუდმივ ექსპოზიციას, სადაც მწერლის პირადი ნივთები, ფოტომასალა და წერილები იქნება გამოფენილი, ბიბლიოთეკასა და სამუშაო სივრცეს, რომლით სარგებლობას ყველა დაინტერესებული პირი შეძლებს.

მუზეუმის შენობა ჯერჯერობით ბოლომდე არ არის დასრულებული და დამთვალიერებლებისთვის ამჟამად მხოლოდ გარე სივრცეა ხელმისაწვდომი.

სოფელი ჩოხი, გუდამაყრის ხეობის ზედა ნაწილის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენს. აქედან ულამაზესი ხედები იშლება მთა შირიმსა (3201მ) და ბოსელის ხეობაზე.

სოფლის თავში, მზისგან მუდმივად განათებულ და განცალკევებულ ადგილასაა პირიმზის ფუძის ანგელოზის ნიში. საქართველოს აღმოსავლეთ

"I believe that Gudamakhari gorge is a big book. The mountains are the cover and there are lots of stories written inside. The sun and the moon provide the shining light, I am sitting by myself, I have opened this strange book and I am reading it".

These words belong to Goderdzi Chokheli (1954-2007), who is one of the most prominent modern writers. He was born in Gudamakhari, in the village of Chokhi, and later introduced it to the whole country. Everyone fell in love with the Gudamakhari mountains and news.

Director, screenwriter, poet and writer, collector of human sorrows and chronicler of Gudamakhari, Goderdzi Chokheli shot 16 short and full-length films and published more than ten collections.


To this day Georgian and international audiences love his cult films "Birds of Paradise" and "Melancholy of People". Goderdzi Chokheli Memorial Museum is located in the village of Chokhi, on the site of a former school. The museum houses a permanent exhibition, with the writer's personal belongings, photographs and letters, as well as a library and workspace that is accessible to all interested parties.

The museum building has not been completed yet and only outdoor space is currently available to visitors.

The village of Chokhi is a natural center of the upper part of Gudamakhari gorge. Breathtaking views of Mount Shirim (3201 m) and the Boseli Valley uncover from this vantage point.

The shrine of Pirimze angel is located at the head of the village, in a place constantly illuminated by the sun. According to the customs typical for the eastern highlands of Georgia, women are not allowed to approach the shrine.

In addition to the difficult hiking trails, Gudamakhari Val-



ქვენამთა

მთიანეთისთვის დამახასიათებელი ჩვეულების მიხედვით, ნიშთან მიახლოება ქალებს ეკრძალებათ.

გარდა რთული სალაშქრო ბილიკებისა, გუდამაყრის ხეობაში ოჯახური დასვენებისთვის შესანიშნავი პირობებია. აქ სხვადასხვა ტიპის გასართობი და შემეცნებითი აქტივობებითაც შეუძლიათ დაკავდნენ ტურისტები, რაც განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას არ მოითხოვს. კულინარიული გაკვეთილები, ცხენით ჯირითი, თუ ადგილობრივი ბალახის შეგროვება, ანდაც, ხეობაში უბრალოდ გასეირნება და ხედებით ტკობა.

სოფელი ლუთხუბი, გუდამაყრის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ლუთხუბის ხეობაში მდებარეობს, ზღვის დონიდან 1440 მეტრზე. ეს გუდამაყრის არაგვის მარცხენა შენაკადია და პატარა, მაგრამ შთამბეჭდავ ხეობას ქმნის. სოფლიდან მოსჩანს ალპური მდელოებით შემოსილი მაღალი მთები, რომელთაგან გამორჩეულია საორბეს მთა.

სოფლამდე სამანქანე გზა მიდის. სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკის ეკლესიაა.

სოფელი გამსი მერცხლის ბუდეხავითაა შეკიდული მთის ფერდობს. სოფლამდე საცალფეხო ბილიკი მდელოს, შემდეგ კი ფოთლოვანი ტყის მონაკვეთს მიუყვება. მარტივი და სახალისო ბილიკი საბოლოოდ პატარა და მშვიდ სოფელში მიგიყვანთ. აქედან ულამაზესი პანორამები იშლება შავი არაგვის ხეობაზე. აქვე, სოფლის პატარა სეზონურ კაფეში შეგიძლიათ შეუკვეთოთ ადგილობრივი ბალახების ჩაი და მზის ჩასვლით ისიამოვნოთ.

სოფელი დუმაცხო ხეობის ერთ-ერთი ბოლო სოფელია. აქ სამანქანე გზა იმ მთის ძირამდე მიდის, რომლის კალთებზეც სოფელია შეფენილი. აქედან სოფლამდე ერთი დიდი აღმართია ასავლელი. სოფლიდან კი თვალწარმოადი ხედები იშლება მთელს შავი არაგვის ხეობასა და მიმდებარე სოფლებზე. გირჩევთ, სოფლის თავზე მდებარე წყაროს წყალი დააგემოვნოთ და მთის ძალებით დაიმუხტოთ. გარდა იმისა, რომ წყალი სასარგებლო მინერალებითაა მდიდარი და მცხუნვარე დღეს სასიამოვნოდ გაგრილებთ. როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეს წყარო სურვილებსაც ასრულებს.

მახვილოს ციხე, ადრეფეოდალური პერიოდის თავდაცვითი ნაგებობაა, რომელიც გუდამაყრის ქედის



ley offers excellent options for family vacations. Tourists can also engage in various types of entertainment and educational activities, which do not require special physical training, such as culinary lessons, horseback riding, collecting local herbs, or just walking in the valley and enjoying the views.

The village of Lutkhubi is located on the western slope of the Gudamakhari ridge, in the valley of the river Lutkhubi, at 1440 meters above sea level. It is a left tributary of the Gudamakhari Aragvi and forms a small though impressive valley. From the village you can see high mountains lined with alpine meadows. Mount Saorbe stands out amongst them.

The village is accessible by car. There is a one-nave basilica church of the Virgin Mary in the village.

The village of Gamsi is like a swallow's nest hanging on a mountain slope. The footpath to the village passes through a meadow and then via section of a deciduous forest. A simple and fun trail will eventually take you to a small and quiet village. From here, beautiful panoramas overlook the Black Aragvi Valley. You can order local herbal tea and enjoy the sunset in the small seasonal café.

The Dumatskho village is one of the last villages in the gorge. The road leads to the foot of the mountain on the slopes of which the village is perched. One big ascent leads from here to the village. Spectacular views of the entire Black Aragvi valley and the surrounding villages unfold from this place. I recommend you to taste the spring water, it will charge you with mountain forces. In addition to the fact that the water is rich in useful minerals, it will cool you down pleasantly on a hot day. As the locals say, this spring also fulfills desires.

განშტოებაზე, მახვილივით აღმართულ მთაზეა აგებული.

თანამედროვეობამდე ნაგებობების მხოლოდ მცირე ნაწილმა მოაღწია. თუმცა, მასშტაბები გაცილებას იწვევს.

გადმოცემის თანახმად, ციხე მონღოლების შემოსევის დროს დანგრეულა, როდესაც მეფე დავით მეორე მთიულეთს იყო შეფარებული და აქედან უწევდა დამპყრობლებს წინააღმდეგობას. მას შემდეგ ციხე აღარ განუახლებიათ.

მახვილოზე ასასვლელი ბილიკი სოფელ ფახვიჯიდან იწყება და ციცაბო აღმართს აუყვება ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ კი აღმოსავლეთით უხვევს მთის ფერდობზე, სადაც თავად ციხის ნანგრევებია.

Makhvilo Fortress is a pre-feudal defense building built on a part of the Gudamakhari ridge, on a mountain raised like a sword.

Only a small part of the buildings have reached modern times. However, their scale is astonishing.

According to legend, the castle was destroyed during the Mongol invasion when King David VIII took shelter in Mtiuleti. This is where he resisted the invaders. The castle has not been rebuilt since.

The path to the Makhvilo starts from the village of Pakhviji and follows a steep ascent towards the north-west, and then turns east to the mountain slope, where the ruins of the castle are located.



საქორის ტბა.

სალაშქრო მარშრუტები

Hiking Trails

საკერპო - ფხიტურის უღელტეხილი- უკანახო

ფეხით გასავლელი მანძილი: 16 კმ.

რთული მარშრუტი.

ხანგრძლივობა: 2 დღე

მინიმალური სიმაღლე: 1900 მ

მაქსიმალური სიმაღლე: 2640 მ

მარშრუტი იწყება სოფ. ბაკურხევის უბან საკერპოში, ზღვის დონიდან 1900 მეტრზე. ეს ერთადერთი ხევსურული სოფელია მთელს გუდამაყარში.

ბილიკი ძველ სამარხილე გზას მიუყვება და დაახლოებით ორი საათის სიარულის შემდეგ, უღელტეხილზე აგვიყვანთ, 2640მ. ზღვის დონიდან. აქვეა ფუძის ანგელოზის ნიში. კარგ ამინდში უღელტეხილიდან არაჩვეულებრივი პანორამული ხედები იშლება უკანა ფშავსა და ხევსურეთზე.

საუკეთესო საბანაკე ადგილი იქვე, ათი წუთის სავალ გზაზეა, უკანახოს მომცრო ზურმუხტისფერ ტბასთან.

აქედან სოფელ უკანახოს სამანქანო გზამდე 4 კილომეტრიდა რჩება. გზა საკმაოდ შთამბეჭდავია, თავდაპირველად ალპურ მინდორს, შემდეგ კი ტყეს მიუყვება და საბოლოოდ სოფელში ჩადის.

მარშრუტი საკმაოდ მარტივია და მისი გავლა არ მოითხოვს განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას. მანძილი მოკლეა და მისი დაფარვა ერთ დღეშიცაა შესაძლებელი, თუმცა, ბოლომდე რომ შეიგრძნოთ და შეირგოთ გუდამაყარისა და ხევსურეთის სილამაზე, რეკომენდებულია მარშრუტის 2 დღეში გავლა.

ზვავსაშიშროების გამო, გუდამაყარის ხეობაში ლაშქრობები ზამთრის პერიოდში არაა რეკომენდებული.

საქორის ტბა

ფეხით გასავლელი მანძილი: 17 კმ.

რთული მარშრუტი. წრიული

ხანგრძლივობა: 2 დღე

Sakerpo - Pkhituri Pass - Ukanakho

Walking distance: 16 km.

A difficult route.

Duration: 2 days

Minimum height: 1900 m

Maximum height: 2640 m

The route starts in Sakerpo, a district of the Bakurkhevi village, located at 1900 meters above the sea level. This is the only Khevsurian village in all of Gudamakhari.

The trail follows an old sledge road. After about a two-hour walk, you will come across Pkhituri gorge, 2640 m. above the sea level. The foundation angel shrine is located here as well. Amazing panoramic views of Pshavi and Khevsureti unfold in good weather.

The best camping spot is a ten-minute walk away, by a small emerald lake of Ukankho.

It is 4 kilometers from here to the car road of Ukanakho. The road is quite impressive, it first crosses the alpine field, then the forest and finally leads to the village.

The route is quite simple and hiking here does not require special physical training. The distance is short and it is possible to cover it in one day, however, to fully feel and experience the beauty of Gudamakhari and Khevsureti, it is recommended to set aside 2 days for this route.

Due to the danger of avalanches, hiking in Gudamakhari gorge is not recommended during the winter.

Sakori Lake

Walking distance: 17 km.

A difficult, circular route.

Duration: 2 days

Minimum height: 1900 m

Maximum height: 2985 m

მინიმალური სიმაღლე: 1900 მ
 მაქსიმალური სიმაღლე: 2985 მ

ბილიკი სოფელ ბაკურხევიდან იწყება და საქორის ქედს მიუყვება ჩრდილო-დასავლეთით. მარშრუტი საკმაოდ რთულია, ძირითადად აღმართი და რამდენიმე ტექნიკურად რთული მონაკვეთით. თუმცა, ქედიდან და ტბის მიმდებარე საბანაკედან ულამაზესი ხედები იშლება გუდამაყრის ხეობასა და ხევზე. კარგ ამინდში აქედან მყინვარწვერის დანახვაც შეიძლება.

The trail starts from the village of Bakurkhevi and follows the Sakori ridge to the north-west. This route is quite difficult, it mostly goes uphill and covers some technically difficult sections. However, beautiful views of the Gudamakhari valley and ravine are revealed from the ridge and the camp near the lake. In good weather you can see the glacier from here.



საქორის ქედი.

როგორ მოვხვდეთ გუდამაყარში

How to get to Gudamakhari

თბილისიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, სტეფანწმინდისკენ მიმავალ გზაზე დაბა ფასანაურთან, გადასახვევია ხელმარჯვნივ. აქედან გრუნტის გზა მიუყვება შავი არაგვის, იგივე გუდამაყრის არაგვის კალაპოტს. აქედან იწყება გუდამაყრის ხეობა.

- თბილისი - მცხეთა - ფასანაური 80 კმ.
- ფასანაური - დუმაცხო 16 კმ.

საავტომობილო გზა სოფელ დუმაცხომდე თითქმის მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს. დიდთოვლობისას იშვიათად იკეტება.

გუდამაყარში ტრანსპორტით მოძრაობა თითქმის მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტი გუდამაყრის ხეობაში მოძრაობს კვირაში ორჯერ.

ავტობუსები მიემგზავრება ავტოსადგურიდან „დიდუბე“. მისამართი: ქ.თბილისი, კარალეთის ქ. 4. მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორია.

Heading north from Tbilisi, on the way to Stepantsminda, turn right near the small town of Pasanauri. From here the dirt road leads to the Black Aragvi, aka the Gudamakhari Aragvi. Gudamakhari gorge starts from here.

- Tbilisi - Mtskheta - Pasanauri 80 km.
- Pasanauri - Dumatskho 16 km.

The road to the village of Dumatskho is functioning almost all year round; it rarely closes during heavy snowfall. You can travel to Gudamakhari almost all year round.

Public Transportation

Public transportation to the Gudamakhari gorge runs twice a week.

Buses depart from Didube bus station. Address: Tbilisi, Karaleti st. 4. "Didube" subway station.



ქიქოლის მთა.

